



№2. 2018 Վ.

ԼՄԵՐԵՆԻ

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო  
 სსიპ „აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“

**იალქანი** - შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალი ყმაწვილთათვის  
**აფქიო** - ჯონა-ჯრებული ყველაზე პატარებისთვის



- რედაქტორი - ნანა ჭანტუშია
- მხატვრული რედაქტორი - ნუნუ ზანელიძე
- დიზაინი, დაკაბადონება - ვახტანგ ზაძარაია
- მხატვარი - დალი მუსაძე
- არტრედაქტორი - ნანა ძარღვა
- სტილისტი - თათული რუხაძე

- „ცენტრის“ დირექტორი - ირმა ირემაძე
- იალქანი - დაარსებულია 1996 წელს
- აფქიო - დაარსებულია 2010 წელს
- გამოცემა განახლდა 2014 წელს

25 წლის წინ - 1993 წლის 27 სექტემბერს დაეცა აფხაზეთი

**ს ა ს ლ ი**

*Аленка*

*Аленка алычын уаауи яара зии,  
 Яааа алычын сага яа уии,  
 Яааа алычын уа сага иаауи,  
 Яара алычын алычын алычын.*

*Яаа алычын, - яаа алычын,  
 Яара алычын яара алычын,  
 Яара алычын - яаа уи алычын,  
 Яа иааааа сага алычын.*

*Яа иааааа - уи яааааа алычын.  
 Яааааа?*

*Яааааа-ааа!  
 Яааа алычын алычын яаа уиии иа,  
 Яаа уиии аа яааааа аааа.*

*Яааааа алычын алычын алычын,  
 Яара алычын алычын алычын,  
 Яааааааааа алычын алычын алычын.*

*Яаа алычын алычын яара алычын.  
 Яаа яааааа алычын яа алычын?  
 Яаа яааааа? Яаааааа - аааа?!  
 Яааа яаааа алычын алычын алычын!*

ურნობი ავტორის ლექსი

**საგამომცემლო ჯგუფი:**  
 ნინო ვახანიანი, სალომე კახანაძე, ნატო კორსანტიანი, ნუზუარ მგალობლიშვილი, როლანდ ნიჟარაძე,  
 ოთარ შორღანიანი, მანანა ძვინავაძე, გელა ჩიქვანიანი, სოსო ჭუმბურიძე.



სასაზღვრო კანონებსა თუ აკრძალვებს, ხოგოი მჯაცხიო ახ უნდა იყოს ის, ჩიტები და ლექსები ახ ემოხჩილებიან. ამიტომ ნუჩავის გაუკვირდება და ნუჩე ნუჩავინ იყითხავს, ხა ძალითა და გზებით "გადმოფხინდა" უცნობი აფხაზი ავტოხის ლექსი "სახლი" ჩვენთან და "იალწის" ფუჩეცეზე სელისშემძხეღ სტუიქონებად ხოგოი დაეფინა.

თუ ვინმეს სუხს, გაიგოს, ხას ფიქობენ ჩვენზე, ქახთველებზე აფხაზეთში (ზოგიჩეთები მანც), ჰასუხს ეს ლექსი გასცემს. ავტოხის გელის ამოძახილი გაზაფხელის ვეხომოყვან ეხთი მეჩხელის ჭიჭიყასაც ხომ ჰგავდეს, მისი ხმა მანც შეაფხეოლებს აფხაზეთის ზეცას, ხოლო მინაზე მყოფთ აფიქებინებს, ხომ გაზაფხელი ახროხაა.

ნეტავ, ჰოეტის გელსა და სიტყვებს ემყახებოდეს ადამიანებსა და ხალხებს შოხის უთიიეთობა, მაშინ ხომ ყველაფეჩი უკეთესად იქნებოდა! უცნობი აფხაზი ავტოხი, მახთალია, ეხთ უონჯეკეღ ადამიანზე, თავის მეგობახსა და მის სახლზე ნუხს (სახლზე, ხომლის გასალეებს დღემდე ინახავს), მაგჩამ, ამავე დხოს, თავისი კეთილგანწყობით ყველა ღეწიღს უჩენს იმედს, ხომ მასაც ელოდებიან.

ამ საოცარი ლექსის აფხაზეთი ჰნუჩაქედის თახგმანი ქალბაკონ დახეჯან თაყაიშვილისაა, ხომელმაც, ხოგოი გვითხხა, სიტყვა-სიტყვით გადმოგვცა ჰოეტის აზრები და განწყობა (აქვე გთავაზობთ ლექსის აფხაზეთ ხელნაწეხს). ლექსი "სახლი" აფხაზეთიდან სამშვიდობოდ, სამეგობოხოდ გამონვიღი ხელია. ჩვენ ხომ ამდენი ხანი ველოდით სიტყვებს: "ხოგოი აელიხახ ჩვენს სანაპიროს!"

## სახლი

აფხაზეთი პწკარედი – დარეჯან თაყაიშვილის

სანაპიროზე, შენ რომ ცხოვრობდი,  
იმ მყუდრო სახლში მე ვცხოვრობ ახლა,  
ახლა მე ვცხოვრობ, თუმცა გასალეებს  
შენი სახლისას დღემდე ვინახავ.

პატრონი მქვია, მაგრამ ეს სახლი,  
შენ მოგელის და კვლავაც შენ გიხმობს,  
მას შენი სახლი ერქმევა ხვალაც  
და გულით მინდა, ეს ასე იყოს...

ჰო, მთელი გულით ვამბობ ამ სიტყვებს  
და სხვანაირად არც მეფიქრება,  
შენს კვალს, შენს ხმასაც ეს სახლი იტევს...  
უშენოდ ზეცაც კი იქუფრება.

მიმოდოდი სახლში ჩიბუხით,  
ბოლით ავსებდი ოთახს წერისას,  
ბარაქა სდევდა შენს ოჯახს და მსურს,  
მასპინძლად ჰყავდე ამ სახლს მერმისსაც.

სადა ხარ, ძმაო, შემეხმინე,  
ქარს ისევ უნდა გაგვინაპიროს,  
სად ხარ, გეძახი, ხმას ველარ განვდენ,  
როგორ აკლიხარ ჩვენს სანაპიროს!





ეს პატარა პუბლიკაცია მომზადდა 1904 წლით დათავილებული და ქ. ოდესაში, ე. ფესენკოს სტამბაში დაბეჭდილი ხუსულენოვანი ბიომედიკალინური ამონახიდეებით. წიგნის სათაუხია 'ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეხანდის მონასტერი~, ხომლის ავტორი, სამწესხომღ, მითითებული ახა და მხოლოდ ცენზორის \_ აქიმანდრიტ მეფოდის სახელია გამელავენებული.

ეხანდის მიძინების სახელობის ეკლესიის, აფხაზეთის ეთ-ეთი უძველესი ძეგლის აგება უკავშირდება VI-VIII ს.ს.-ებს. ახსებობს მოსახეება, ხომ ტაძარი ბიზანტიის იმპერატორის \_ იუსტინიანე დიდის ბიძანებით, 551 წელს აიგო. თუმცა მეცნიერები დღემდე ვეი შეთანხმებულან, ბიზანტიელი იყო ეხანდის ხეითომოდლვახი თუ ადგილობრივი. ეს ტაძარი, შეიძლება, ჩათვალოს მცხეთის ჯეხის ვახიაცად, \_ დასავენა (ახიქუქუქუელი ანალიზის საფუძველზე) XX ს.-ის დასაწყისში გომოგი ჩუბინაშვილმა.

ზუსტად 115 წლის წინ გამოცემული წიგნი იმით იქცევს ყუხადლებას, ხომ ავტორი ეხანდის მონასტერის განიხილავს ახა ხომოცი ქაითოდ წილში აღმოცენებულ ძეგლს; ხუსული უფლებებით ის უკვე მათი ისტორიის ნაწილი გამხდარა; ავტორი ისე მოგზაურობს აფხაზეთში, ისე საუბრობს ძეგლისა თუ ეთხის ნახსულზე, თითქოს აქიძალედი აქვს, ახსენოს სიყვავა 'ქაითული~ ან 'საქაითული~. ასე ნახომოწინდება მამინდელი და დღევანდელი ღვანობაც: პიოქუქი 'ჯავასიის შავიზღვისპიხეთში ბინადრობა~ იმპერიული დავეთათა.

აქვე დაცულია ფოტოსუხათები, ხომელსაც სხუად ჩანახითი გავენობით (იგივე ბიომედიკალინური დახითუდ ტექსტთან ეთოდ).

## ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დრანდის მონასტერი

დრანდის ტაძარი მდებარეობს კავკასიაში. ის სოხუმიდან დამორებულია 17 ვერსით (სიგრძის ძველი ერთეული), ზღვიდან კი - 4-ით.

**რუსეთის შიდა გუბერნიებიდან დრანდის მონასტრამდე რომ ჩააღწიო, ნოვოროსიისკამდე უნდა იმგზავრო მატარებლით, იქიდან კი შავი ზღვითა და გემით გალიო გზა სოხუმამდე.**

დრანდის ტაძარი აფხაზეთის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია. არქიტექტურული თვალსაზრისით (ორიგინალური სტილითაც) ნაგებობას არაფერი აქვს საერთო აფხაზეთის სხვა ტაძრებთან. იგი აშენებულია მძლავრი ქვებისაგან, კირქვოვანი ნათალი ფილებისაგან და დიდი ზომის ბიზანტიური აგურისგან.



1904 წელს ოდესაში გამოცემული წიგნი: „ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დრანდის მონასტერი“

აფხაზეთში, და, კერძოდ, დრანდაში ქრისტეს მოძღვრება იქადაგებს უფლის მოციქულებმა, პირველმა მახარობლებმა - ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა. მათ დიდხანს იმოღვანეს ამ მხარეში. როგორც გვეუბნება უძველესი თქმულება, ანდრია გაემგზავრა სხვაგან, სიმონ კანანელი კი აქ დარჩა და აქვე აღესრულა მონამეობრივად.

V ს.-ში, ვახტანგ მეფის დროს, როცა აფხაზეთი, კელასურის ჩათვლით, საქართველოს ნაწილი იყო, აქაც და ქვეყნის სხვა კუთხეებშიც ქრისტეს მოძღვრება მყარად იყო დამკვიდრებული. აფხაზეთის დანარჩენ რეგიონებში ბატონობდა წარმართული სარწმუნოება; ასე გაგრძელდა VI ს.-ის შუა წლებამდე, ვიდრე იუსტინიანემ, ბერძენმა იმპერატორმა არ გადაჭრა ეს პრობლემა.\*

და მაინც, ვინ ააშენა დრანდის ტაძარი, როდის და რა პირობებში გავრცელდა ამ რეგიონში ქრისტიანობა, არც ქართულ, არც ბერძნულ ქრონიკებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

XI ს.-ის პირველ ნახევარში კოდორიდან ცხენისწყლამდე ითვლიდნენ 12 საეპისკოპოსო კათედრას; შემდგომ ამ ბაზაზე შეიქმნა 6 მონასტერი. მათ შორის, დრანდა მიიჩნეოდა მიტროპოლიტთა რეზიდენციად. ეს იყო აფხაზეთისთვის საუკეთესო პერიოდი. მაგრამ აფხაზეთისთვის ასეთი ბედნიერი დრო დიდხანს არ გაგრძელდა. თანდათან თურქებმა დაიმორჩილეს ბიზანტია და სხვა აზიური სამფლობელოები. აფხაზეთშიც თანდათან შესუსტდა ბიზანტიური გავლენა. ადგილობრივი მოსახლეობა ნელ-ნელა განუდგა ქრისტეს რჯულს. ბუნებრივია, ეკლესია-მონასტრებში შესუსტდა წირვა-ლოცვები. მოზარდებიც ნაკლებად ინათლებოდნენ.

\* - არადა, უკვე V ს.-ის 70-იან წლებში ვახტანგ გორგასალმა 100 წლის წინ ბერძნული ექსპანსიის შედეგად ნაღებული აფხაზეთის ტერიტორია „კელასურს იქით“ შემოუერთა ქართლის სამეფოს.



ერთმანეთის მიყოლებით დაიხურა მართლმადიდებლური ტაძრები.

უკვე XVII ს.-ის მეორე ნახევრისთვის აფხაზეთის მოსახლეობა მჭიდროდ დასახლებული და ოდითგან მართლმადიდებლური, უკვე გამაჰმადიანებული იყო. დრანდის კათედრის არქივისკოპოსმა გაბრიელმა, რომელმაც დაკარგა მრევლი, დატოვა ტაძარი. დასახლდა იერუსალიმში, კერძოდ, ათონის ჯვრის ქართულ მონასტერში, სადაც აღესრულა კიდეც.\* XVII ს.-ის ბოლოსთვის, ქართველი ისტორიკოსის ცნობით, დრანდაში „უკვე აღარ იჯდა ეპისკოპოსი“.

1846 წლისთვის დრანდის ტაძარი მხოლოდ გარეგნულად ინარჩუნებდა ძეგლის სახეს. შენობის შიგნით ყველაფერი სრულად იყო განადგურებული. ფრესკების ნაწილი გადარჩენილი იყო მხოლოდ თაღთან და აქა-იქ კედლებზე.

1845 წელს აფხაზეთში ჩამოსული ს. საბლინი ასე აღწერს დრანდის მონასტერს: „გაოცებული რჩები აგურის კედლებისა და თაღების სიძლიერით, რომელზეც, რა ხანია, ამოზრდილია

ლელვის ხეები და სხვა ნარგავები. სურო და ძეძვი შემოხვევია ირგვლივ, მაგრამ ის მაინც მყარად დგას. შედარებით უკეთესადაა შენარჩუნებული უფლის სახეობა თაღოვან კამარასთან და მიხეილ მთავარანგელოზის ხატი დასავლეთის კარებთან, ხოლო სამხრეთით – ხარების ეპიზოდი, სადაც ღვთისმშობელი მუხლებდაჩოქილია (თუმცა ფრესკები თანდათან სულ უფრო უფერულდება). სხვა ხატების გარჩევა ჭირს.“

თანდათან ძეგლიდან გაქრა ფანჯრებიც და კანკელიც; მომხდურთა თარემს ვერ გადაურჩა გარდაცვლილთა სამარხებიც; მეტიც: ღამ-ღამობით მწყემსები ტაძარში ნახირსაც ერეკებიან.

მაგრამ უდიდესია უფლის წყალობა! და მანაც არ მიატოვა უნუგემოდ ტაძარი!

1868 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, როცა თავის მოხსენებაში მიმოიხილა აფხაზეთის ძეგლები, შეეხო დრანდის ტაძარში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობას. მან თხოვნით მიმართა სოხუმის განყოფილების ხელმძღვანელობას, ეზრუნათ დრანდის მონასტერში ვითარების გამოსაჯანსაღებლად. დაუშვებელია, – აღნიშნავდა ის წერილში, – წმინდა სავანე აქციო საქონლის თავშესაფრად.

იმერეთის ეპისკოპოსის შუამდგომლობით ადგილობრივმა ხელისუფლებამ 1869 წელს გამოყო 8000 მანეთი; ტაძრის რესტავრაციას ხელმძღვანელობდა სოხუმის ეკლესიის დეკანოზი – დავით მაჭავარიანი. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფანჯრები შეიცვალა იტალიურით, მოეწყო ხის ახალი კანკელი, რომელიც დამშვენდა უბრალო, მაგრამ ლამაზი სამკაულებით. იატაკზე დაიგო აგურები. კანკელისთვის ხატები დაანერინა და სოხუმში გაგზავნა კავკასიის მეფისნაცვალმა, მისმა უდიდებულესობამ, დიდმა მთავარმა – მიხეილ ნიკოლოზის ძემ.

**1871 წლისთვის აქ მთლიანად დასრულდა სარესტავრაციო სამუშაოები, მაგრამ რეალობა ისევ მძიმე იყო. ამ დროისათვის დრანდაში ცხოვრობდა მუსულმანიური სარწმუნოების 4000 აფხაზი. თურქი მოლები ისევ და ისევ ნერგავდნენ ზიზლს ყოველივე მართლმადიდებლობისა და ყოველივე რუსულის მიმართ.**


შედეგი სავალალო აღმოჩნდა: რუსეთ-თურქეთის უკანასკნელ ომში აფხაზებმა თურქებთან ერთად სრულად განადგურეს სოხუმი. რა თქმა უნდა, საგრძნობლად დაზიანდა დრანდის აღდგენილი ტაძარიც.

**ომის დამთავრებისთანავე დრანდის მუსულმანი აფხაზები გადასახლდნენ (და არა გადასახლეს – რედ.) თურქეთში. მათ ეზო-კარში მთავრობამ ჩაასახლა სხვადასხვა ეროვნების მართლმადიდებლები: მოლდოველები, ესტონელები, რუსები...**

1880 წელს, ამჯერად ათონის ივერიის ტაძრის მღვდელმთავრებმა – მოდესტმა და ვარლამმა თხოვნით მიმართეს რუსეთის ხელისუფლებას, დრანდაში ღვთისმსახურება ისევ აღედგინათ. კავკასიის მთავარმა სამხედრო პირმა, გენერალ-გუბერნატორმა ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვმა ნება დართო ათონელ მამებს, ათ ბერთან ერთად, დაბინავებულიყვნენ ტაძრის სიახლოვეს. მათ თან ჩამოიტანეს: ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის ასლი, პატარა კიდობანში დაბრძანებული უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის ნატეხი, ნამებულთა – ბარბარეს, პანტელეიმონის, ვერას, ნადეჟდას, ლიუბოვის, მარია-მაგდალინელის, პარასკევას წმინდა ნაწილები. მოდესტმა და ვარლამმა დიდი შრომა გასწიეს. თავადაც ფიზიკურად მუშაობდნენ (საკმარისი რაოდენობის მუშახელი არც ჰყავდათ).

**1886 წლის 27 სექტემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა აკურთხა აღდგენილი ტაძარი. 50-მდე მოციქულმა მოიყარა თავი. კანკელის ყველა ხატი, ოქროთი მოვარაყებული, დაინერა მოსკოველი ფერმწერების მიერ. იღუმენმა პარასკევაროზენმა დრანდის ტაძარს უსახსოვრა ღვთისმშობლის დაბადების ფრესკა. სწორედ მამამისმა, ცნობილმა სამხედრო მოღვაწემ, გენერალ-ბარონმა გრიგორი როზენმა, ვიდრე კავკასიას დატოვებდა, 1837 წელს დაიპყრო მთელი ნებელდის ხეობა.**

დრანდის მრევლი, ძირითადად, რუსი მოსახლეობაა. ისინი მიმდებარე სოფლების მცხოვრებნი არიან.



\* – არქივისკოპოსი გაბრიელი ქართველია, მაგრამ ავტორი ამის შესახებ არაფერს გვეუბნება.



ნათია როსტიაშვილი

ქართველი მკითხველი უკვე იცნობს თანამედროვე ჰუმორისტის - ნათია როსტიაშვილის შემოქმედებას. სულ ახლახან მკითხველმა გულთბილად მიიღო მისი ახალი ნიგანი. ვუხნადი "იარაღი" საშუალებას გაძლევთ, გაეცნოთ ნათიას მინიატურული ჰუმორის სამ ნიმუშს.

"ნუკრიების სახლი" ბათუმში გამართულ ლიტერატურულ ჟონალზე 2016 წელს საუკეთესოდ ცნეს.

ნათია როსტიაშვილს შესწევს უნაჩი, ამყოფოს მკითხველი სხელიად განსაკუთრებულ სიხსენში, ძლიან თავისთავადში, სადაც დღესანს აღმოჩნდება გმიხების კეთილშობილებითა და თხიობის განსაკუთრებლობით მოწესხელი.

## ნუკრიების სახლი

ნათია როსტიაშვილი

ქალის სანახავად მიმავალმა ნუკრიმ, გზაში, ერთი ამბავი ატყვა: როგორ თუ სახელი დამიმალეთო! ლონიერ მუშტებს იქნევს, ძლივს აკავებენ.  
– გამამასხარავოთ გინდათ და თავი მომჭრათ სოფელ-ქვეყანაში?! – არ ცხრება.  
– რა უჭირს, შე, კაი კაცო, ფერი ფერსაო, მაღლი ღმერთსაო, თქმულა. შენც – ნუკრი, ისიც – ნუკრი... – ამშვიდებენ.

ქალიც ლონიერი და ფერ-ხორციანი გამოდგა. თვალში მოუვიდა სასიძოს. ორი ვაჟი ეყოლათ ნუკრის და ნუკრის. ისინიც დევებივით მხარ-ბეჭიანები. ერთ ვაჟს გოგო შეეძინა, მეორეს – ბიჭი.

– გოგოს და ბიჭს ერთი სახელი გქვიათო, მეზობლის პატარა ბიჭმა დასცინა ბიძაშვილებს.  
– არაფერიც! – შუბლი შეიკრა თავის ასაკისთვის ზედმეტად ზორბა ბიჭმა, – მე პაპას სახელი მქვია, ამას – ბებოსი.

– ნუკრიიიი!.. – როგორც კი ჭიშკართან დაიძახებენ, ფანჯრებიანი მხარისკენ ოდნავ შესამჩნევად იზნიქება ნუკრიების სახლი.



## აბდასაინყუბლი დღე

– ჰერკულესი გაგიცივდა. ჭამე, რომ დიდი ბიჭი გაიზარდო, – ხელუხლებელ საუზმეზე ვუთითებ გიოს, – ჩაიც მიაყოლე. მიდი, მიდი...

ჩაისფერი თვალეები აქვს ჩემს ბიჭს. ოლონდ მისთვის კი არა, ჩემთვის დასხმული ჩაის ფერის – მუქი. ისეთი სევდა აქვს ჩამდნარი მზერაში, ისეთი... გული მეკუმშება. თვალს ვარიდებ. ვდგები, ჩემს მოპრიალებულ თეფშზე გაუცნობიერებლად ვიღებ ჰერკულესის მეორე ულუფას. არადა, მძულს ჰერკულესი. გიოს გამო თავს ვაძალებ ხოლმე, დიდი ძალისხმევით ვლეჭავ და ორი ვარიანტიდან ერთ-ერთ ფრაზას ვამბობ: „იფ, რა გემრიელიაა!“ ან „რა გემრიელია, იიიფ!“

– დე... ამდენს ნუ ჭამ, გეხვენები, – ბზარგაჩენილი ხმით მეუბნება გიო, – არ ვჭამოთ ხოლმე, რა, დე. არ მინდა, მოვკვდე...

გიოს თვალეების ზღვა შრება – ცრემლს უკან იბრუნებს –



ყლაპავს.

ის ყლაპავს და მე მეჩხირება ყელში – ჩემები, უკან ჩაბრუნებული და ვერგადაყლაპული.

– ჩვენ არ მოვკვდებით, ნუ გეშინია! – ტყუილის ლუზას ვუგდებ სიცოცხლის მარადიულობის იდეაზე მოსაჭიდებლად.

– მოვკვდებით, – მისხნის, – თუკი ძალიან გავიზრდებით... ვახო ძიას ვკითხე, პაპა რატომ მოკვდა-მეთქი და მოხუცი იყო, ძალიან დიდი გაიზარდაო... ჩვენც თუ ბევრს შეეჭამთ – გავიზრდებით... მეტი აღარ გაიზარდო, რაა, დე!

ღმერთო, როგორი პატარაა ასეთი ფართოდ გახედილი თვალებისთვის!..

– დე... – ვამბობ, – დე... – ამის მეტს ველარაფერს ვეუბნები.

„ნამო!“ – ვანიშნებ, თქმა არ გამომდის – ყელში ჩაჩხერილი ბურთის ოინებია...

მომყვება. რალაცნაირად, მძიმედ მომყვება. მხრებდამძიმებულად.

ოთახის ცენტრიდან მაგიდას კედლისკენ ვახოხებ. სკამებსაც. გარდერობის კარებს ბოლომდე ვაღებ. ანჯამები ღრჭიალებენ... უჯრიდან, ნუხელ რომ ჩაცმა ავუკრძაღე, იმ ახალ ბოტასებს ვიღებ და ვუწვდი.

– ჩავიცვა, დე? ბალის დანყებამდე აღარ შევიწინახოთ?

უხარია, უკვირს, უხარია... ისევ ბავშვად იქცა. მხრები ბუმბულივით აუმჩატდა. თვალები უკამკამებს, ტალღის ნასახიც აღარაა, გადაიდარა.

მხესავით გავარვარებული ბურთი ყელში მიდნება.

ყლაპავ. ვსუნთქავ. მლაშეა.

ჩემს ყველაზე ძვირფას კაბას საკიდიდან ვხსნი. ვირგებ. სუნამოს, ყელიდან კოჭებამდე უხვად ვიპკურებ. გამოზოგვას ნაჩვევ ფლაკონს უკვირს. ისე ძალიან უკვირს, რომ გაოცებისგან წარწერა თავსახურზე ასდის.

– გამოიქეცი, დე! – მკლავებს ვშლი.

– უნდა მამზრიალო?! ვაშაააა!

ვულიმი და თავს დამნაშავედ ვგრძნობ, რომ „ვაშას“ ნაცვლად, თანატოლებივით არ ამბობს: „იეეს!“ ჯერ ნელა ვბზრიალებთ. ვბზრიიიიიიიილებთ...

მერე ტემპს ვუჩქარებთ: ვბზრიალებთ-ვბზრიალებთ...

და ბოლოს: ვბზრიალებთვბზრიალებთვბზრიალებთ!

იცინის, იცინის... ფერად კენჭებზე ფეხი უსხლტებათ ნაკადულებს.

ვფიქრობ: აი, მოზვირთდებიან წლები. გაიზრდება გიო დიდი ბიჭი. სასახელო კაცი დადგება. მოვა მასთან ჟურნალისტი და ბავშვობის ამბების გახსენებას სთხოვს...



– ახლა, რატომღაც, ერთი დილა გამახსენდა ჩემი ბავშვობიდან. ასე, ოთხი-ხუთი წლის ვიქნებოდი... – დაიწყებს გიო. მაშინ უკვე – ბატონი გიორგი. რიხით ჩაახველებს. ჟურნალისტი, სიფრიფანა გოგონას ჩაის შესთავაზებს. გოგონასაც ჩაისფერი თვალები ექნება. ოღონდ, ისეთი, ახლა როგორ ჩაისაც ვუმზადებ ხოლმე გიოს – ბაცი, მზისფერი.

„ბატონი გიორგი“ მოყვება, რომ დანამდვილებით ვერ იხსენებს, რა ამბავს აღნიშნავდნენ, მაგრამ ზუსტად ახსოვს, რომ დედა კარგ ხასიათზე იყო. ბალისთვის ნაყიდი ახალი ფეხსაცმლის სახლში ჩაცმის უფლებაც კი მისცა. საუზმის ამბავი არ ეხსომება. პირდაპირ იქიდან დაიწყებს, მაგიდა რომ კედელს მივადგი. იტყვის, რომ ახლაც ახსოვს დედის სუნამოს სურნელი.



... რომ უცანური კია, მაგრამ დედასთან ერთად ბზრიალს ქვეყნად არაფერი ერჩინა.

... რომ დედის იმ კაბის ღილების ფერი და ფორმაც კი ახსოვს – ოქროსფერი, ტრაპეცია.

... რომ ბზრიალისას დედის გრძელ, ცრემლის ფორმებად





ჩამარცვლულ მძივს შემთხვევით ხელი გამოსდო და განწყვიტა. იტყვის, რომ ძალიან შთამბეჭდავი კადრი იყო. „ეგებ, სულაც ამ კადრის გამო ჩამრჩა ეს დღე მესხიერებაში: მთელ იატაკზე გაბნეული მძივის მარცვლები, ფანჯრიდან შემოჭრილ მზის შუქზე, ზღაპრულად ბრჭყვიალებდნენ.“

... რომ დედა, საერთოდ, ძალიან მკაცრი იყო, მაგრამ იმ დღეს... როგორღაც...  
... რომ დედა, იმ დღეს, გამაოგნებლად ლამაზი იყო...  
... გაიხსენებს, რომ დედა –  
„ი – ყ – ო“ (!)...

\* \* \*

– დე, ტირი?... – თვალები უმუქდება გიოს.  
– არა, დე, თვალში რაღაც ჩამივარდა...  
სჯერა. ვზბრიალებთ.

„მთელი ცხოვრება იქამდე. მზისფერთვალეა გოგონა, ალბათ, ჯერ არც დაბადებულა...“ – თავს ვიმშვიდებ. ჩემი მძივის ფორმის ცრემლებს საყლაპავი მილისკენ მივერეკები, მივანკარუნებ. მლაშეა.

– ხელი გამოგედო... არა უშავს, – ვუღიმი გიოს და ჩემს უსაყვარლეს მძივს, გიოსთვის შეუმჩნევლად, ვქაჩავ. არ მენანება. მთელ იატაკზე გაბნეული მძივის მარცვლები, ფანჯრიდან შემოჭრილ მზის შუქზე, ზღაპრულად ბრჭყვიალებენ.

## დაბრუნება

ალუბლებით სავსე პარკი ეჭირა ხელში. ჭიშკრიდან რამდენიმე ნაბიჯში, ქვის სკამთან იდგა გაქვავებული. გამხდარი, მოხრილი, მხრებში აწურული. გავშრი.

ჯერ ვერაფერი... მერე, მძულხარ-მეთქი, ხმა ვერ ამოვიღე და თვალებით ვუთხარი. მაპატიეო. ხმა — ვერც იმან.

რა გაპატიო-მეთქი, მე, ანანო და მამა მიგვყარე, ვიღაც კაცს გაეკიდე, ეგ გაპატიო-მეთქი? მძულხარ, მძულხარ-მეთქი.

შენი საყვარელი ალუბლები მოგიტანეო.

რამდენი ალუბალს დავინახავდი, იმდენს ვტიროდი, შენ მახსენდებოდიო. აღარ მიყვარს-მეთქი, ეგენიც მძულს. რამდენი შევხედავ, შენ მახსენდები, შევიძულე-მეთქი ეგენიც! ალუბალი არ იყო, რომ დაკრიფე და დიდი თასით დამიდგი, დაკრიფე და სახლიდან გაიკრიფე-მეთქი?! როგორ ტიროდა იმ ღამით ანანო... სანამ შენი ხალათი არ შემოიცვა მამამ და ისე არ აიყვანა, თვალი არ მოუხუჭავს-მეთქი.

სველები იყვნენ ალუბლები. სათითაოდ სველდებოდნენ. ან სადა ჰქონდა ამდენი ცრემლი?! მაპატიე, შვილო, მაპატიეო.

ეზოდან სიცილი შემომესმა, უცებ, ამათი. ეზოდან ჭიშკრისკენ მოინევდნენ. გამოაღეს და ვაიმე-მეთქი. სახლში შებრუნდით-მეთქი!

კიდევ მომიყვებო, მამი, კიდევო — ანანომ, ხმით. ამის შალი მოესხა მხრებზე. უამისტანსაცმლოდ ვერა ძლებდა მაინც.

აი, შენი და მოგიყვებო, მამამ და რომ შემომხედა... და რომ გაიხედა... და მამა რომ გაფითრდა... ანანომ, ეს ქალი ვინ არისო? — ხმით.

და იმის უხმო „მე ვარ, შვილო“ რომ გაიგონა...

დატრიალდნენ უცებ ჩემ გარშემო სამივენი, წრეზე დატრიალდნენ და ერთმანეთში აიზილნენ. სანამ ყველაფერი გაშავდა და ბალახში ჩავიკეცე, დავინახე, როგორ დაენარცხა პარკი ქვის სკამს და შემინებულები, ჩემკენ გამოგორდნენ დაბეჭილი, ცრემლნაკურები ალუბლები.








წიგნი-ჩეხუნი "ქართულ-ბერძნული ხელნაწიხი" (გამოცემული ხელნაწიხთა ეხოვნული ცენტრის მიხ) ხედაქიას მოგვანოდა საბუხითალოს წმინდა გიოჩგის სახელობის კაძიხის წინამძღვარმა - მამა აღუქანდხემ (ბოლქვადე). ეხითხევად მივიწწიეთ, ხოცა ჩვენთან საუბარში მან ბიძანა, ხომ XV-XVI ს.ს.-ის ქართული მწიგნობხოობისა და სელიეხი აზხოვნების, შემეცნებითი მწიშვნელობის ამ წიმშემის შესახებ ინფოხმაციას ყმანვილები უსათოდ უნდა ფლობდნენო.

ხელნაწიხისთვის დახთული მიმოხილვითი წეხილის ავტოხეუბი ეხა დულაშვილი და წინო ქავთაიხა (ხომლის ფეხამენსეცაყ ვაქეყენებთ) თავშივე აღწიშნავენ, ხომ დლეს ხესეთის ეხოვნედ ბიბლიოთეკაში დაცული ეს ნაშოომი, შინახსითი დიქეგიეული, კუქსებითი მხენოვანი - ქართული და ბეხძნული - სახახებხეული საეითხავების ეხებელია. აქევა სხოჰახეუბი, სავედხეუბელი დოცეუბი, თვენი, მაცხოვრისა და ავგახოზ მეფის მიმოწეხის აჰოქიფუელი\* ისტოხიაც.

ქართულ-ბერძნულ ეხებელთან ეხთად დახთული ფეხადი ხაკეუბიც, ბუნებხივია, იმ ეჰოქისაა. ხეთი საუკუნის წინანდელი თითოეული ეს მინიატეხა, იეონოგეხაფუელ-თეოლოგიეხი თვაცლახიხით, მეტად დიხებელია.



ჯვარზე გაკვრამდე უფლისთვის სამოსის განძარცვა

## ქართულ-ბერძნული ხელნაწერი

ქართულ-ბერძნული კრებულის ტექსტის ძირითადი ნაწილი ქართულია (ორ სვეტად, ნუსხურად ნაწერი); ტროპარები, სავედრებელი დოცეუბი და ცალკეული საკითხავები კი ბერძნულ ენაზეა.

ხელნაწერს არ ახლავს ანდერძი; ამდენად, მისი გადაწერის ადგილისა და დროის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. მას რესტავრაცია ბოლოს XVII ს.-ში ჩაუტარდა. ხელნაწერი ხელახლა აკინძეს და პაგინაციაც\*\* თავიდან გაუკეთეს.

ხელნაწერის ბოლოს დართული ასომთავრული წარწერა ამ განახლებული ტექსტის სავარაუდო გამამწერის ვინაობას გვიმხელს: „აქა წერილნო და გამოსახულნო, შემწე ექმენით სამებელს იაკობს“.

**საფიქრებელია, რომ ეს პიროვნება უნდა იყოს XVII ს.-ის ცნობილი სასულიერო მოღვაწე, სამებელ-კანარელი ეპისკოპოსი – იაკობი (წოლოყაშვილი).** მისი სახელი იმ ეპოქის ისტორიულ დოკუმენტებსა თუ წყაროებში არაერთგზის მოიხსენიება. ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტიც, რომ ხელნაწერი განახლებული და შემოსილია სწორედ XVII ს.-ში.

**ხელნაწერის შესახებ პირველი ცნობები XIX ს.-ში ფრანგი მეცნიერების ნაშრომებში გამოჩნდა. 1883 წელს ყოელ მურიემ** კავკასიის ხელოვნებისადმი მიძღვნილ ნაშრომში – „L'art au Caucase“ – გამოაქვეყნა ინფორმაცია ხელნაწერის შესახებ და იგი XVII-XVIII ს.ს.-ით დაათარილა. იმავე წელს შარლ როო დე ფლერმა თავისი ნაშრომის „La Messe“ – II ტომში გამოაქვეყნა გრიგორ გაგარინის მიერ შესრულებული ორი მინიატურის ასლი. როო დე ფლერმა ხელნაწერი XI ს.-ით დაათარილა.

**იგი აღნიშნავს, რომ ხელნაწერი სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე დადიანს ეკუთვნოდა.**

1911 წელს ქართულ-ბერძნული კოდექსის ინკოგნიტო მფლობელმა ხელნაწერის რაობის დადგენა ნიკო მარს სთხოვა. ნიკო მარმა ვლადიმერ ბენეშევიჩთან ერთად (ამ უკანასკნელმა ბერძნული ტექსტის პალეოგრაფია\*\*\* განსაზღვრა) ბერძნული და ქართული ტექსტები XIV-XV ს.ს.-ით დაათარილა.

**1913 წელს ხელნაწერი რუსეთის საჯარო ბიბლიოთეკამ შეიძინა.** სანკტ-პეტერბურგში ჩატარებული

ექსპერტიზისა და შეძენის აქტის გაფორმებისას ძველმა მფლობელმა ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა; თუმცა არქივში შემორჩენილი ჩანაწერის მიხედვით დადგინდა, რომ ხელნაწერის გამსხვიებელი ვინმე დოლაბერიძე იყო.

**სანკტ-პეტერბურგში მოხვედრისთანავე ხელნაწერმა მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო.** მას სხვადასხვა დროს იკვლევდნენ შალვა ამირანაშვილი, ლეონიდე შარვაშიძე, ვერა ლიხაჩოვა, პეტრე მიიოვიჩი.

**ხელნაწერი ბოლოს 1998 წელს ვრცლად შეისწავლა და მონოგრაფია მიუძღვნა ლილია ევსეევამ.** მეცნიერმა კრებული XVს.-ის ბოლოსთვის ათონის მთაზე შექმნილ ხატწერის სახელმძღვანელოდ მიიჩნია. **სამწუხაროდ, ხელნაწერში ჩართული ბერძნულ-ქართული**



წმინდა მამათა მსვლელობა: მათე, იაკობ ალფესი, თადეოსი, სიმონ კანანელი, ბასილი, გრიგოლ ღვთისმეტყველი

\* – ისეთი ბიბლიური თხზულება, რომელსაც არ სცნობს ეკლესია და ამიტომ არ შედის წმინდა წიგნში.

\*\* – წიგნის ან ხელნაწერის გვერდთა ნუმერაცია.

\*\*\* – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ძველი ხელნაწერების გარეგნულ მხარეს.

**ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება**

**ტექსტები საგანგებო კვლევის საგანი არასოდეს გამხდარა.** მათი შესწავლა კი ბევრ მნიშვნელოვან საკითხს მოჰყვებდა ნათელს. ბიზანტიური ხელოვნებისადმი მიძღვნილ კატალოგშიც ხელნაწერი XV ს.-თა დათარიღებული და ლიტურგიკულ კრებულადაა მოხსენიებული.

ქართულ-ბერძნულ ხელნაწერში ტექსტები განთავსებულია ხელნაწერის დასაწყისში, შუაში და ბოლოში. ნუსხაში, ზემოთ აღნიშნული ტექსტების გარდა, გვხვდება სხვა შინაარსის ტექსტებიც; მაგალითად: მოკლე ლოცვები ბერძნულ ენაზე. ლოცვის ტექსტი არის იმ წმინდანის იკონოგრაფიულ გამოსახულებასთან ერთად, რომლისადმიც არის მიმართული ლოცვა.

მკვლევარ ბორის ფონკიჩის დაკვირვებით, ამ ლოცვების ავტორი არის თავად ბერძნული ტექსტის გადამწერი. ხელნაწერში არსებული ბერძნული ტექსტობრივი ნაწილი შეიცავს ქართულისგან განსხვავებული შინაარსის საკითხავებს; მაგალითად, სამედიცინო ხასიათის ეპიგრამებს,\* რომლებიც წლის თითოეული თვის დახასიათებას შეიცავს. ამ

ტექსტში აღწერილი და დახასიათებულია ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანო ან სასარგებლო თვისებები.

**ეპიგრამის ავტორია XI-XII ს.ს.-ის ბიზანტიის საიმპერატორო კარის ექიმი ნიკოლოზ კალიკლე, რომელიც, იმავდროულად, შესანიშნავი პოეტიც იყო.**

აშკარაა, რომ ნუსხის შემდგენელი ენციკლოპედიური ცოდნის ადამიანი იყო და ხელნაწერსაც გარკვეულწილად სწორედ ამგვარი ფუნქცია ჰქონდა. საგანმანათლებლო შინაარსისაა ნუსხა, რომელიც მიზნად ქართველი მკითხველისთვის ბიზანტიური მწერლობის სხვადასხვა ჟანრის თხზულებათა გაცნობას ისახავდა.

ქართულ-ბერძნული ხელნაწერი ექვსი რთული ციკლისაგან შედგება.

**პირველ სერიაში** გაერთიანებულ მინიატურათა რიგი სახარებისეულ საკითხავებს მოსდევს და ქრისტოლოგიური ციკლის სიუჟეტებს მოიცავს. იგი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ქრისტეს მინიერი ცხოვრების თემას ავითარებს – ხარებიდან აღდგომამდე: „ხარება“, „შობა“, „მირქმა“, „ნათლისღება“, „იერუსალიმად შესვლა“, „ფერხთა ბანა“, „იუდას ამბორი“, „ქრისტე ჰეროდეს წინაშე“, „გზა გოლგოთისაკენ“, „აღდგომა“...

**მეორე სერიაში** ტროპარების ბერძნულენოვან ტექსტს ძველი აღთქმისეული სამების ორი სიუჟეტი, ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ცალკეულ დღესასწაულთა ამსახველი სცენები და წმინდანთა გამოსახულებები ასახავს.

ღვთისმშობლის ციკლიდან აქ იკვეთება ორი მინიატურა – „ღვთისმშობლის შობა“ და „მიძინება“; ძველი აღთქმიდან კი სიუჟეტები: „ანგელოზების შეხვედრა აბრაამთან“ და „აბრაამის სტუმართმოყვარეობა“.

მეორე ციკლის მინიატურები ხატურის იმ ნიმუშთაგან ავლენენ კავშირს, რომელთა თემატა თორმეტი

**წმინდანები: ზაქარია, მართალი ელისაბედი, თეკლა, ევფროსინე, იოანე მახარებელი**



დღესასწაული იყო. სიუჟეტურ სცენებს წმინდანთა გამოსახულებები ემიჯნება. წმინდანთა რიგში მართლმადიდებლური სამყაროს ყველა მნიშვნელოვანი ფიგურაა წარმოდგენილი. მხატვარს არ ავიწყდება ქართველი წმინდანების ჩართვაც და განდევილობისა და სამონასტრო ცხოვრების დამამკვიდრებელი წმინდანების – ანტონ დიდის, მაკარი მეგვიპტელის, ონოფრეს, საბა განწმენდილის, სვიმონ მესვეტის გვერდით ქართველ წმინდანებსაც – ეფთვიმე ათონელს, ილარიონ ქართველსა და პეტრე იბერს – გამოსახავს.

მესამე სერიაში წარმოდგენილი წმინდანთა რიგი შეგვიძლია ორად გავყოთ: 1) წმინდანები და შესაბამის თვეთა პერსონიფიკაციები; 2) ორ რიგად განწყობილი, წმინდანთა მედალიონში ჩაწერილი პორტრეტული მინიატურები შესაბამისი ტროპარებით.

წმინდანებისა და თვეთა პერსონიფიკაციებს ნიკოლოზ კალიკლეს ეპიგრამების ტექსტები და ლოცვები ერთვის. თვეთა ფიგურები, ძირითადად, სეზონურ საქმიანობას აღწერენ: სექტემბერი მიმინოთი მონადირეა, ოქტომბერი ფრინველებს იჭერს, ნოემბერი ხნავს, დეკემბერი კურდღლებზე ნადირობს, იანვარი ღვინოს აჭაშნიკებს, თებერვალი ცეცხლთან თბება, მარტი მეომარია, აპრილი მწყემსია ბატკნით ხელში, მაისი ყვავილების შემგროვებელია, ივნისი თიბავს, ივლისი მკის, აგვისტო რგავს.

ამგვარი ალეგორიული სახეები ბიზანტიურ ხელოვნებაში ელინიზმიდან გადავიდა და ფართოდ XII ს.-ში გავრცელდა. სწორედ ამ ხანისაა ვანის სახარებაც.

ქართულ-ბერძნულ ხელნაწერში თვალნათლივ ჩანს დასავლეთ-ევროპული ხელოვნების გავლენა; განსაკუთრებით კი – სამოსზე. სავარაუდოდ, მხატვარი უფრო გვიანდელ ხანაში გავრცელებული მზა მოდელებს სარგებლობდა. წმინდანები ორ სერიად იყოფა: სექტემბრიდან ნახევარი წელი ეთმობა წინასწარმეტყველებს, ხოლო მარტიდან მეორე ნახევარი – მონამეებს.

წმინდანთა მეორე ნაწილი თითქმის ყველა მნიშვნელოვან ფიგურას წარმოგვიდგენს. საერთოდ, ხელნაწერის ეს თავი მოიცავს 12 მოციქულის, 24 მღვდელმთავრის, 30 წმინდანის, 29 წინასწარმეტყველის, 6 ბიბლიური მამის, 113 მონამის, 5 უვერცხლო მკურნალისა\* და 24 წმინდა დედის პორტრეტულ მინიატურას.

აქვეა მედალიონში ჩაწერილი წმინდა წინოს სახეც.

მეოთხე სერია თავისი შედგენილობით უნიკალურია. პირველი მინიატურა წმინდა იოანე ნათლისმცემელს უდაბნოს ანგელოზის სახით წარმოგვიდგენს. მის წინაშე ლანგარზე დასვენებულია მისივე მოკვეთილი თავი. ამ ციკლის მნიშვნელობას ხაზს უსვამს მასში ჩართული ქართველ წმინდანთა გამოსახულებებიც.

მეხუთე სერია ქრონოლოგიურ რიგზე განწყობილი თვეთა დასურათებულ ციკლს მოიცავს. საწელიწდო რიგზე განწყობილი წმინდანთა რიგი, მოძრავი და უძრავი დღესასწაულებით – ქართულ-ბერძნული ხელნაწერის ყველაზე მოცულობითი ნაწილია.

მექვსე სერია განკურნებათა და სასწაულთა თოთხმეტ სცენას აერთიანებს. ისინი სხვადასხვა სახარებიდანაა ამოკრებილი. სიუჟეტების თანამიმდევრობა სახარებისეული მოვლენების ქრონოლოგიას არ შეესაბამება: „ქრისტე და სამარიელი დედაკაცი“, „ბრმადშობილის განკურნება“, „წყალმანკიანი კაცის განკურნება“, „კეთროვნის განკურნება“, „ქრისტე და მრუში დედაკაცი“, „გამოცხადება ტიბერიის ზღვის პირას“... თითოეულ ამ მინიატურას იოანეს სახარებიდან აღებული ტექსტი ახლავს.

XV-XVI ს.ს.-ის ქართული წიგნის მხატვრობაში ქართულ-ბერძნული ხელნაწერი ყველაზე ახლოსაა ათაბაგთა კარის ხელნაწერ ნიმუშებთან. ხელნაწერი ოთხი მხატვრის დასურათებულია. ისინი ნიმუშებად სხვადასხვა წყაროს იყენებენ. სახეზეა ათონური და ათონთან დაკავშირებული მხატვრული წრის გავლენა. შეიძლება, ვიფიქროთ, რომ კრებული კერძო პირისათვის პირადი მოხმარების მიზნით შექმნილი ლიტურგიკული ნაშრომია.

ქართულ-ბერძნული ხელნაწერის გაფორმებაში ნათლად აისახა იმდროინდელი ქრისტიანული სამყაროს მხატვრული გემოვნება, ტრადიციისადმი ერთგულება, იკონოგრაფიული და სტილური თავისებურებანი და ის ძიებები, რომლებიც ლიტურატურულ და მხატვრულ შემოქმედებას წინსვლისაკენ უბიძგებდა.




თვის ფიგურა: ოქტომბერი – ჩიტების დამჭერი



(ზემოთ) წმინდა პეტრე (იბერიელი), აბრაამი; (შუაში) წმინდა ილარიონი, წმინდა ეფთვიმე (იბერიელი), წმინდა იოანე ნათლისმცემელი – ლანგარზე დასვენებული მისივე თავით; (ქვევით) წმინდა გიორგი (სავარაუდოდ, იბერიელი), წმინდა იოანე (იბერიელი)

\* – წმინდანი, რომელიც მკურნალობისთვის არანაირ საზღაურს არ იღებდა.



## შეხვედრა

ისტორიები, რომელიც ომის დროს „თავისით იწერება“, ყველაზე წარმატებული მწერლებისა და რეჟისორებისთვისაც კი გამორჩეულად მომგებიანი თემაა. ემოციური თავგადასავლები მრავლად ახასიათებს XX ს.-ის 90-იანი წლების აფხაზეთის ომს.

შთამბეჭდავი ამბავი, რომელსაც ჰყვება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტრანსპორტის სამსახურის ყოფილი უფროსი – მიშა ანდლულაძე, გამოირჩევა ომის მძაფრი ასიუფეტისთვის დამახასიათებელი ექსპრესიულობით.

ეს არის აფხაზეთის ომისდროინდელი ეპიზოდი, როცა ფრონტის სხვადასხვა მხარეს მყოფი აფხაზი და ოსი მფრინავები ერთმანეთს შეხვდნენ „ქართულ ცაზე“...

თბილისის აეროპორტში, სხვებთან ერთად, მუშაობდა ეროვნებით ოსი, სერგო გაზაევი, რომელსაც ახლობლები სიყვარულით „გაზიკას“ ეძახდნენ; სოხუმის აეროპორტში კი – აფხაზი სლავა ეშბა, როგორც მას მეგობრები ახასიათებდნენ, ძალზე პოზიტიური პიროვნება.

90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც პოლიტიკური ვითარება საქართველოში მკვეთრად დაიძაბა და ბოლოს, აფხაზეთის ომიც დაიწყო, თბილისელი პილოტები სოხუმელ მფრინავებთან ერთად ემსახურებოდნენ საჯარისო ფორმირებებს: შესაძლებლობის ფარგლებში საჭირო ტვირთი ჩაჰქონდათ ბაბუშარის აეროპორტში, ჩაჰყავდათ იქ მეომრები, იქიდან კი დაჭრილებთან და გარდაცვლილებთან ერთად ბრუნდებოდნენ...

იმ წლებში აფხაზი მფრინავი სლავა ეშბა აღმოჩნდა ფრონტის მეორე მხარეს, როგორც აფხაზური საჰაერო ძალების სარდალი.

1993 წლის ადრიან გაზაფხულზე, ბაბუშარის აეროპორტიდან TY 134 აფრინდა, დაჭრილებით, ჯარისკაცებითა და გარდაცვლილებით გაძედილი. მას სერგო გაზაევი მართავდა.

აფრენიდან რამდენიმე წუთში თვითმფრინავის რადარმა საფრენი ხომალდის უკანა მხრიდან მისკენ მოძრავი მფრინავი ობიექტი დააფიქსირა.

მიახლოების სიჩქარის მიხედვით „გაზიკამ“ განსაზღვრა, რომ მას სამხედრო თვითმფრინავი უახლოვდებოდა. იმასაც მიხვდა, რომ ეს იყო მონინალმდეგის თვითმფრინავი.

სერგო გაზაევმა თბილისს მიაწოდა ინფორმაცია, სამხედრო ხომალდი გვიახლოვდება და, სავარაუდოდ, გვიპირებს ჩამოგდებასო.





## ც ა შ ი...

ზოგადად, TU 134 ერთ-ერთი ყველაზე ტლანქი და ცუდი მანევრის მქონე თვითმფრინავია. მისგან გაქცევა ან რაიმე ფანდით რაკეტისა ან ჭურვის აცილება თითქმის წარმოუდგენელია... მოკლედ, ეკიპაჟს გადარჩენის შანსი თითქმის არ ჰქონდა. ამ დროს პილოტ გაზავეს სიხშირეზე ხმა ჩაერთო:

– Газик, брат, это ты?

ჯერ იფიქრა, შიშისგან მოჩვენებები ხომ არ დამეწყოო... უცნობმა შეკითხვა ისევ გაუმეორა.

– Да, это я! – უპასუხა.

– Наверно, ты меня не узнал! Я Слава Эшна! – გაისმა ყურსასმენში.

ამის გაგონებაზე მეტი ვერაფერი მოიფიქრა და სალამი ენის ბორძიკით დაუბრუნა:

– Привет, Слава!

– Привет! Вот мы и встретились, брат! – ისევ ისმის აფხაზი მფრინავის ხმა.

დაბნეულობას თავს მაინც ვერ აღწევს გაზავევი:

– Да, встретились и что будет дальше?!

– Дальше? Дальше ничего! Живи, брат, живи!.. – უპასუხა ეშბამ.

შემდეგ მისმა ხომალდმა „გაზიკას“ TU 134-ს დაბლიდან დიდი სიჩქარით ამოუფრინა, გაასწრო, მერე სიმაღლე აკრიფა, მარცხენა ვირაჟით\* წრე მოხაზა და უკან, სოხუმისკენ გაფრინდა. რაციაც დადუმდა...

მეგობრებთან საუბრისას ოსი მფრინავი სერგო გაზავევი ხშირად იხსენებს დღეს, როცა ბედისწერამ ცაში შეახვედრა ძველ ახლობელს, რომელმაც სიცოცხლე აჩუქა.

საუბარია აფხაზ მფრინავ ვიაჩესლავ ეშბაზე, გასული საუკუნის 70-იან წლებში ეგოროვის საავიაციო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულზე; მსახურობდა საბჭოთა ავიაციაშიც.

ამჟამად ვიაჩესლავ ეშბა „აფხაზეთის საერთაშორისო აეროპორტ“ „სოხუმის“ გენერალური დირექტორია.

ალბათ, ისიც ხშირად იგონებს ომისდროინდელ შეხვედრას ცაში, ვირაჟით მოხაზულ წრეს და არამარტო „გაზიკას“, TU 134-ში ძალიან ბევრი ქართველის გადარჩენილ სიცოცხლეს...





მაია მიქაია

მაია მიქაია თანამედროვე ქართული ჰოჯონიის ერთ-ერთი გამოჩენილი ხმაა, ინდივიდუალური და თავისთავადი. მაია გარშემო დაიბადა და გაიზარდა. მშობლიური სამეხზაყანოს მონაცხებით გამოწვეული სევდა ხშირად ხმოვანებს მის ლექსებში. ჰოჯონის კტივილი ახ შეიძლება, უნეგემო იყოს, ხადგანაც "იქ ზახი ქახთუდად ხეხს" ჯეხაც... ნანახი ნაჰიხებს მაია ფიქით ხშირად სტეჰიხობს. ასე იბადებთან მისი შესანიშნავი სტიჰიქონებიც...

## ილორის ზახი

მაია მიქაია

ილორის წმინდა გიოჰიგის სახელობის კაძახის გუმბათი შეუცვალეს და თუთხად გაძალებეს. მხოლოდ ზახი ახ შეუცვლიათ...

თურმე ერთ ტაძარში მე და შენ  
 მოგვნათლეს და გვაცხეს მირონი,  
 მადლივით წვეთავდა ზედაშე  
 და ჯვარი გვლოცავდა ილორის.

თუმცა არც დღეს ვიტყვით იხტიბარს,  
 არ ისმის იქ ლოცვა ქართული  
 და თავზე გვადგამენ ირიბად  
 გვირგვინად დახლართულ მავთულეებს;  
 გუმბათებს და კედლებს დაბზარულს  
 ცრემლი სდით დაბინდულ ფრესკებზე,  
 ღრუბლები შავად და ტაძარი  
 ადგნენ და... ნისლისფრად შეღებეს;

გული კი ფრთხილებს და ვიდრე  
 დარეკავს გონების სამრეკლო:  
 - დაინდე!  
 - დაინდე!  
 - დაინდე!..

მაფრთხილებს:  
 - არ ენდო!  
 - არ ენდო!..

უნაზეს ლოცვიან სიტყვათა  
 მდინარე არ მინდა, დადუმდეს.  
 კვლავ წმინდა გიორგი გვიფარავს  
 მე და შენ - ილორის ნათლულეებს.

ძარღვებში სისხლივით იარა  
 მადლმა და ვანთებდი იქ სანთელს,  
 რომ ზღვიდან მთებამდე კი არა,  
 ტაძრიდან ტაძრამდე გიყვარდე.

ტაძრამდე, რომელშიც სულის მზე  
 ზღვის ფსკერზე დროებით ჩასულა.  
 შენ იცი, ის ზარი გულში ძგერს,  
 იქ მხოლოდ ზარი რეკს ქართულად!





\* \* \*

ვიკავებ სუნთქვას –  
 ზღვის ფსკერი ვიგრძნო...  
 იქნებ, ნიჟარას  
 ან კენტს ფსკერიდან  
 დავწვდე... რა ძალით  
 ნამიღე, ფიქრო,  
 ნანატრ ნაპირად,  
 ფიჭვის ხეივანად...  
 ნეტავი, იმ წლებს!..  
 ნეტავი, იმ დროს!..  
 ნეტავი, ახლა  
 გამასეირნა!..



## მამა

სნეული მამა ველარ სწევდა  
 თავის წილ უღელს,  
 ნალვლიან დედას  
 ჰპირდებოდა ფეხზე დადგომას,  
 მალე სამყოფი ექნებოდათ  
 რძე და ნადული,  
 თეთრშუბლა ფური  
 მოიგებდა ხბოს ამ აღდგომას.

აყურადებდა შემის ტკაცუნს,  
 თვლემდა ბავშვი და  
 დედა ქვეყანას უხატავდა  
 ზღაპრულ ფერებში.  
 დილით მერცხალი შემოფრინდა  
 ღია სარკმლიდან  
 და მამის სული გაიყოლა  
 სასუფეველში...



## სასჯელი

ათასჯერ მოგკვდი, ათასი წლის ვარ,  
 ათასი წყენა ვმაღე ათასჯერ.  
 ყველა ტკივილი მახსოვს და მტკივა,  
 ათასჯერ ვცოდე, ერთხელ დამსაჯვს  
 შენით...  
 ბზარებში სინათლის სხივად  
 ამტკივდი ბნელში თვალებგახელილს,  
 მაგრამ ხარ დღემდე ყველაზე ტკბილი  
 და სასურველი ჩემი სასჯელი.

შენ თუ მიშველე,  
 შენ თუ მიშველე,  
 ღამისკენ გულ და თვალებმიბჯენილს,  
 როცა თავხედი ბედის სიშლეგით  
 დაფლეთილ სულში შემოიჭერი  
 სხივად,  
 რომელსაც აღარც ველოდი  
 დაბადებიდან ვიდრე ნახვამდის...  
 კიდევ კარგი, რომ ირგვლივ ბნელოდა,  
 თორემ შენც ველარ დაგინახავდი.





ზაირა მიქაშაძე

მოგოი იქნება განცდა, მოცა სიზმხადეყევი აფხაზეთის მინაზე თეხს ჰიხვეად დავდამთ, აღბათ, ბევიჩევი გვიფიქია ამაზე. ნეხილის "ენგუხსგალმა საქაიხვეოს" ავტომა ქაღბაკონმა ზაიხა მიქაშაძემ ცხადში შესძლო ამ ნაცუხის ასხელება (უნდა აღინიშნოს, გაზეთ "ვეტეხანის" ხედაქოხისთვის დიდი გაბედლება იყო აფხაზეთში შესვლა). უამაჰ დანებით თუ უახოფით ემოციასთან ეხთად იგი ზუსტად გადმოგვცემს თავის იმჟამინდელ სულიეხ მდგომარეობას: "თეხს ვადგამ ქაიხუე მინას აფხაზეთში და მაშინვე მეუფლება შეზღუდელი თავისუფლების შეგხძნება".

ავტომათან ეხთად ამ შეზღუდელი თავისუფლებით ვმოგზაუხოთ აფხაზეთში, სადაც ომის სასტიკი ნაფეხეხები ყოველ ნაბიჯზე იგხძნობა. ეხოს მახითაც ვეი ჩამოუხეცხავს დაბომბილი შენობებიდან ენთის ევანი, მაგხამ ადამიანთა გულებს ცოტათი მაინც შეხებია და ეეთესობისენაყ შეუცვლია. ეს იგხძნობა ადგილობრივებთან ეხითეხობაში, იმ ეთიღანწყობაში, სტუმრის მიმართ ხომ გამოსატავენ.

მომავეის იმედი მოაქვს ჩვენთვის ქაღბაკონ ზაიხა მიქაშაძეს ენგუხსგალმა საქაიხვეოდან.

## ენგურს ვაღმა საქართუელო

ზაირა მიქაშაძე

ომის შემდეგ აფხაზეთის მონახულება არა თუ ოცნებად, სიზმრადაც მქონდა გადაქცეული. გარდა იმისა, რომ ძალიან მენატრებოდა კუთხე, რომელსაც 13 თვე თავგანწირვით ვიცავდით, მინდოდა, გამეგო, როგორ ცხოვრობდნენ აფხაზები უქართველებოდ. სურვილი ამიხდა და 2014 წლის 20 დეკემბერს აფხაზეთის გზას დავადექი.

ენგურის ხიდზე ვარ. ვშიშობ ჩემი პროფესიის გამო. იმის გამოც, რომ აფხაზეთის ომში ჩვენი ბიჭების გვერდით ვიდექი. ვლეღავ იმ ემოციის გამო, რაც აფხაზეთში მელოდება. ვაი, თუ, საერთოდ არ გადამიშვან? – ამის გაფიქრება უფრო მეტად მძაბავს და მაფორიაქებს. ფეხს ვადგამ ქართულ მინას აფხაზეთში და მაშინვე მეუფლება შეზღუდული თავისუფლების შეგრძნება. შიშიც, რადგანაც მაინც „მტრის“ ბანაკში ვარ. თუმცა ძალიან მინდა, ხალხს, რომელთანაც ერთად ცასა და მინას ერთნაირად ვიყოფდით, მტრად არ აღვიქვამდე.

ეს სოფელი ოტობაია – და კიდევ ჩნდება პირველი შთაბეჭდილება ნაომარ აფხაზეთზე. ხიდიდან დაახლოებით ორ კილომეტრში რუსული ბაზა მდებარეობს, სამხედრო დანიშნულების, ახალაშენებული შენობებითა და გარშემო სიცოცხლედაკარგული გარემოთი. გალის ცენტრში რუსების კიდევ ერთი სამხედრო ბაზაა. ბაზის ტერიტორიაზე ოკუპანტებს რუსული ეკლესია აუგიათ.

**გალიდან გეზს სოხუმისკენ ვიღებთ. მატარებლის სადგურთან ვჩერდები. ვადამწვარ შენობას ჩამოშლილი ასოები საწყლად ჩამოჰკიდებია, მაგრამ**

**კაცი მაინც ადვილად ნაიკითხავს წარწერას: „რკინიგზის ვაგზალი. გალი“.**

სადგურის გარდა ქალაქ გალში უამრავი საცხოვრებელი სახლია დამწვარი. ძნელია, აქაურობას მშვიდად უყურო ადამიანმა. ღმერთს გამძლეობას ვთხოვ და აფხაზეთის დათვალიერებას ვაგრძელებ.

შეშელებით ვართ და გეზს ვიღებთ სოფლის სასაფლაოსკენ, სადაც სანაიების ოჯახის ექვსი წევრი განისვენებს. გზად ცარიელი სკოლის შენობა გვხვდება; არაფერია იმაზე შემზარავი, როდესაც სკოლის ეზოში მოსწავლეების ყრიაშული აღარ ისმის და ფანჯრებიდან ბავშვური სიფაქიზით გაბრწყინებული თვალები არ იცქირება. ჯოჯოხეთს ჰგავს აქაურობა. ოდესღაც კოხტა და ხალხმრავალი სოფელი უკაცრიელ, შემზარავ ადგილად გადაქცეულა.

**წვიმს. აწვიმს ზურგში პანია მხრებზე ჩანთამოკიდებულ პატარა ბიჭსაც, რომელმაც სკოლამდე რამდენიმე კილომეტრი უნდა გაიაროს. იგი დადის აფხაზურ სკოლაში, სადაც მშობლიურ ენას არ ასწავლიან. აწვიმს სიცვიისგან გალურჯებულ ხელებზე, რომელსაც ხანდახან სველ ჯიბეებს აფარებს. მიუხედავად დაუნდობელი ამინდისა, მაინც ჯიუტად მიდის და ვაჟკაცურ ნაბიჯებს ტალახებში მიატყაპუნებს. ეს ბიჭუნა აქაურობის ერთადერთი დამცველია. სწორედ მისი ბაგეებიდან წამოსულმა ქართულმა სიტყვამ უნდა გაათბოს ეს ძირძველი მინა. მისმა ონაერულმა თამაშმა უნდა აახმაუროს და ააყრიაშულოს „დაბერებული“ აფხაზეთი.**

ვინროკალაპოტიან წყალთან ვჩერდებით. საცალფეხო ხიდს ვადავდივართ და მიუყეგებით ფერდობს, სადაც სოფლის სასაფლაოა შეფენილი. შუადღის სამი საათია. მამალმა დაჰყვილა და სიცოცხლის არსებობაც ვიგრძენი. ახლა ეს მამლის ყვირილი ყველაზე მეტად მახარებს, რადგან ამ ჩონჩხადქცეულ ადგილებში ნასიცოცხლარის ჩუმი მისტიკა ოდნავ მაინც ირღვევა.

სასაფლაოს ჭიშკარს ვაღებთ და საფლავთან მივდივართ. წლების წინ







ოჯახის ექვსი წევრი: 20 და 21 წლის ძმები - მამუკა და მანუჩარ სანაიები, მათი მამა, ბებია-ბაბუა და სანაიებთან სტუმრად მყოფი ნათესავები უეროვნებო მკვლევებმა ერთ ღამეში ამოხოცეს. მხოლოდ ოჯახის დიასახლისი გადაურჩა მათ სისასტიკეს და ისიც იმიტომ, რომ სახლიდან წამლისთვის იყო გასული. ავადმყოფი ძმები და მათი ბებია-ბაბუა აფხაზებმა პირდაპირ ლოგინში ჩაცხრილეს. „ტრაგიკულად დაღუპულ შვილებს დედისაგან“, - ვკითხულობ ქვაზე წანერილ იდუმალებით მოცულ ეპიტაფიას, რომელიც სანაიების დაღუპვის ნამდვილ მიზეზს ერთადერთი მიზეზით მალავს - ასეთ ფაქტებზე აფხაზეთში ქართველები ხმამაღლა ვერ საუბრობენ.



გზადაგზა მიტოვებულ სასაფლაოებსაც ვხვდებით. უფრო სწორად, ეკლებსა და გამხმარ ბალახებში ჩამალულ რამდენიმე საფლავს, რომელიც ოდესღაც აქ სასაფლაოს არსებობაზე მეტყველებს. უპატრონო საფლავებზე სანთლებს ვანთებთ და აოხრებულ ადგილებში მიმავალ გზას მორიგი შემზარავი კადრის სანახავად მივყავართ.

მთლიანად განადგურებულია სოფელი პირველი აჩიგვარაც. სოფელი ილორთან, ტყვარჩელის გადასახვევში, აღმართულია აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალური დაფა, რომელზეც ამ კუთხეში დაღუპულ აფხაზ მეომართა ფოტოებია გამოფენილი (აფხაზეთში სულ ასეთი 18 მემორიალი დავთვალე, შეიძლება, მეტიც არის).

„ტამიში“ - ლამის, გული გამიჩერდეს ტრაფარეტის დანახვაზე. სოფელში შევდივართ და ენით აღუწერელი ემოცია მეუფლება. ეს მინა ჩვენი ბიჭების სისხლითაა მორწყული. ამ მიდამოებში ჩვენმა მეომრებმა დიდი ბრძოლები გადაიტანეს - ბრძოლები აფხაზეთისთვის, საქართველოს ერთიანობისთვის.

აქაც, ტამიში, სადაც რუსული დესანტის წინააღმდეგ ბრძოლები მიმდინარეობდა, აფხაზ მეომართა ფოტოებით გადაჭედილი კიდევ ერთი მემორიალური დაფაა აღმართული. ვითვლი ფოტოებს და მინდა, რაც შეიძლება, ნაკლები იყოს, მაგრამ... დაფაზე აფხაზი მეომრების 53 სურათია. ვათვალიერებ ფოტოებს, რომლებზეც 20-23 წლის ბიჭების სახეებია აღბეჭდილი. ზუსტად ისეთივე ლამაზები, ისეთივე ვაჟკაცურები, როგორებიც - ქართველი ბიჭები აფხაზეთის ომში.

**და აი, მონატრებული სოხუმი. სიმშვიდეა წვიმიან ქალაქში, ადამიანებიც კანტი-კუნტად დადიან. მინისტრთა საბჭოს წინ ვდგავარ და დამწვარ შენობას შევყურებ. სულ ბოლოს ამ შენობაში 1993 წლის 4 მაისს ვიყავი. მაშინაც წვიმა იყო, სოხუმი კი - დღევანდელივით მოწყენილი. მაშინ სოხუმის თავზე ბომბები ცვიოდა. ახლა კი ქალაქს იმ ბომბების კვალი საშუადამიო იარაღ ამჩნევია.** ფეხს ვადგამ მინას და სისხლი მეყინება - აქ ქართველ მეომრებს სასტიკად მოექცნენ. მინისკენ ვიხრები და ხელით ვეხები ჩვენი ბიჭების ნასისხლარს. მერე მინისტრთა საბჭოს წინ მდებარე სკვერში ბუმბალისა და მაგნოლიის ფოთლებს ვკრეფ და სამახსოვროდ მომაქვს.

ვიდრე სოხუმს დავათვალიერებდი, ვფიქრობდი, მინისტრთა საბჭოს შენობას მუზეუმად ხომ არ ინახავენ, როგორც გამარჯვების სიმბოლოს-მეთქი; მაგრამ მას შემდეგ, რაც ომის დროს დამწვარ სასტუმრო „აფხაზეთსა“ და სოხუმის რკინიგზის ვაგზალს იგივე მდგომარეობაში ვნახულობ, ვხვდები, რომ რუსები აფხაზებს არ უქმნიან ისეთ ინფრასტრუქტურას, რაც მათ კომფორტს მოუტანს.

სოხუმში მატარებელი დადის, მაგრამ ვაგზალი არ ფუნქციონირებს. ომის დროს ეს შენობა გამურული და გადამწვარი იყო, მის თავზე კი დაფლეთილი ქართული დროშა ფრიალებდა. შენობა ისევ დამწვარი და გაპარტახებული დგას, მხოლოდ შავი მური ჩამოურეცხავს წვიმას დროთა განმავლობაში და მის თავზე აღარც ქართული დროშა ფრიალებს.

ახლა მივუყვებით ფაჩულიას აღმართს, სადაც დგას ლეგენდარული ქართველი გმირის, გენო ადამიას სახლი, რომელიც სხვებს მიუსაკუთრებიათ. ამ ვინრო და პატარა ქუჩას ომის კვალი დღემდე ატყვია. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ აჩადარაშიც. მდინარე გუმისთაზე კიდევ ერთ მემორიალს ვანყდებით, პირდაპირ ზედ კლდეზე მიმაგრებული ფოტოებით.

**თვალს ვავლებ მემორიალურ კლდეს და ქართული ხალხური ლექსი მახსენდება: „იქნება, ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამიძიარ ვუთხრა ჭირისა...“** თვალს ვავლებ მემორიალურ კლდეს და როგორც ქართველს, სინდისი მქეჯნის, რადგან აფხაზეთის ომის თავიდან აცილება ვერ მოვახერხეთ. ალბათ, ასევე, ქეჯნის სინდისი ბევრ აფხაზსაც, რომელთაც ქართველების გარეშე ცხოვრება არაფრად უღირთ, რომელთაც ქართველი მეზობელი ენატრებათ.

„ვის უნდოდა ეს ომი? - კარგად ვიყავით, როცა ერთად ვცხოვრობდით“; „ამ ომში ყველა წაგებულები ვართ, აფხაზებიც და ქართველებიც“; - ეს არის





**ფრანგები, რომელთაც აფხაზეთში აფხაზებისგან ვისმენ.** ვამაყობ იმით, რომ ჩემში ქართული სისხლი სჩქეფსო, – ეს სიტყვები გალის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გვითხრა. სამხედროფორმიანმა, ნელზე რევოლვერმიმაგრებულმა, მონინებით ჩამოგვართვა ხელი და ხმაში ეტყობოდა ის სინანული, რაც დაგვეუფლა ორივე მხარეს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გაფუჭებით. სხვა აფხაზებმაც, ჯერ შორიდან, მოკრძალებულად დაგვიკრეს თავი და როდესაც გაიგეს, რომ ქართველი ვარ თბილისიდან, ხვევნა-კოცნით შემხვდნენ.

სოხუმიდან გეზ ვიღებთ გუდაუთისკენ. მივდივართ აფხაზების მანქანით. ჩვენი თანმხლები ქალბატონი ტელეფონის ნომერს კრეფს:

– Нана, послушай твой родной язык, – ეუბნება მეზობელს და ტელეფონს მანვდის.

ყურმილის მეორე მხრიდან აქვითინებული ქართველი ქალის ხმა ისმის. ომის დროს იგი აფხაზ მეზობლებს დაუმალავთ და შეუკედლებიათ.

**გუდაუთაში აფხაზი ოჯახი გვმასპინძლობს. სახლში შესვლისთანავე ანსამბლ „ერისიონის“ ცნობილი კლიპი იქცევა ყურადღებას. მთიულურის ცეცხლოვნი მუსიკით აქაურობა ინგრევა. პატარა შიში მაინც მაქვს, მაგრამ აფხაზების სითბო და გულუხვი მასპინძლობა მას სრულიად მიქარწყლებს.** ვფიქრობ, შურისძიების გრძნობა რომ გააჩნდეთ, მათ ხელში არა ვარ, ან ქართველების მიმართ ზიზლი და სიძულვილი რომ ამოძრავებდეთ, სახლში საერთოდ არ შემიშვებდნენ-მეთქი.

ჩემს მასპინძელ აფხაზებს ინტერნეტით მათი მეზობლის მოძებნაში ვეხმარები. არაჩვეულებრივი, მონატრებით სავსე და ემოციით დატვირთული საუბარი აქვთ.

– Приезжай, к нам, брат, мой! – ეუბნება ოჯახის დიასახლისი, ცრემლიანი თვალებით შესცქერის ცოლს ოჯახის თავი.

დღით სკოლაში მიმავალ აფხაზ გუდაუთელ ბავშვებს ვხვდები, ერთმანეთში რუსულად მოსაუბრეებს. ვუსმენ და ვფიქრობ, აფხაზური ენა იკარგება, იკარგება ქართულ-აფხაზური ძმობაც. ამ ბავშვების მშობლები ახლო წარსულში ქართველ თანაკლასელებთან ერთად ერთ მერხზე ისხდნენ.

– სად არის აფხაზეთის სახელმწიფო? 100 კილომეტრიღა ვართ დარჩენილი, რუსები დღითი-დღე სწევენ საზღვარს! – ეს 23 წლის ბიჭის სიტყვებია. მან გუდაუთიდან მძიმე ავადმყოფი 20 წლის და უნდა ჩამოიყვანოს თბილისში. იცის, რომ ქართველები არაფერს დაუშავენ, მაგრამ ცოტაოდენი შიში მაინც აქვს.

ისევ სოხუმში ვარ. ცენტრალურ ბაზარში მშობლიურ ენაზე საუბარს არ ვერიდებით. ქართული სიტყვები ესმით და ხვდებიან, რომ ქართველები ვართ. მიუხედავად ამისა, ჩვენს კითხვებს ზრდილობიანად და თბილად პასუხობენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველების მიმართ აგრესია გამქრალი აქვთ.

იგივე დამოკიდებულებაა ქართველებშიც. **როცა აფხაზეთში მივდიოდი, აფხაზეთის ომის ვეტერანებმა დამბარეს, გადაეცი, დაბრუნებას არ ვთხოვთ, მაგრამ, იქნებ, ჩვენიდან დაინყოს დათბობა, ვინც ერთმანეთის პირისპირ ვიდექით და ვისროდითო... უყუარებ ამ ადამიანებს და ვფიქრობ, აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.**

**აფხაზური ვოიაჟი სრულდება. ხვალ აფხაზეთი უნდა დავტოვო. ვემშვიდობები მხარეს, რომელსაც, ვინ იცის, კიდევ როდის ვნახავ. უკანასკნელ საათებს ვითვლი და წვიმისაგან განუწული აფხაზეთის მინას ვენაფები.** ტყვარჩელში, ბებესიდის ტბებამდე, მიუვალ გზას მივყავართ. მიუხედავად იმისა, რომ სარეველა ბალახებში ჩაფლულა ტბები,





აქაურობა მაინც ძალზე მიმზიდველია. ამბობენ, 200-კილოგრამიანი თევზები ბინადრობენო ბებესიდის ტბებში. იმასაც ამბობენ, სოხუმის დაცემის შემდეგ, დახოცილების დამარხვას რომ ვერ აუდიოდნენ, მოჰქონდათ და გვამებს პირდაპირ ტბაში ყრიდნენო. თევზებიც ამიტომ გაზრდილან თურმე და გამხდარან ასე უზარმაზარნი. არ ვიცი, ეს თქმულება სინამდვილეს რამდენად შეეფერება, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ეს ულამაზესი ადგილი მოუვლელი და გაველურებულია.



ლამეა. ჩემგან 50 მეტრში რუსული ბაზა მდებარეობს. ქვეცნობიერად

მე ამ ბაზის შიშიც მაქვს ახლა. მაფიქრებს, ხვალ ე.წ. „საზღვარზე“ როგორ გადავალ; არადა, უკვე მენატრება აფხაზეთი და ვფიქრობ, ნეტავ, კიდევ შემომატარა ის ადგილები, რომლებიც ამ დღეებში მოვინახულე.

**მაფიქრებს ქართველების მდგომარეობა, ასე უფლებიანი, ეროვნებაწართმეულები როგორ ან როდემდე გაძლებენ?! მაფიქრებინან აფხაზებიც, ქართველებზე არანაკლებ თვითმყოფადობადაკარგულები. ვფიქრობ იმ ქართველ და აფხაზ ბიჭებზეც, რომელთა მემორიალები ენგურს გაღმა-გამოღმა, საერთო მიწაზე, მოგებული და წაგებული ომის სახელითაა აღმართული. ვფიქრობ კუთხეზე, რომელსაც გამარჯვების არაფერი ეტყობა. ისე კი დროშებით, ფოტოებთან მემორიალებითა და ომის კადრებიანი ბანერებითაა გადაჭედილი აფხაზეთი, სადაც ხშირად შეხვდებით წარწერას: „Победа - 1992-93“.**

მიუხედავად ამისა, ამბობენ და ჩვენც ვეთანხმებით – ამ ომი ორივე მხარემ წავაგეთ, აფხაზებმაც და ქართველებმაც. და ეს რომ წამდვიალდ ასეა, დრომ კარგა ხანია, აჩვენა – აფხაზებმა საკუთარი ძალებით ვერ შეძლეს, თუნდაც, ეკონომიკური მიმართულებით წინ წაწევა. მათი „პატრონი“ კი ამაზე თავს დიდად არ ინუხებს; ამასთანავე, აფხაზები ამკარად გარუსების გზასაც ადგანან. „СТОЯТЬ“ – გაჰყვირის ინსპექტორი სოხუმში და მანაქანას აჩერებს. სარეკლამო ბანერები და განცხადებებიც მეტწილად, რუსულ ენაზეა დაბეჭდილი. მოსახლეობასაც ბავშვები რუსულ სკოლებში დაჰყავს.

როგორც იქნა, გამოიდარა. აფხაზეთი თბილად მემშვიდობება. მოწმენდილ აფხიარ ცაზე მზე ოქროსფერ სხივებს აფრქევს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლოდროინდელი, სასტიკი წარსულით გადაშლილ წიგნსა ჰგავს აფხაზეთი, მაინც სასწაულად ლამაზი და ვერდასათმობია იგი. ვერც მე ვთმობ ასე ადვილად, მაგრამ სტუმრობის ვადები ინურება და აქაურ კანონებს ვემორჩილები.

უკვე ენგურის ხილთან ვდგავარ და ქართველების კონტროლირებად ტერიტორიას რამდენიმე ნაბიჯილა მაშორებს. გამშვებ პუნქტს ვუახლოვდები. თვალში ჯიხურის მიწაში გაკეთებულ წმინდა წინოსა და წმინდა გიორგის ტროპარი მხვდება. არადა, საგუშაგო აფხაზებისაა. პასპორტის შემოწმებამდე ლოცვის რამდენჯერმე წაკითხვას ვახერხებ და მოვიდვარ, ანუ მშვიდობიანად გადმოვიდვარ.

**ვტოვებ აფხაზეთს ასე „უბრალოდ“ და „მარტივად“. ვტოვებ აფხაზეთს და მომაქვს მძიმე შთაბეჭდილებები. საგუშაგოზე ქართველ სამხედროებთან ვჩერდები.**

- თქვენ ყველაზე მაგრები ხართ, ბიჭებო! – ვუბნები და გზას ვაგრძელებ.
- კი, ჩვენებისთვის! – ჩამესმის ზურგიდან.

თბილისში ჩამოსვლამდე ქართველი ჯარისკაცის ნათქვამზე ვფიქრობ. ნეტავ, რისი თქმა უნდოდა, ნეტავ, რა იგულისხმა? ნეტავ, არ არსებობდეს ქართველებსა და აფხაზებს შორის „ჩვენები“ და „იმათიანები“, ნეტავ, ქართულ ჯარში მსახურობდეს ყველა, რომელიც საქართველოს მთლიანობასა და ძლიერებას დაიცავდა.

როგორც მშობელი შვილის დაკარგვას, აქამდე ისე განვიცდიდი აფხაზეთთან სიშორეს. ახლა კი იმ ადამიანებთან სიშორესაც განვიცდი, რომელთა მიმართაც სულ სხვა გრძნობით განვიმსჯელებ ენგურს გაღმა საქართველოში. არც მე ვყოფილვარ მტრულად განწყობილ აფხაზეთში და არც თვითონ აღმოჩნდებიან მტრულად განწყობილ ენგურს გამოღმა საქართველოში; ოღონდაც ზღურბლს გადმოაბიჯონ და გადმოვიდნენ. ოღონდაც გაბედონ მონატრებულ მეგობრებთან ჩამოსვლა.

- Приезжайи, к нам, брат мой! – ყურში ჩამესმის აფხაზი ქალის სიტყვები, რომლებსაც თბილისში მყოფ ყოფილ მეზობელს ტელეფონით ეუბნებოდა. იგვეს ვუბარებ მეც: აფხაზებისთვის ქართველების კარი ღია!





დავით აღმაშენებლის ფრესკა. შიომღვიმის მონასტერი. XIX ს.

## დავით აღმაშენებლის სიტყვა, თქმული მხედრობის წინაშე დიდგორის ომის დაწყებამდე\*

დავით აღმაშენებელზე, უდიდეს ქართველ მეფეზე, საუბრისას უნდა გვახსოვდეს, რომ ის იყო დიდი მოაზროვნე, გამორჩეული შემოქმედი და ორატორი. მას ერთნაირი სიძლიერით ხელწინებოდა სიტყვიერი და წერილობითი მეტყველება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დავით მეფე ბევრს კითხულობდა და რამდენჯერაც წაიკითხავდა ნაწარმოებს – იქვე იმდენ ნიშანს დაუსვამდა თურმე (ოცდაოთხი ნიშანი დაუსვამს „ქართლის ცხოვრებაზე“). ცნობილია, რომ მას ჰქონდა გადასატანი ბიბლიოთეკა, რომელსაც ბრძოლებშიც კი თან დაატარებდა.

მეფე-მწერლის ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია „გალობანი სინანულისანი“, რომელიც ღრმა სულიერებით, აზროვნებითა და დახვეწილი სიტყვაკაზმულობით გვხიბლავს.

ამასთან, მისი დროის შესანიშნავი თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფის დავითისი“ („ქართლის ცხოვრება“) გვარწმუნებს დიდი ხელმწიფის

დახელოვნებულ ორატორობაშიც.

**დავით აღმაშენებლის მეფობის ხანას მიეკუთვნება ფრანგი ისტორიკოსისა და კანცლერ გოტიეს ნაწარმოებიც – „ანტიოქიის ომები“, 1122 წელს დაწერილი. ამ წიგნში დიდგორის ომიცაა აღწერილი. ავტორი გადმოგვცემს, რომ დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ ჯარს მიმართა სიტყვით, რომლის „აზრი მონონებული, მიღებული და შესრულებულიც იქნა“. იგივე ისტორიკოსი იქვე დავით აღმაშენებლის სიტყვასაც გადმოსცემს.**

სამწუხაროდ, ეს სიტყვა არ შემონახულა დედნის სახით; ანუ, ქართულ ენაზე ჩვენ ვსარგებლობთ მხოლოდ უცხოენოვანი წყაროდან. თუმცა, ცხადია, ის მაინც ქართული მჭევრმეტყველების კუთვნილებაა და მას განუსაზღვრელად დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის, რადგანაც წარმოთქმულია ქართველთათვის საამაყო დიდგორის ბრძოლის წინ. ამდენად, 897 წლის წინ წარმოთქმული ეს სიტყვა მაინც მიიჩნევა ქართულ ძეგლად, რომელიც ყურადღებას იმსახურებს ლაკონურობით, სისადავით, ჟანრობრივი თავისებურებითა და იდეური შინაარსით.

აი, დიდი დავით აღმაშენებლის ეს ისტორიული მიმართვა:



„დიდგორის ბრძოლა“. მხატვარი – დიმიტრი ხახუტაშვილი

„ეჰა, მეომარნო ქრისტესანნო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისათვის და სარგებლობისათვის კარგი იქნება:

ესაა, რომ ჩვენ ყველამ, ხელთა ცისადმი აღპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით; და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ, და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევუტოთ.“



ბრიტანეთის მუზეუმში დაცული დავით აღმაშენებლის მონეტა, რომელზეც მეფე საიმპერატორო ტანსაცმლითა და მისი სრული ტიტულატურითაა გამოსახული

„იალქანს“ ახალი რუბრიკა შემოაქვს – „საფე სიხყვა“, რომლითაც მკითხველს გავაცნობთ დიდი ქართველი მეფეების ბრძნულ გამონათქვამებს, მოწოდებებს, სიტყვებს. ამჯერად წარმოგიდგინეთ დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ომის წინ მხედრობისადმი წარმოთქმული მიმართვა.

VIII საუკუნეში მოღვაწე ქართველი მწერალი იოანე საბანისძე ამბობს:

„მომიპყრეთ საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროისლა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა!“

ეს ციტატა ცხადყოფს, რომ იმ შორეულ საუკუნეშიც კი ქართველი მწერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მჭევრმეტყველებას და სანაცვლოდ მსმენელის გულისყურით სმენას მოითხოვს.

სულიერი შემოქმედების სხვა სფეროებთან ერთად ქართველ ხალხს შეუქმნია და შემოუნახავს საჯარო მეტყველების ჭეშმარიტი საუნჯე. ჩვენს დრომდე მოღწეული წერილობითი და ზეპირი ძეგლები წარმოადგენს ქართული კულტურის ფასდაუდებელ მემკვიდრეობას.

მჭევრმეტყველური ნიჭი სიტყვიერი ხელოვნებაა, რომელიც მხატვრულ ლიტერატურას უახლოვდება. მწერალს აქვს დროითი უპირატესობა – მას შეუძლია, დაწეროს დროში შეზღუდვის გარეშე; ზეპირმეტყველება კი მსმენელის პირისპირაა. მეტყველი ვერ შეცვლის და ვერ შეასწორებს ნათქვამს. თუმცა ზეპირმეტყველება დინამიკური ფორმაა, წერილი კი – სტატიკური.

დიდგორის ომის დაწყებამდე დავით აღმაშენებლის მიერ წარმოთქმულმა საფე სიტყვამ, გონივრულმა, იმედიანმა, მებრძოლურმა, ბევრად მცირერიცხოვანი ქართული ჯარი გამარჯვებისთვის განაწყობა; ბრძოლის ბედიც მნიშვნელოვანწილად სწორედ ამან განსაზღვრა.



თუქ-სერჯუებთან ვითახება განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, ხაც 1097 წელს დავითმა სელთან ხახი შეუწყვიტა. 1121 წელს მაჰმუდ მუჰამედის ძემ საქართველოში დაშჩიობა ბიძანა. მთავახსახიღობა მან ად-ღინ ილაზს დაავადა. ილაზის დაშჩიობაში მონაწილეობდნენ ეუბაის ემიხი ახლან უუიანი, განჯის ათაბაგი და...

ბიძოლაში მონაწილეობდა 40.000 ქახთველი, 15.000 ყიფჩალი, 100 ფხანგი ჯვახოხანი და 500 ადნ-ოსი. თუქ-სერჯუები 400.000-მდე იყვნენ. მეუემ, დიდგოხის მთავახსახიღანმა, ხეობა მახიტაც ჩახეგა, ხომ მეომხებს ახც ეფიქათ უჯან დახევაზე.

ბიძოლის წინ დავით აღმაშენებელმა 200 მეომახი, თითქოს მოლადატეებად შეხაცხელი, შეუშვა მტხის ბანაჟში. მათ ხმლები იშიშველს და სერჯუებს დაეხივნენ.

ხოგოხც ცნობიღია, ემეტეუ უფლისწუნმა, დავით აღმაშენებლის შვიღმა, გუეღიდან დაახცყა მთავახსახიღად ილაზის ახმიას, შემდეგ კი მონიწალმდეგეს მეუე-ბაცონი ეჯვეთა. უეუიქცა მტეხი, ხომელსაც ქახთველებმა 70 კიღომეტეხი სღიეს და ღიღი ნადავღიც იგღეს ხელით.

1121 წლის 12 აგვისტოს ქახთული დაშჩიის ბიწყინწვალე გამახჯვებას დავითის ისტოხიყოსმა "ძღევაი საჯვიხვეღი" უწოღა.

დავით IV-ემ იმეტა 36 წელიწადი, აღუხეღა 53 წლისა. ისტოხიღაში ის დამჯვიღეღა ხაღბისგან შექმეული უღიღესი მეტსახელით "აღმაშენებელი" და ტიეტედატეხით "მეტეუ აფხაზთა, ქახთვეღთა, ხანთა, კახთა და სომეხთა..." მისი სახელი შექჩა ქახთუღ ხმაღს - "დავითეუეღი" და ქახთუღ ღხოშას - "დავითიანი".



დავით აღმაშენებლის დროშა, ჯვრითა და რქოსანი ცხენით – „დავითიანი“



## სულხან-საბა ორბელიანი - „წოდვილი მონაზონი“



ეს მოხდა 320 წლის წინათ, 1698 წლის 18 მარტს. როგორც გიორგი ლეონიძე წერს, „ამიერიდან კარის კაცი, ფეოდალი და ვნებიანი მოარაკე ხდება ასკეტი, ცოდვილი მონაზონი საბა“.

მაინც რამ მიიყვანა დიდი სულხან-საბა დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის კარებთან?

ერთ-ერთი განმარტებით, სულხანი ბერად შედგა თურმე დაქვრივების გამო: „როცა მოუკვდა ცოლი თამარი, ასული ათაბაგ ხალიფაშისა, შესდგა და აღიკვეცა საბას სახელით“.\*

ამ ვერსიას უარყოფს გიორგი ლეონიძე: „სულხანი ბერად აღიკვეცა 1698 წელს, ხოლო 1709 წელს პაპის –

კლემენტე XI-დმი წარგზავნილ ეპისტოლეში იგი თავის ცოცხლად მყოფ მეუღლეს ახსენებს. სულხან-საბას მონაზვნობაშიც, 11 წლის შემდეგაც კი, მეუღლე ცოცხალი ჰყოლია. თვით ფაქტი სულხან-საბას დაქვრივებისა მართალია, მაგრამ ეს გაცილებით ადრე მომხდარა“.

ფლორენციის არქივის ერთი ცნობით, სულხან-საბას „ჰყავდა ორი მეუღლე“.

პირველი მეუღლე – დარეჯან ბაგრატიონის ასული (მუხრან-ბატონის შთამომავალი) ყოფილა. იგი ახალგაზრდობაშივე გარდაცვლილა, 1683 წელს, როცა მისი მეუღლე – სულხანი 25 წლის იყო; ხოლო მეორე ცოლი, თამარ ათაბაგის ასული დაახლოებით 1712 წელს გარდაცვლილა.

გამოდის, ცნობა იმის შესახებ, რომ 1698 წელს სულხანი დაქვრივდა და ამის გამო ბერად აღიკვეცაო, სიმართლეს არ შეესაბამება.

და კიდევ: არსებობს ერთი მეტად საყურადღებო ცნობა, ამოღებული იმ დროის საქართველოში მცხოვრები კათოლიკე-მისიონერის მიერ რომში გაგზავნილი მოხსენებიდან; იქ ნათქვამია, რომ „საბა გახდა მონაზონი, რათა უფრო თავისუფლად იღვანოს (რომის საყდრისა და ქართული ეკლესიის შეერთებისთვის).“

მეიგავის აზრით, ის ბერად აღიკვეცა საქართველოს საკეთილდღეოდ და ამ განზრახვას პოლიტიკური სარჩული ედო – ევროპის კაპიტალისა და კულტურის საშუალებით ქვეყანას თავი დაეღწია მაჰმადიანური ზეწოლისაგან.

როგორც ვხედავთ, სულხან-საბა ორბელიანის ბერად შედგომა გამონვეული იყო უფრო პოლიტიკური გარემოებითა და არა რელიგიური განცდებით.

- ს -

- ძ -

- ცანდი – ქვაბის საკიდარი ჯაჭვი
- ცანკვილი – კენტი ხარი
- ცახე – მზის შუქი, ვითარცა მტვერი აღმავალი
- ციბა – ასაკმცირე ძალღი
- ციდამტკაველი – მაიმუნი (ყაპუზუნა, ქია)
- ცინტალი – მოდიდო კატის კნუტი
- ცისარტყელა – ცის მშვილდი
- ცისკრის ვარსკვლავი – მთიები
- ცრემლი – თვალის წყალი
- ცრიატი – დღე ცივი, ღრუბელაშლილი
- ცრინტილა – გადამდები მცირე სენი
- ცუცუნა – მეტად პატარა
- ცქაფი – ხელფეხსწრაფი

- ძგიფი – მცირედ შეყინული
- ძეგვა – მცირედ დანაყვა
- ძელყორე – ზღუდე (ქვითა და ძელით მოზღუდ-ვილი), გაღავანი
- ძილის შორისნი – სიზმარი
- ძიძგინი – დიაცთ ყაყანი
- ძმა – დედის ნაშობი ვაჟი
- ძნიადი – ძნელი
- ძნობი – შეწყობილი ხმა
- ძოლო – მცირე ორხავე (ხალიჩა, საფენი)
- ძუნკი – ძუნწი (აქვნდეს და არა გაიმეტოს)
- ძვირი – ბოროტებით
- ძვირხილული – ავის მნახავი



## სამი ყრუ და ყადი\*

სულხან-საბა ორბელიანი

იყო ერთი ყრუ კაცი, რომელსაც დაეკარგა ხარი. წავიდა საძებნელად. გზად შემოხვდა სხვა კაცი. შეეკითხა, ჩემი ხარი ხომ არ გინახავსო. თურმე ის კაცი უფრო ყრუ იყო, მას ვირი ეპოვნა და ხარისა ვერაფერი გაიგო. ეგონა, ვირის წართმევა უნდოდა. იმ კაცს უთხრა:

– ვირი თუ შენია, პოვნის გასამრჯელო მაინც მომეცი!

ერთმანეთს ვერაფერი გააგებინეს. გამოიარა ცხენოსანმა კაცმა, რომელსაც ქალიც ეჯდა უკან. პირველმა ხარის შესახებ ჰკითხა, მეორემ კი ვირის ამბავი იკითხა. მხედარი ამათზე მეტი ყრუ ყოფილა. იფიქრა, დიაცს მართმევენო და მოჰყვა ფიცს:

– ცოლი მომიკვდა და ეს მისი მოახლე არის! სხვა არაფერი იფიქროთ!

ერთმანეთს ამათაც ვერ გაუგეს ვერაფერი.

ბოლოს ყველანი წავიდნენ ყადთან, თავ-თავიანთი საჩივრის მოსახსენებლად.

ყადი სიბერით დაყრუებულიყო.

რამაზანის\*\* დღეები იდგა და მომჩივანნი მთვარის გამოჩენის მახარობლებლად მიიჩნია. თქვა:

– რადგან ამათ მთვარე უნახავთ, შემოჰკარით ნალარას!

რა თქმა უნდა, ვერავინ ვერავის ვერაფერი გააგებინა.

**იგავის დედააზრი: ჩვენ ყველანი, პატარები და დიდები, დაყრუებულნი ვართ; ამიტომაც არ გვესმის ერთმანეთის.**



## ორი ამხანაგი და დათვი

ორი ამხანაგი წავიდა სანადიროდ. ნახეს, მოდიოდა დედა-დათვი. იარეს, იარეს და მის ბუნაგს მიაგნეს. იმ ორმა თქვა:

– ბუნაგში ამ დათვს ბელები ეყოლება. მოდი, როგორმე ისინი გამოვაძვრინოთ იქიდან!

ერთი შიგ შევიდა, მეორე კი გარეთ დარჩა. ამ დროს ნახა, რომ დათვი დაბრუნებულიყო. შეეშინდა და ხეზე ავიდა.

დათვმა ბუნაგში შესვლა მოინდომა. ხეზე ამძვრალმა თქვა:

– დათვმა თუ ბუნაგში შეაღწია, ჩემს მეგობარს გაგლეჯს! ჩამოვიდა ხიდან და როცა დათვი ბუნაგში უკვე თითქმის

წელამდე იყო შემძვრალი, ნადირს კუდში ჩააფრინდა და ძლიერად დაქაჩა.

დათვმა ყვირილი მორთო და მიწასაც ბრდღვნა დაუნყო. ბუნაგი სულ მტვრით აივსო. შიგნით მყოფმა ამხანაგმა მეორეს დაუყვირა:

– ნუ ამტვერებ, მტვერმა დამახრჩო!

იმ მეორემ გარედან უპასუხა:

– კუდი რომ ხელით არ მეჭიროს, შენს ამტვერებას მაშინ ვნახავდი!



\* – მოსამართლე, მსაჯული. \*\* – მუსლიმანური მთვარის კალენდრის მეცხრე თვე, როცა მორწმუნენი ინახვენ მარხვას მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე; თვით ეს მარხვა.



სავარაუდოდ, მსოფლიოში პირველი და უდიდესი ტაძარია რომის წმინდა პეტრეს ტაძარი, რომელიც 60.000 ადამიანს იტევს. ის ქრისტიანობის ერთ-ერთ უწმინდეს ადგილად ითვლება და აქ არის დაკრძალული პეტრე მოციქული, ქრისტეს 12-მოციქულთაგანი (რომლის სახელსაც ტაძარი ატარებს). ის იყო რომის პირველი ეპისკოპოსი. მიუხედავად იმისა, რომ „ახალი აღთქმა“ წმინდა პეტრეს რომში ყოფნას, ან იქ წამებას არ ასახელებს, ძველი ტრადიციით, მიიჩნევა, რომ მისი სამარხი ტაძრის საკურთხეველის ქვეშ იმყოფება. ამ მიზეზით, უკლებლივ ყველა პაპა აქ იმარხება. თანამედროვე ბაზილიკის მშენებლობა დაიწყო 1506 წელს და დასრულდა 1626 წელს.



წმ. პეტრეს ტაძარი

VI ს.-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის, იმპერატორ იუსტინიანე I-ის კარის ჟამთააღმწერლის – პროკოფი კესარიელის (507-562 წ.წ.) ცნობარში ვკითხულობთ: „მე ვინატრებდი, ამ სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, არ სჭირდებოდეს უცხოთა და გარეშეთა დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარი ქვეყანა და ხალხი ეიმედებოდეს“.

VI ს.-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი ასე კოლხეთზე ამბობდა.

სიტყვა „ალგებრა“ არაბულია და მომდინარეობს სიტყვიდან „ალ-ჯაბრ“, რაც დამსხვრეულის შეერთებას ნიშნავს. ეს სიტყვა არაბი მუჰამედ ბენ მუსას წიგნის სათაურია და განტოლების ნაწილების „ერთად დალაგებას“ ნიშნავს (წიგნი დაახლოებით IX ს.-შია დაწერილი).

ხომ არ გგონიათ, რომ უზარმაზარი ნიანგები ბევრს ჭამენ და ამიტომაც არიან უშველებელნი. ისინი წლის მანძილზე ჭამენ თურმე მხოლოდ 50-ჯერ, ანუ კვირაში ერთხელ. მიღებული საკვების 60% ნიანგის ორგანიზმში გარდაიქმნება თურმე ცხიმად, რაც აძლევს ცხოველს საშუალებას, უჭმელმა გაძლოს დღეების მანძილზე.

ლენინის დედა, მართლმადიდებლად მონათლული, შვედი ებრაელი იყო, მამა კი – ყალმუხი. როცა სტალინი გარდაიცვალა და დაგმეს მისი პიროვნების კულტი, ოცზე მეტი წელიწადი სსრკ-ს ჰიმნს არ ასრულებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ტექსტში სტალინი არ მოეხსენებინათ. ორი ათეული წლის შემდეგ სტრიქონი – „Партия Ленина, партия Сталина“ შეიცვალა სხვა სიტყვებით: „Партия Ленина, сила народная“.

1880 წელს ერთ-ერთ ფრანგულ ჟურნალში დაიბეჭდა გი დე მოპასანის პირველი მოთხრობა „ფუნჩულა“. იმ ქვეყანაში (და, ზოგადადაც), სადაც სახელის მოსახვეჭად წლებია საჭირო, მოპასანი მეორე დღევე განთქმულ მწერლად აღიარეს. მაშინ ის 27 წლის იყო (გარდაიცვალა 41 წლის ასაკში); მოპასანი პირველად თავის ნაწერებს უკითხავდა საფრანგეთის უდიდეს მწერალს – გუსტავ ფლობერს.

იციით, რატომ არის წყალი სასარგებლო და რატომ უნდა დავლიოთ ის ბლომად? იმიტომ, რომ არ შეიცავს კალორიებს.

როდესაც გულქანს, ვაჟა ფშაველას ქალიშვილს შეეკითხებოდნენ, მამაზე რას იტყოდითო, პასუხობდა, იმისთანა ლამაზი არავინაც არ ყოფილაო; ბატალიონში რომ ყოფილიყო, პირველად იმას დაინახავდიო. ყველაზე მეტად ადამიანისა კი ეჯავრებოდა „უსამართლობა, ბლენძა და უსაგნო ყვიტყვიტი“-ო.

მიკი-მაუსი – უოლტ დისნეის მიერ შექმნილი პირველი განთქმული მულტიპლიკაციური გმირია (მერე იყო დონალდ დაკი, პლუტო, გუფი...). მიკი 1928 წელს დაიბადა და იგი თვითონ დისნეიმ გაახმოვანა (დისნეის თურმე ბავშვობიდან უყვარდა შინაური ცხოველების ხატვა).



23 წლის ალბერტ აინშტაინი

ძველ ბერძენ შიარალებულ ქვეით მეომრებს (ძვ.წ.აღ.-ით V ს.-ში) ჰოპლიტები ერქვათ.

ეს პორტრეტი დაიხატა 1921 წელს, როდესაც 23 წლის გერმანელ ალბერტ აინშტაინს ნობელის პრემია მიენიჭა ფიზიკის დარგში. მომავალი მეცნიერი სკოლაში ცუდად სწავლობდა, რის გამოც მასწავლებლებს იგი უნიჭო ეგონათ; მაგრამ მალევე, სკოლის დამთავრებიდანვე, ალბერტი სერიოზულად დაინტერესდა ზუსტი მეცნიერებებით და ხელი მიჰყო მათ შესწავლას. რომ არა აინშტაინის ფუნდამენტური იდეები, შესაძლოა, ლაზერი, ტელევიზია, კომპიუტერი, კოსმოსური ხომალდი და ბევრი რამ, რასაც ასე კარგად ვიცნობთ დღეს, ჯერაც არ ყოფილიყო გამოგონებული.





ღვწანდელი ქართული ჰეალთა, დაჯახელი ტეხიკოხიებითა და გადაქედი სოციალუ-ეკონომიკუი ჰიობლეებით, ვფიქობთ, უამიავ ჰასეხგაუყემელ ჟიოსვას ბადებს; მაგხამ იგივე საზოგადოება, ამ დიოს ნაჯეზად გუღიილი და მეტად მომთხოვნი, ეძებს გამოსავალს.

ღადო ჟახაძის ყოველი გამოჩენა საზოგადოების წინაშე, იქნება ეს ტელეახხები, ჰიხის დუხცელები თუ სოციალუი ქსელი, ახც მეტი, ახც ნაჯელები, ზნეობის თეხაჰია. დამაჯეხებელი, მოხატოხელი მონოლოგებით ის მედამ გხიბლავს, გახმუნებს, გიწვევს დილოგზე, გხდის თანამოსაუბრედ. ახასიათებს ეთი საოცარი უნაიოც: უჰიხველსად, დაადგინოს ავადობის ანამნეზი (იქნებ, ეს ჰიოთესიული აღლოცაა?!); ამიკომაცაა, მისი საბოლოო ვედიქტი, ანუ ბატონი ღადოს ენაზე - დიადგნოზი ყოველთვის ჰქმშიაიტიკა, მისალებია; ესაა გულშემატევიხის დამოყიდებულება, ჰვეყნის სიხაიელსაც და ჰიი-ვახამსაც თანაბრად რაეზიიხოს. უყვახს და იმიკომ, სტეივა და იმიკომ.



ღადო კახაძე

ამჯეხად ბატონმა ღადო ჟახაძემ "იარქნისთვისაც" მოიყალა და შოხუელი სოხემუი მოგონება დავიკოვავა.

იოდეაც შევეიოთხეთ, დაბიუნების თუ გჯეხათ-მეთი, ასე გვიჰასუხა: "ახახხებელი ჟიეჰის შეგხმნებაა თანკომუი ტეივილი. რემთვის აფხაზეთი ჟი დახტადაქეილი ჟიეჰია, მოხრენას, შველად ხომ ელოდება".

გაეყანით წმინდა წინოს სახელობის ექიმთა საზოგადოების თავმჯდომეხის, საქაიოველოს ეკოლოგიუი მეყნიეხებათა აჯადემიის წეჰი-ჟიეხსჰონდენტის, საქაიოველოს მნეხალთა ჟავშიხის წეჰის (3 წიგნის ავტოხია) - ღადო ჟახაძის ჰუბლიყაციას.

## დაუნვაჰი ფურცლის წეივილი ანუ წერილი "მომავალ ჟაცს"

ღადო კახაძე

ყოველ 27 სექტემბერს ვნახულობ ერთსა და იმავე სიზმარს – თავსხმაა, რელსებს შორის დარჩენილი სივრცე მუსიკალურ ტაქტს ქმნის, რომელიც განსაკუთრებით გვირაბებსა და ხიდებზე მძაფრდება. ნაბახუსევეი თვალებით დანახული ტვინის აფორიექებს. სიფთაზე – წინა ღამით დალეევას გადარჩენილი ჰიქია არაყი... სიმწარე, სითბო, შეჟურჟოლება... თვალებსა და ტვინს შორის ურთიერთგაგების დასანყისი.

კუბეში ცარიელი სამი საწოლი... გარეთ თავსხმა, ყურებში რელსების მონოტონური სიმღერა, მუცელში გვრემა, თავში ალიაქოთი, ხელში ცარიელი ჰიქია, გულში ბოღმა...

წუთუ, ისევე მარტო მივდივარ სოხუმში?!. (ჩემი დლიურიდან...)

ქაღალდის ფურცელი ყველაფერს უძლებს. აბსოლუტურად ინდივიდუალურად განიცდის მასზედ დატანილს. დაუყვედრებლად ემსახურება უფლის ნებით ამ ქვეყანაზედ დროებით და შესაბამისი ვალდებულებებით მოვლინებულ ყოველ ქმნილებას.

„ხელნაწერები არ ინვიან“-ო – მართალია! ვერაფერი ვერ დანვაავს ტეივილს... სასიყვარულოდ თავშენირულ, ხშირად თავისებურად და განსაკუთრებულად დალაგებულ სიტყვებს... წარსულიდან წამოღებულ საიდუმლოს... ფორმულებს, კოდებს, პაროლებს, ნოტებს... არ ინვიან განაჩენები!!!

ისტორია სიცოცხლის ერთგვარი დლიურია. დლიური და არა ანგარიში განვლილისა. დიას, არა ანგარიში – ციფრებით, პროცენტები – დიადგრამებით გამოხატული... მაინც ყველაზე დიდი ღირებულების მატარებელია ფურცელზე დამღასავით დანერილი დიადგნოზი!!!

2000 სიმპტომისა და 800 სინდრომიდან ამოკრეფილი, კონსილიუმგანვლილი, მკურნალობის ეტაპებშეფასებული, ვერსიფიცირებული, დროისა და თაობების მიერ გახედნილ-გაშალამინებული...

რატომ წამოვედი ამ გზით? რამ მათქმევიწა ეს ყოველივე? მე ხომ სოხუმზე უნდა მელაპარაკა... რაღაცეები გამეხსენებინა... ალბომები გადმომელაგებინა... მოგონებები, წარსული,





**გარდასული გამეცოცხლებინა... ააა... კი, მივხვდი. დიაგნოზი. დიაგნოზია დასასმელი ჯერ!**

რა ჰქვია დღევანდელ მდგომარეობას? მისი ეტიოპათოგენეზი, პრემორბიდული (ანუ დაავადების წინარე) მდგომარეობა, ინკუბაციური პერიოდი, დაავადების განვითარების ადრეული სტადიები, მანიფესტაციის აბერირებული\* ფორმები, მდგომარეობის ურგენტისაციის\*\* არასწორი აღქმა, კონსილიუმის წევრთა, რბილად რომ ვთქვა, არაკეთილზრახვიანი თავმოყრა, გარემო პირობების ქაოტური აღრევა, დედამინის დახრილობის კუთხის ცვლილება, მზეზე აფეთქებების არაადეკვატური ზემოქმედება ისედაც გონებადაბინდულ ადამიანებზე...

**და მაინც, ყველას ჯინაზე, ყველასა და ყველაფრის ჯინაზე ყველაფერი კარგად იქნება... ძალიან კარგად იქნება... მე**

**შენთან ერთად, ამის წამკითხავო, ერთმანეთთან პირმართალნი ვიქნებით. მე იმიტომ, რომ დაუნვაჯ ქალაღზე გიტოვებ ჩემს ნაფიქრალსა და განცდილს, შენ კი არ დამზარდი და მომიკითხე, მოგენატრე, მოგენატრე ისეთი, როგორც მაშინ ვიყავი, ჩემი დიაგნოზითა და ჩატარებული მკურნალობით...**

შენ ახლა სხვა სოხუმში ცხოვრობ. ალბათ, შენც წერ დღიურებს... ეფერები ზღვას, გიყვარს წვიმაში ბანაობა, გასცქერი თვალუნვდენელ ჰორიზონტს, სურვილი გებადება, ისწავლო თოლიების ენა, აზრი ჰკითხო დელფინებს, გვიან ღამით „ბოლო კატერით“ წრე დაარტყა კელასურისა ან ათონის მიმართულებით, ჩაღბაშით „კრასნი მოსტის“ ქვეშ გაძვრე და ზღვაში შეიპარო... მეგობრებთან ერთად სანაპიროზე სეირნობ. ცხელ ქვიმაში ანადულარ ყავას აგემოვნებ, თხილმოყრილი და წვენშეზავებული ნაყინით გულს იგრილებ და... რიტორიკულ კითხვას სვამ – რა იქნება ჩემს შემდეგ, როგორი იქნება მომდევნო თაობა, რანაირად გამიხსენებენ და ბევრი რა და როგორ?..

**იმედია და მჯერა, შენსა და შენს მომავალს შორის ომი არ იქნება... ქართველები, აფხაზები, ოსები, ბერძნები, სომხები, ესტონელები, რუსები, უკრაინელები, ებრაელები დაუნვაჯ ფურცლებზე დაწერილს ერთმანეთის ენაზე წაიკითხავთ და ისტორიის დღიურად გადაქცევის არ შეგრცხვებათ... მჯერა, ამისი ნამდვილად მჯერა, თორემ ამას რა დამაწერიწებდა, რა მათქმეწინებდა!**

\* \* \*



მაშ, ასე, მე ჩემსას გაიმბობ, ჩემი დღიურიდან ამოკრეფილს, ერთ პატარა ფრაგმენტს, ჩემთვის დაუვინყარსა და საიმედო მეგზურს დანარჩენ ცხოვრებაში. ისე, იცოდეთ, მეც თქვენნაირად მიყვარდა სოხუმური განუმეორებელი ლელვი და გულგამოუცნობი „მუშმალა“ (განსხვავებული რაოდენობის კურკებით)...

ერთი სული გვექონდა საზაფხულო არდადეგების დადგომისა. ვიცოდით, რომ სამი თვიდან დროის დიდი ნაწილი სოხუმში უნდა გაგვეტარებინა, დანარჩენ დროს კი თანაბრად ვანაწილებდით ზუგდიდსა და ჯიხაიშზე.

არდადეგებიც მაგისია! უნდა დაისვენო, გაკაჟდე, ახალი ენერგიით დაიმუხტო და საკუთარი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება გააგრძელო... სამივეგან საკმაოდ დიდი ებოები გვექონდა და მეზობელი ბიჭებიც უფრო ხშირად ჩვენთან ვიკრიბებოდით ფეხბურთის სათამაშოდ.

სოხუმში გუნდების შემადგენლობები გაცილებით მრავალფეროვანი იყო. თბილისელები (დედაქალაქელები) არჩევანი-არადანის საკუთრება ვხდებოდით. აქედან გამომდინარე, მოპაექრე გუნდები ზიარი ჭურჭლის

\* – ნორმიდან გადახვევა. \*\* – გადაუღებელი, მძიმე მდგომარეობა.

\*\*\* – რომელიმე ქვეყნისა თუ პუნქტის ზედაპირული ადგილების ურთიერთგანლაგება.



პრინციპით იგებოდა და არა ტოპოგრაფიის\*\*\* შესაბამისად. ჩემს გუნდში სხვებთან ერთად ვართ: მე – თბილისელი (ე.წ. „პრიეზუი გოსტი“)\*, ტენგიზა – ოსი (ადგილობრივი, ჩვენებურად „მესტნი“)\*\*, სერგეი – აფხაზი (აგრეთვე, „მესტნი“), გრანტიკა – სომეხი („მესტნი“), ტაკი – ბერძენი („მესტნი“), კოლია – რუსი („მესტნი“), ჩემი ძმა რეზო – (დედაქალაქელი, ისიც „პრიეზუი გოსტი“), ვალერა – ესტონელი („მესტნი“), მერაბი – ქართველი (ისიც „მესტნი“), საშა – აფხაზი („მესტნი“), ირაკლი – ჩემი თბილისელი მეგობარი-კლასელი (ე.ი. ისიც „პრიეზუი გოსტი“).



მოკლედ, ჩვენი მომგები გუნდი ვერ მოიძებნა!

„ტურბაზიდან“ ამოვიდნენ – გავანადგურეთ;

„ვალადაროვკიდან“ ჩამოვიდნენ, მათაც მოვუგეთ. საქმე

იქამდეც მიდგა, „მაიაკიდანაც“ მოვიდნენ, მაგრამ უშედეგოდ – ისინიც დავამარცხეთ და ასე გამარჯვება-გამარჯვებით ვტკბებოდით და თავს ვინონებდით.

**პასის გადანოდებისას ყურადღებას ქართული, აფხაზური, ოსური, ბერძნული, რუსული, მეგრული შეძახილებით ვიმახვილებთ. ისე, ერთმანეთის უსიტყვოდაც გვესმის. ერთმანეთის შესაძლებლობებიც კარგად ვიცით და ნაყოფიერადაც ვიყენებთ. შეგდებული გოლით ვხარობთ და საბოლოო შედეგით უზომოდ კმაყოფილნი, დალლილნი, მაგრად ნასიამოვნებნი ზღვაზე მივდივართ საბანაოდ...**

ფინალია. კარებში სერგეი დგას („მესტნი“ აფხაზი), კატასავით ნახტომითა და გრძელი ხელფეხით. მე თავდასხმაში ვარ, კომბინაციების დაგვირგვინება მევალება. თამაში დასასრულს უახლოვდება. გვიტევენ. დაცვის დასახმარებლად გამოსულმა შემთხვევით საჯარიმო მოედანზე ხელით ვითამაშე... კატასტროფა – „პენალტი“ ჩვენს კარებში...

სერგეისთან მივდივარ და ვეუბნები – ჩემი ღირსება შენს ხელშია-მეთქი. თვალს მიკრავს და მილიმის... კატისებური ნახტომი და გაშვებულ გოლს გადარჩენილი ჩვენი გუნდი! ხელმეორედ დაბადებული თქვენი მონა-მორჩილი და ნირნამხდარი მონინაალმდეგე! შემდეგ აღარ მახსოვს, ტენგიზამ თუ ჩემმა ძმამ მომანოდა პასი და გოლი, გამარჯვების გოლი...

**წლები გავიდა, ძალიან ბევრი წელი. ჩემი ბავშვობა ისტორიის დღიურის ფურცლებში ჩაიკარგა. მაგრამ ჩემს გატანილ გოლზე მეტად სერგეის მიერ თვალის ჩაკვრა, გაღიმება და აღებული „პენალტი“ მახსოვს, ჩემი ღირსების დაცვისათვის ჩადენილი საქციელი... ამის დავინწყება შეუძლებელია და დღეიდან ეს ისტორიაც დაუნწავ ხელნაწერთა მოკრძალებული ბინადარი გახდება...**

უპესთან მოგროვილ ცრემლს ვიმშრალე. ისტორიის დღიურის ამ ფურცელს კი შენ გიგზავნი, მომავლის კაცო. მშვიდობიანად გველოს ამ დუნიაზე...



ოცს გადავაფრინდი, ორმოცს გადავახტი, სამოცს გადავაბიჯე...  
თვალი ოთხმოცისკენ მაქვს მიპყრობილი... ოთხმოცს, ალბათ, მივანვები და გადავაჩოჩებ...  
მერე?.. მერე ასია...

ამ დროისათვის შთამომავალ-მემკვიდრენი ხელს შემაშველებენ და ისე გადამიყვანენ...

ალბათ... მერე?.. რა მერე?!

მერე წასვლის დროც მოვა და ანგელოსები სულ ფრენა-ფრენით წამიყვანენ...

ზემოდან გადმოგხედავთ და, აბა, თქვენ იცით, ცრემლიანი თვალები არ დამანახოთ, ხელის დაქნევა კი ნამდვილად მესიამოვნება...

პატივისცემით, მარად თქვენი

*ვ. აიუ*



\* – „ჩამოსული სტუმარი“ (რუს.).  
\*\* – „ადგილობრივი“ (რუს.).



"აჲა მგონია, რომ სახელმწიფოში, თუ ის თავისუფალი და დამოუკიდებელია, ხაზიყ ასე გიძნობდეს თავს. პირველ რიგში, ადბათ, შინაგანად უნდა იყოს თავისუფალი. და თუ ადამიანის სული ბოხიყილებში აჲ ექვს, ჰოგოიი სახელმწიფოყ აჲ უნდა გყავდეს, ჰაყ აჲ უნდა მოიძოქმედოს, დაგბხიყოს, მოგახიყოს, მენში სელს მაინყ ვეჲ ჩაყდაყს. თავისუფლების მყველი ყოველთვის ნაგებელი დაჩყბა..."

ძნელია, ნაჲმოიდეინო, რომ, ეს სტყიყონები დაწეილია 10 წლის ასაყში, ჰოყა ბავშვობა და სელის თავისუფლებაზე ფიყიი ეთმანეთთან ასე შეუთავსებელია. დათუნა ცხაყიას იმ დლეს "ყინსების თაობა" უნახავს და სპეყყაყის მეყ დლიეში ეს სტყიყონები ჩაწეიყა.

პებლიყაყია, ჰომელსაყ დლეს ვაყვეყნებთ, "ღმეითვის აჲიყეყეყიყე" (ბაჲსელონამ ასეთი ეპითეყით შეამყოს ის) - ანტონიო გაუდიყა. ამასთან, მოწოგაფიის ფეაგმენყია, ჰომელიყ დათუნას 12 წლის ასაყში დაწეიყა. ამავე ასაყში ნაშოძებს უძღვნის ედიდეს მხაყყეებს - ბოსბს, ედაყეყას. მადევე ნიუ-იოჲში იღებს "სოიფელის" დიპლომს, ყვედა საგანში უმაღლესი "A"-ს შეფასებით (იყო ეთადეიიი აჲასეიენდოყანი ყბეეში).

ვინ იყო და ჰოგოიი იყო დავით ცხაყიას? ახადგახედა, ნიყიიი ყმანვილი, უყვე 20 წლისა თავისუფლად ჰომ ფლობს ჰესელს, ინგლისეჲს, იყადიეჲს, ესპანეჲს; მიდანის უნივერსიტეის ბიზნეს-ფაყეღეყის ყეისდამთავებელის ჰობია პოეზია, მხაყყობა, თეაყი; საქაჲთველო თუ გიყვახს, მას ყვედგან ფეხით უნდა შეეხომო; ყბაჲი და ციხე-ყოშეი აჲ დამიჩყს უნახავიო და აჲ იღლება მოგზაყეობით... მედამ დგას იმ მეგობიის გვეიით, ჰომელსაყ (ისინი ყი ბევიინი იყვენენ) დლესაყ ეიმედება დათუნას სითბო და ეთფეღება; წიგნი და სიყოყცეე უყვახს და აჲსოდეს ჰყოფნის დჲო, მეტი გაიგოს, მეყად უყვახდეს, მეყად მოეფეიოს (ედა უყვახს უბომოდ).

სიყოყცეეს დლესაყ გვიოიღებს დათუნა, - ასე ამბობენ დავით ცხაყიას მეგობეიბი.

## ანტონიო გაუდი

დავით ცხაყიას

### ქალაქის ისტორიული წარსული

ბარსელონას, როგორც ისტორიულ ქალაყს, საინტერესო წარსული და მხატვრული ტრადიციები გააჩნია. ქალაყი განთქმულია ადგილმდებარეობით, ძველი და ახალი კვარტლებით, მუზეუმებითა და ულამაზესი არქიტექტურით. შუა საუკუნეების არქიტექტურიდან დომინირებს რომანული და გოთიკური სტილი, ასევე, არაბულ-მავრიტანული. XIX ს.-ის არქიტექტურა ყი სპეციფიკურია, განპირობებული ბარსელონას არისტოკრატთა გემოვნებით.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ბარსელონას საფუძველი ჩაყარა ძვ.წ.-ით 237 წლიდან და ადრე მას „ბარკინო“ ეწოდებოდა. თურმე კართაგენის მხედართმთავარს – გამილკარ ბარკას პირინეის ნახეყარკუნძულზე ახალი ტერიტორიების დაპყრობა და ათვისება დაუნყია და ქალაყის ძველი სახელწოდებაც მასთან არის დაკავშირებული. ცნობილია, ასევე, რომ უძველესი მოსახლეობა ატარებდა იბერიულ სახელწოდებას – „ლაპია“.

XI ს.-ში ჩამოყალიბდა არაგონია-კატალონიის ავტონომიური სახელმწიფო, რომელიც XIV ს.-ში ყველაზე ძლიერი ქვეყანა იყო როგორც პოლიტიკურად, ასევე, ეკონომიკურადაც. ბარსელონა ყი კულტურის, ხელოსნობისა და ვაჭრობის მნიშვნელოვან ქალაყად ითვლებოდა.

### ბავშვობა



ანტონიო გაუდი

ანტონიო გაუდი დაიბადა ესპანეთში, 1852 წლის 25 ივლისს, ქალაყ რეუსში, რომელიც ტარაგონიის პროვინციას ეკუთვნოდა. მშობლები – ფრანსესკ გაუდი და ანტონია კორნეტი მეტალურგები იყვნენ, ისევე, როგორც მათი წინაპრებიც. ოჯახში ხუთი ბავშვიდან ანტონიო ყველაზე უმცროსი იყო.

მშობლების პროფესიამ განსაზღვრა გაუდის მომავალი პროფესიაც. შემდგომში, როდესაც იგი ცნობილი აღმშენებელი გახდა, აღიარა, რომ პირველად არქიტექტურული სივრცე შეიგრძნო მამამისის სახელოსნოში, სადაც იგი ლითონს ამუშავებდა.

ანტონიო და-ძმისგან არ გამოირჩეოდა კარგი ჯანმრთელობით. ბავშვობაში მას დაუდგინეს ფეხების რევმატიზმი, რის გამოც მუდმივ ტყვიელს განიცდიდა და არ შეეძლო თანატოლებთან თამაში.

დროის უმეტეს ნაწილს სახლში ატარებდა. უამრავი დრო ჰქონდა, კარგად დაკვირვებოდა ბუნებას, გარემომცველ საგნებს. სწორედ მოძრაობის შეზღუდვამ ანტონიოს განუვითარა ორი მნიშვნელოვანი თვისება: დამკვირვებლობა და ბუნების ანალიზი. ამ თვისებების წყალობით იგი აღმოაჩენს ბუნების საოცარ სამყაროს, რაც მისი შემოქმედების წყარო გახდება მომავალში.



თავდაპირველად გაუდი საფერშლო სკოლაში სწავლობდა. შემდეგ, გარკვეულ მიზეზთა გამო, ოჯახი ბარსელონაში გადავიდა საცხოვრებლად და ანტონიომ სწავლა გააგრძელა ბარსელონას არქიტექტურულ სასწავლებელში. ყმანვილი კარგი სწავლით არ გამოირჩეოდა, თუმცა საუკეთესო იყო გეომეტრიასა და ხატვაში. ხუთი წლის შემდეგ, 1878 წელს გაუდომ არქიტექტორის დიპლომი აიღო. ეს მნიშვნელოვანი თარიღი მისი პროფესიული კარიერის საფუძველი გახდა.



სახლი „კაპრიზი“

### შემოხვევითი შეხვედრით

გაუდის შემოქმედებითი კარიერის დასაწყისი თავიდანვე უცნაური იყო. ახალგაზრდა არქიტექტორს დაავალეს ბარსელონას საქალაქო ტუალეტების, ჯიხურებისა და ლამპიონების დიზაინი. აღნიშნული პროექტი გაუდომ მისთვის ჩვეული გემოვნებითა და ორიგინალური მანერით განახორციელა.

მოსახდენი მერე მოხდა, როცა ბარსელონას ცნობილმა, უდიდესმა მრეწველმა ქუჩაში სეირნობისას თვალი მოჰკრა მისი ერთ-ერთი ჯიხურის გემოვნებით გაფორმებულ „ვიტრინას“. მან გამოიკითხა დიზაინის ავტორის ვინაობა და იგი სახლში მიიწვია.

**ასე შეხვდნენ და გაიცნეს ერთმანეთი ცნობილმა მეცენატმა – ეუსებო გუელმა და ანტონიო გაუდომ. ამ შემთხვევითი შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არქიტექტორის შემოქმედებითი წინსვლისთვის. რაც მთავარია: ისინი ერთმანეთის მეგობრებად დარჩნენ სიცოცხლის ბოლომდე.**

გუელი იყო ძირითადი შემკვეთი და სპონსორიც. იგი სრულ თავისუფლებას აძლევდა ხელოვანს შემოქმედებითი იდეების განსახორციელებლად. გუელმა გაუდომი იპოვა „არქიტექტორის იდეალი“; ის იყო დიდი მეცენატიც, ანტონიოს მფარველიც და გულშემატკივარიც. გუელის შეკვეთით გაუდომ არაერთი გენიალური არქიტექტურული ქმნილებით დაამშვენა ბარსელონა.

**გუელი გარდაიცვალა 1897 წელს. მისი სახით გაუდომ დაკარგა საუკეთესო მეგობარი, რომლის მადლიერი იყო მთელი ცხოვრების მანძილზე.**

### შემოქმედი თავისუფალა

გაუდის როლი კატალონიის სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში განუსაზღვრელი იყო. მას არავინ ზღუდავდა. გაუდის ქმნილებების ძირითადი შემკვეთი იყო ბარსელონას გავლენიანი და მდიდარი საზოგადოების ფენა, რომელიც ენდობოდა ავტორს, მის ნიჭსა და მკვეთრად ინდივიდუალურ დიზაინს. **შემკვეთებს შორის იყვნენ მდიდარი მრეწველები – მანუელ ვისენსი, პედრო მილა ლამპსი, გრაფი მაქსიმო დე-კიხანო, ცნობილი მეცენატი – ეუსებო გუელი და სხვები...**

მათი დავალებით გაუდომ შექმნა ისეთი შედეგები, როგორცაა: ვისენსის სახლი, სახლი-„კაპრიზი“, გუელის სასახლე (მისი დამთავრების შემდეგ ანტონიო არათუ უსახელო მშენებელი, ყველაზე მოდური არქიტექტორი გახდა), სახლი „ბატლო“, სახლი „კალვე“, სახლი „მილა“, გუელის პარკი, „საგრადა ფამილია“ და ა.შ.

**1900 წელს აშენებული „კალვეტის სახლის“ გამო გაუდის მიენიჭა წლის საუკეთესო პროექტის პრემია. გუელის პარკი 1984 წელს „იუნესკომ“ კაცობრიობის მონაპოვრად გამოაცხადა.**

არაბული გავლენით შექმნილი საინტერესო ნაგებობა „კაპრიზი“ აშენდა გრაფის, მაქსიმო-დე-კიხანოსათვის (ეს ერთადერთი შენობაა, რომელიც არქიტექტორის სიცოცხლეშივე აღიარეს და შეიყვარეს ესპანელებმა); იგივე სტილის ვისენსის სახლი კი აიგო მდიდარი მრეწველის – მანუელ ვისენსისთვის.

1883 წელს გაუდი დანიშნეს ცნობილი არქიტექტურული შედეგის – „საგრადა ფამილია“ (წმინდა ოჯახი) ტაძრის მთავარ არქიტექტორად. ტაძრის არქიტექტურული ანსამბლი გოთური სტილითაა ნაკარნახევი. აქ გაუდომ მკვეთრად ინდივიდუალური, უზომოდ საინტერესო მანერა გამოიყენა.

**1952 წელს ნიუ-იორკში, გაუდის შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, ოსტატი მსოფლიო მნიშვნელობის არქიტექტორად დაასახელეს.**

### "საგრადა ფამილია"

**ამ ულამაზეს და უდიდეს ტაძარს გაუდომ 40 წელი მიუძღვნა;\*** განსაკუთრებით, ცხოვრების უკანასკნელი 12 წელი. 1914-1926 წ.წ. გაუდი დაკავებული იყო ტაძრის მშენებლობით და უარს აცხადებდა სხვა პროექტებზე.

ტაძრის მშენებლობა დროში ჭიანურდებოდა, რადგან ნაგებობის მესვეურებმა მოითხოვეს, რომ ის უნდა აშენებულიყო მრევლისა



სახლი „მილა“

\* – „საგრადა ფამილია“ ჯერაც დაუსრულებელია; მშენებლობის დამთავრებას ვარაუდობენ 2026 წელს, როდესაც არქიტექტორის გარდაცვალებიდან 100 წელი შესრულდება.



„საგრადა ფამილია“. 1905 წ. (მშენებლობა დაიწყო 1882 წელს)

და მოქალაქეთა შესანიშნავი თანხით. გარდაცვალებამდე გაუდომ მოასწრო შენობის ფასადის შექმნაც და 1926 წელს ქვედა ეკლესიის აღმართვაც.

ტაძრის სიდიადეს გამოხატავს მისი 18 სამრეკლო, რომელიც ზემოთ, ცისკენაა აზიდული. ტაძრის სამივე ფასადი გაფორმებულია 4 კოშკურით, რომელთა სიმაღლე 98-დან 112 მეტრია. კოშკები აგებულია 12 მოციქულის სახელებზე, აქედან 5 კოშკი ტრანსეპტთან\* მიძღვნილია იესო ქრისტესადმი და 4 მახარობლისადმი. იესოს სამრეკლო 180 მეტრისაა, ხოლო ბოლო კოშკის სამრეკლო, რომელიც აფსიდს\*\* ასრულებს – მარიამ ღვთისმშობელს ეკუთვნის.

ქვედა ეკლესია, კამარებითა და ვიტრაჟებით მორთული, გაუდომ დაასრულა 1885 წელს. მდიდრული დეკორით მორთულია შენობის ფასადი, რომელიც წმინდა ოჯახის ერთ-ერთი შესანიშნავი ქმნილებაა გაუდის შემოქმედებაში. ეს ფასადი მორთულია 3 პორტალით (დიდი შენობის მთავარი შესასვლელი), რომელიც 3 ქრისტიანულ სიმბოლოს განსახიერებს: მრწამსს, იმედსა და სათნოებას.

წმინდა ოჯახის ტაძარი, მისი ფასადები მორთულია სკულპტურული კომპოზიციებით, ქრისტეს ცხოვრების ეპიზოდებით. გარეშე და შიდა სივრცეში გამოყენებულია ულამაზესი სვეტები.

გაუდი თვლიდა, რომ ტაძარი „სვეტების ტყეს“ უნდა განასახიერებდეს. ამრიგად, „წმინდა ოჯახის ტაძარი“ ერთ-ერთი ბრწყინვალე ქმნილებაა მსოფლიო არქიტექტურაში.

### სახლი "მილას"

სახლი „მილა“, იგივე „ლა პედრერა“, არის გაუდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქმნილება. ეს საცხოვრებელი კომპლექსი აშენდა 1906-1910 წლებში. ეს იყო გაუდის უკანასკნელი მშენებლობა, ვიდრე ის თავს მთლიანად მიუძღვნიდა „საგრადა ფამილიას“.

პედრო მილა ლამპსმა – მდიდარმა ბიზნესმენმა, რომელსაც ძალიან მოსწონდა გაუდის არქიტექტურა, შეუკვეთა საცხოვრებელი სახლი პასეო დე გრაციას კუთხეში. შენობაში არ არის გამოყენებული საყრდენი კედლები. შენობა დგას სვეტებსა და თაღებზე. რკინის გამოყენებით გაუდომ შეძლო ინოვაციების შეტანა არქიტექტურაში. მან შეადგინა სახლის ერთობ საინტერესო გეგმა: ყველა ოთახში სვეტისა და ჭერის ზომა იმიტირებდა განსხვავებულად ერთმანეთისაგან, რომ თითოეულ მათგანში შუქის გრადაცია მომხდარიყო. შენობის ფასადი და მასზე დეკორატიული აივნები ერთიანობაში მოგვაგონებს ტალღების წყებას.

მილას სახლში ყველაზე გამოკვეთილი, ალბათ, სახურავია. მას ახასიათებს რამდენიმე სურეალისტური საბუხრე მილი, რომელიც ქვის ნატურალური ფერისაა. ეს ფიგურები ფანტასტიკური ფილმის მეტრძოლთა მსგავსია.

სახურავზე, ასევე, არის მოსასვენებელი სკამები, გუელის პარკის იდენტური. სახლი „მილას“ სახურავიდან იშლება ულამაზესი ხედი ულამაზეს ქალაქზე.

### გუელის პარკი

გუელის პარკი შეიქმნა იმ ადგილზე, სადაც ეუსებო გუელის ჰქონდა მამული. გუელის შეკვეთით, გაუდის მის მამულში უნდა აეშენებინა ე.წ. სოფელი-ბაღი, იმდროინდელი ინგლისის სოფელ-ბაღების მსგავსი.

1962 წელს ეს არქიტექტურული კომპლექსი გამოცხადდა ბარსელონას მხატვრულ, ხოლო 1969 წელს ესპანეთის ნაციონალურ ძეგლად. 1984 წელს გაუდის პარკი „იუნესკომ“ კაცობრიობის მონაპოვრად გამოაცხადა.



„საგრადა ფამილია“

პარკის მშენებლობა დაიწყო 1901 წელს.

პარკში აშენებული იყო მხოლოდ ორი სახლი: ერთი ეკუთვნოდა ადვოკატს, მარტი ტრას-ი-დომენეჩს; შენობა აიგო არქიტექტორ ფიული ბატლეველის პროექტის მიხედვით.

არქიტექტორ ფრანსესკო ბერენგერს ეკუთვნოდა მეორე სახლის პროექტი, რომლის მშენებლობაც 1906 წელს დასრულდა. სწორედ აქ გადმოვიდა გაუდი საცხოვრებლად თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით: ძმით, ფრანცესკოთი, რომელიც იმავე წელს გარდაიცვალა, ნათესავით – როზათი, რომელსაც სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა და ისიც გარდაიცვალა 1912 წელს, 36 წლის ასაკში. თვით გაუდი ამ სახლში იმყოფებოდა 1925 წლამდე, რომლის შემდგომ იგი საცხოვრებლად გადავიდა „წმინდა ოჯახის“ ტაძრის მშენებლობის ტერიტორიაზე.

\* – განივი ნავი (ცენტრალური ნაწილი) ბაზილიკისებური ან ჯვრისებური ფორმის მქონე ტაძრებში.  
\*\* – ნახევარწრივად გამოწეული ნაწილი (ბაზილიკის ნაგებობებში).



პარკის მესამე სახლი, რომელიც მოგვიანებით გარემონტდა და კეთილმოეწყო, გუელის ოჯახის რეზიდენციად გადაიქცა. სამივე სახლი დღემდე არსებობს. **შემდგომში გუელის სახლი მუნიციპალური სკოლის შენობად გადაკეთდა, ხოლო 1961 წლიდან იქ განთავსდა მუზეუმი და დღეს ის გაუდის შთამომავლებს ეკუთვნით.**

ყველაზე ფანტასტიკური ადგილი ბაღში ცენტრალური შესასვლელია, რომლის მარცხენა პავილიონი მორთულია კომპიურით, ხუთქიმიანი ჯვრის დაბოლოებით. ეს პავილიონი პარკის ადმინისტრაციისთვის არის განკუთვნილი. პავილიონები უცნაური კონსტრუქციისაა და მორთულია მდიდრული დეკორით; თითოეული მოგვაგონებს ქანდაკებას და არა არქიტექტურულ ქმნილებას. ბევრი თვლის, რომ პავილიონი ძმები გრიმების ზღაპრულ სახლებს ჰგავს.

**ეუსებო გუელის გარდაცვალების შემდეგ, 1918 წელს, მისი მემკვიდრეები იძულებულნი გახდნენ (ეკონომიკური მდგომარეობის გამო), 1922 წელს პარკი ბარსელონას მთავრობისათვის მიეყიდათ. ასე გადაიქცა პარკი ქალაქის ულამაზეს ბაღად. გაუდის პარკის არქიტექტურული კომპლექსი უცნაურად ზღაპრული სამყაროა, ამასთან, ამ დიდი არქიტექტორის ნიჭისა და შეუდარებელი ფანტაზიის ნაყოფი.**



სახლი „ბატილი“

### ფსიქოლოგიური შფრისები ჰორიზონტისთვის

გარეგნულად საკმაოდ სიმპათიური, ოდნავ მხარბეჭიანი, საშუალო სიმაღლის ახალგაზრდა მამაკაცი – ანტონიო გაუდი გამოირჩეოდა თვალშისაცემი ინტელექტუალური იერიით, ოვალური სახის სწორი ნაკვთებით, გვერდზე გადაყოფილი ქერა თმითა და, იმდროინდელი მოდის შესაბამისად, წვერ-ულვაშით, ცისფერი თვალების დამკვირვებლური, მძაფრი გამოხედვითა და მტკიცე ხასიათის გამომეტყველებით.

**გაუდი მიეკუთვნებოდა ხელოვანთა იმ კატეგორიას, რომელსაც არ უმართლებდა პირად ცხოვრებაში, მაგრამ პროფესიულ ასპარეზზე უდიდეს წარმატებას აღწევდა; მას მხოლოდ „ფრთები აკლდა გასაფრენად“...**

ხელოვნების ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა ელის როჯენტმა განაცხადა: „ვინ იცის, ვინ აღმოვაჩინე – მთვარეული თუ გენიოსი“. ამდაგვარი შეფასებით არქიტექტორი სიცოცხლეშივე იყო განებივრებული, თუმცა ამას ვერ იტყოდა პირად ცხოვრებაზე.

ქალაქმა მატერომ, სადაც ახალგაზრდა არქიტექტორი გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა, სევდიანი კვალი დატოვა მასზე. ამ ქალაქში მან იპოვა პირველი, მაგრამ უნუგემო სიყვარული. ახალგაზრდა გოგონამ ცხოვრების მეგზურად სულ სხვა ყმანვილი აირჩია. ამის შემდგომ გაუდი არასდროს დაოჯახებულა. სიყვარული მან თავის შემოქმედებაში გადაიტანა და მიზნის მისაღწევად ყველანაირ წინააღმდეგობას ძლეოდა; ყურადღებას არ აქცევდა ზოგიერთთა კრიტიკას (ესეც არ აკლდა).

გაუდის ბიოგრაფიიდან აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ის წარმოშობით ქ. რეუსიდან იყო. ამ ქალაქის მცხოვრებნი კი გამოირჩეოდნენ სიჯიუტითა და დამაჯერებლობით. გაუდიც ერთ-ერთი იმათთაგანი იყო. სწორედ სიჯიუტემ და მიზანდასახულობამ შეაძლებინა არქიტექტორს, საკუთარი ავანგარდული იდეები დაემკვიდრებინა ბარსელონას არქიტექტურაში.

უცნაური იყო გაუდის სიცოცხლის ბოლო წუთები; როცა, ჩვეულებისამებრ, საღამოს სეირნობისას ღრმად ჩაფიქრებულ მოხუც არქიტექტორს მოულოდნელად დაეჯახა ტრამვაი (მაგრამ გადაარჩინა უცნობი ბავშვი), ის ვერ იცნეს. საშინაოდ გამოწყობილი (ძველ ტანსაცმელში) და ფლოსტებიანი გაუდი ადგილობრივ პოლიციაში გააფორმეს, როგორც მდაბიო, ჯიბეგაფხევილი მოხუცი. მხოლოდ მეორე დღეს გადაიყვანეს ის მეგობრებმა უკეთეს საავადმყოფოში, სადაც მარჯვენა ფეხი მოკვეთეს.

რამდენიმე დღეში, 1926 წლის 12 ივნისს ის გარდაიცვალა. ნახევარი ბარსელონა გლოვობდა იმდროისათვის უკვე ძალიან პოპულარულ არქიტექტორს, უნიჭიერესსა და ღირსეულ პიროვნებას.

დაასაფლავეს დაუსრულებელი „საგრადა ფამილიას“ ქვედა ეკლესიაში – მონანიების ტაძარში.

**ბავშვობიდან მოყოლებული, ყოველდღიური გასეირნება მას ჩვევად ექცა. დაუსრულებლად მიუყვებოდა გზას იმ ტაძრისკენ, რომელსაც მან სიცოცხლის ბოლო წლები მიუძღვნა. ეს სულიერი ტაძარი გაუდისთვის „საგრადა ფამილია“ იყო, არქიტექტურული ქმნილება, რომლითაც დღესაც ამაყობს ბარსელონა.**

გაუდის შემოქმედებითი გენიოსობა რომ შეიგრძნო, კატალონიაში უნდა იმოგზაურო, ქალაქ ბარსელონაში, რომლის უცნაური და სპეციფიკური არქიტექტურა გულგრილს არავის ტოვებს.



გუელის პარკი



## რა არის სამშობლო?

ნოდარ დუმბაძე

სამშობლო ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია.

ახლა აღარ მახსოვს კარგად, რომელ კლასში ვიყავი, მეოთხეში თუ მეხუთეში:

- დუმბაძე, ადექი და მიპასუხე, რა არის სამშობლო? - ამაყენა ქართულის მასწავლებელმა.

- სამშობლო... სამშობლო ადგილია, სადაც დავიბადე და...

- კიდევ? - ჩამეკითხა მასწავლებელი.

ძალიან დიდხანს ვიფიქრე.

- დაჯექი, დუმბაძე! - მითხრა მასწავლებელმა, პასუხი რომ აღარ ვაღივსებ.

- არ დამინეროთ, მასწავლებლო, ორი ვიცი და ვერ ვამბობ!.. - შევეხვეწე მე და ტირილი დავინწყე...

სამშობლო ისეთი უსაშველო ფენომენია, რომელსაც ასაკი არ გააჩნია. ისევე, როგორც დედას და დედასავით მარადიულია. გამოდის, რომ სამშობლო ყოველდღე გვბადებს, ყოველდღე იბადება ჩვენთვის, თავად კი არასოდეს არ კვდება, უკვდავია.

მანც რა არის სამშობლო?

იქნებ, რაფიელ ერისთავის ეს ორი სტრიქონია, „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა!“ მაშ, იმხელა ლექსი რაღად დანერა? ეს ორი სტრიქონი დასკვნაა მხოლოდ თუ ფორმულა?!

ან იქნებ, აკაკის „განთიადია“ სამშობლო? ან ვაჟას სიმღერა? - „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დაფაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება!“

ვფიქრობ, სამშობლო დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ არის, დემეტრე მეფის „შენ ხარ ვენახია“, პაატა სააკაძეა, ქეთევანის დაშანთული მკერდია, თამარის გვირგვინი და „ვეფხისტყაოსანია“!..

იქნებ, ვაზია სამშობლო? აბა, დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაჰკრიფო, თუ მალღარია - ცაში ხელებაპყრობილმა!..

ორთავე საოცრად ჰგავს ლოცვას, ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს.

რაც მე მახსოვს და ვიცი, სამშობლო უფრო მეტად გაჭირვება და ტკივილია, ვიდრე დალხინება და დღესასწაული.

კიდევ რა არის სამშობლო?

თვითმფრინავიდან რომ გადმოიხედავ, კავკასიონის უზარმაზარ თეთრ ფაფარს რომ დაინახავ და ყელში ბურთი გაგეჩხირება - ეს არის სამშობლო.

კიდევ?

თბილისის პატარა უბანი, დილიდან საღამომდე რომ ვერ გახვალ ქუჩის ბოლომდე, იმდენი მეგობარი შეგხვდება, მოგიკითხავს და მოგეალერსება.

კიდევ რა? - სოფელი, სადაც ცოლს ვერ შეირთავ, რადგან ყველა გოგო შენი დობილია და საპატარძლოს საპოვნელად იძულებული ხარ, სხვა სოფელში წახვიდე.

როგორც ჩანს, სამშობლო ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია.

- მეგობარო, გაჩერდით ერთი წუთით, რა არის სამშობლო? - ვაჩერებ ქუჩაში გამვლელს.

- მე მეკითხებით? - მეუბნება განცვიფრებული გამვლელი.

- დიახ, თქვენ, იქნებ, არ იცით?

- როგორ არ ვიცი, მაგრამ ასე უცებ, დაუფიქრებლად, ქუჩაში...

- დიახ, ასე უცებ, დაუფიქრებლად, ქუჩაში...

- ასე უცხად, დაუფიქრებლად, ქუჩაში სამშობლოსთვის სიკვდილი შეიძლება,

მაგრამ იმის თქმა, თუ რა არის სამშობლო, არ შეიძლება, ბატონო! - მპასუხობს ის და ჩქარი ნაბიჯით მცილდება...








"ნებისმიერი ომი სიყვით იწყება და მისი დამთავრება, ანუ მშვიდობის დამყარება, ასევე, სიყვითაა შესაძლებელი. ვეძებთ ეს სიყვია ეხთმანეთში", - ამ საოცარი ფიზიოთ მთავრება "იქნის" მეთხველისთვის ჯიჯად ცნობილი ავტოხის ვენეხა ხუხუას ნეილი სათაუხით "საეხთმანეთო ფიქიით".

ქაღბატონი ვენეხა, ხომელიც ეხნანისტეხი აღლოთი და მაღალი ჰიოფესიონალიზმით გამოიხრევა, თითოქს ჩვენს, ყველას სათქმელს და ათასჯეხი ნათქმის თავს უყიის და ხელისგულზე გვიდებს. ამავე ხოს, გვიანალიზებს ნახსუნისა თუ დღევანდელიზის ფაქტებსა და მოვლენებს (ანალიზის უნაი მისი ეხთ-ეხით ძლიეხი მსახეა).

ავტოხი იხსუნებს იმ ტევილიან გზას, ხომელიც აფხაზეთში თოფის ჰიხვედ გასიოლასთან ეხთად დანიყო და დღემდე ოხივე მსახისთვის ჯეხაც მოუშეშებელია. ეძებს გამოსავალს, იხსუნებს ეხითეხთანდობის, ეხუნატელისმომგეხედ მაგალითებს; თუხმე ომშიც შეიძლება, აეთო სიეთე. სეხეა, ხომ "ოხივენი" გადავიჩებთ, ოლონდ გვეხი-გვეხი, ეხთმანეთის ფესვების გამაგეხებით.

სოლო სიყვია, ხომელსაც ავტოხთან ეხთად ჩვენ ყველანი ვეძებთ, ღმეითია, ანუ სიყვახელი, სიყვახელი, ხომელიც ყველა ცოდას ფაიავს.



ვენერა რურუა

## საერთმანეთო ფიქრით

ვენერა რურუა

## ჩენი ტრაგედია ღვთისგან განდგომასია

25 წელიწადი გავიდა ჩენი საერთო ტრაგედიიდან – საუკუნის სრული მეოთხედი.

კაცობრიობის ისტორიისთვის, რომელიც თითქმის მარტოოდენ ომების ისტორიაა, ეს ძალზე უმნიშვნელო პერიოდია და რომელიც მსოფლიო განვითარებას ვერაფერს დააკლებს. ჩვენთვის კი, ქართველებისა და აფხაზებისთვის, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე ერთად დაუცავთ საკუთარი ქვეყნის მშვიდობა, შემოუნახავთ და ერთად გადაურჩენიათ ჩენი ეროვნულ-კულტურული ფასეულობანი, ეს წლები დიდი დანაკლისია. ჩენი ტრაგედია, თუ კარგად ჩავუღრმავდებით, ბევრად სცილდება გეოგრაფიულად შემოფარგლული ტერიტორიის ისტორიულად კუთვნილ საზღვრებში დარჩენის საკითხს. ჩენი ტრაგედია არც ის უაზრო მავთულხლართია და, მით უფრო, არც იმ ეკლიან ღობესთან მოდარავე ჯარისკაცი.

ჩენი ტრაგედია, პირველ რიგში, ქართველებისა და აფხაზების უმადურობაში, ღალატში, ურჩობაში, ერთმანეთისგან და ღვთისგან განდგომაშია. ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა, ვერ შევინახეთ ქართულ-აფხაზური ძუძუმტეობისა და მორღუობის საუკუნეებში ფესვადგმული ტრადიცია, და ეს ღვთიკურთხეული, მოციქულთა ნატურფალი მინა საკუთარი შვილების სისხლით მოვრწყეთ...

დავისავეთ! ჩვენ-ჩენი ორივე მხარემ ვინვნიეთ! დროა, საერთმანეთო ნაბიჯებზე ვიფიქროთ! ეს აუცილებელია! ამაშია ჩენი ხსნა!

## გაგრიდან დაწყებული სამშობლო

თითქოს უკვე რაღა დროისაა, მაგრამ ხშირად მიფიქრია, რაოდენ საპატიო, საპასუხისმგებლო და, ამასთან, სამში პროფესია ავირჩიე. იყო ჟურნალისტი, ეს ნიშნავს, ემსახურო ცოცხალ სიტყვას, ანუ ყველაზე უზენაესს, რაც კი არსებობს ამ სამყაროში.

დღეს ჩემთვის, ერთი რიგითი ჟურნალისტის, საჯარო მოხელისა და დედა-ეკლესიის წევრისთვის პროფესია, სიყვარული და რწმენა, ანუ სიტყვა, სამშობლო და უფალი, ერთში მოაზრებულ სამი განზომილებაა...

სამშობლო, როგორც უფალი, ერთიაო, ბრძანა პოეტმა და ის „ერთი“ ჩემთვის გაგრიდან იწყება, მისი იმ ერთადერთი, მუდამ მოკირწყლული ქუჩიდან, ყოველ ჯერზე ქალაქური სისუფთავის განცდას რომ მიტოვებდა და რატომღაც ყველაზე მძაფრად რომ შემორჩა მესხიერებას. მძაფრად, ალბათ, იმიტომ, რომ 26 წლის წინათ, სწორედ ამ ქუჩით ვეთხოვებოდი უკვე აღებულ და





ქართულ-აფხაზური სანათესაო. მარცხნიდან: მართა ემუხვარი, ეკატერინე ემუხვარი-აქირთავა, არზაყან ემუხვარი (აფხაზეთის პირველი მთავრობის თავმჯდომარე); დგანან: გრიგოლ ჩიკვაიძე და იულია აქირთავა-ჩიკვაიძე \*

გაუცხოებულ ქალაქს და ვცდილობდი, რაც შეიძლება, მეტად ჩამბეჭდოდა მეხსიერებაში მასთან დაკავშირებული თითოეული დეტალი – თითოეული ხე, ბუჩქი, გამომწვარი სახლი და ძაღლების ყეფაც... **ბოლო კადრი კი, რომელიც თითქმის ფოტოგრაფიული სიზუსტით შემოინახა გონებამ, საზღვართან ახლოს, რუსულ აბრევიატურა „რსფსრ“-დან ორასიოდე მეტრში, საჩვენებლად გამომზეურებული რუსული ტანკი იყო, ამავე ენაზე შესრულებული ნარწერი „მადლობა საქართველოს საბრძოლო ტექნიკისათვის.“**  
„არაფრის. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ...“ წლები გავიდა და ამ მზა სათაურს სათქმელი ვერა და ვერ მივაბი... არადა, რამდენი დაგროვდა.

### სიყვარული ყველგან არის

როგორი იყო ჩვენი ჟურნალისტური სიტყვა გასული საუკუნის 90-იან წლებში, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად მონათლული თუ, საერთოდ, ჩვენი უახლესი ისტორიის ომების დროს და როგორია ახლა, მშვიდობიან წლებში, რომლისთვისაც, დიდი ილიასი არ იყოს, „ლხენა მაინც ვერ დაგვირქმევია?!“  
მშვიდობა და მხოლოდ მშვიდობაა გადამრჩენი ჩვენი ქვეყნისთვის და ყველა იმ ხალხისთვის, ვისთვისაც ეს ღვთივკურთხეული მინა მშობლიურია. არა აქვს სხვა სამშობლო ქართველსა და აფხაზს, გარდა საქართველოსი და, ძალიანაც რომ მოვიდომოთ, ვერსად გავექცევით საერთო საფლავებით გადასერილ მინას. თუ არ შევრიგდებით, კიდევ დიდხანს ვიტრიალებთ ერთ წრეზე ასე ჯიუტად, ასე ურჩად უზენაესის ნების, ჩვენი კეთილი ნების სანინააღმდეგოდ და სულ უფრო და უფრო შემოგვიტევეს ბოროტებაც უკვე არა მარტო ტანკებითა და ტყვიებით, არამედ სხვა სახის ომითაც – იქნება ეს კაზანტიპური ალვირახსნილობა, ნარკოტიკი თუ დღეს უკვე დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით კი, აფხაზეთის უსერიოზულესი პრობლემა – ფაროსანა.  
სიტყვამ მოიტანა და ჩვენ, ჟურნალისტებიც სერიოზულად ხომ არ დაფიქრებულებიყავით, რატომ შემოვიდა ეს მცოცავი „შავი ჭირი“ მაინცდამაინც აფხაზეთიდან, საქართველოს ამ ყველაზე წმინდა, სამი თუ არა, ორი მოციქულის ნატერფალი მიწიდან, სადაც უბედურება, სახელად „ომი“, ჯვრის დღეს დაიწყო – 14 აგვისტოს, ჯვრის ძელთა შემოყვანების დღეს და ჯვრის დღეს დამთავრდა – 27 სექტემბერს, ჯვართამაღლებას... ვინც ფიქრობს, რომ ყოველივე ეს, ერთად აღებული, შემთხვევითი ფაქტია, იფიქროს...  
ქართველებმა და აფხაზებმა ერთმანეთისკენ სავალი, ჯერაც ჩახერგილი გზები უნდა გავასუფთავოთ. ეს გზა ჭუბერის გზაზე არანაკლებ რთულია, მაგრამ ბევრად უფრო იოლად დასაძლევია, თუ ერთმანეთში სიყვარულს მოვძებნით.



სოხუმი. ჩერნიავისკის მთის ხედი.

სიყვარული კი ყველგან არის, ოღონდ ესაა, ენგურის იმ მხარეს იგი უფრო რთულად მოსაძებნია, უფრო შენიღბულია, დაფარულია „დიდი პატრონისადმი“ ცრუ ერთგულების, ხარკის გადახდის, შიშისა თუ სხვა უამრავი მიზეზის გამო. ჩვენც ეს შენიღბული და დაფარული უნდა დავინახოთ – ჩვენი პროფესია ხომ დანახვის პროფესიაა. ვეძებოთ ასეთი ფაქტები ზღვაში მიმობნეული ოქროს მარცვლების დარად და მედიის ყველა საშუალების გამოყენებით დავატირაყოთ, გავაგებინოთ ყველას, მთელ მსოფლიოს, რომ ქართველსა და აფხაზში არის, ნამდვილად არის შერიგების პოტენციალი, თუ „კეთილისმოსურნეები“ ხელს არ შეგვიშლიან და ერთმანეთისკენ სავალ გზას ნებელდის ეკლესიასავით არ აგვიფეთქებენ.



### აინაყ, ბესოყ და მეყ...

ამ ცოტა ხნის წინათ ინტერტეტი აფხაზ ჟურნალისტ ალინა აჩბას ერთ საინტერესო წერილს წავაწყდი, სათაურით: „სიტყვამ, შეიძლება, მოგკლას და, შეიძლება, განგაურნოს“.

როგორ ეხმიანება იგი ჩვენს დღევანდელ სათქმელს და როგორ გვაკლია დღეს ალინა!.. რაღაცა გზებით დავაპირე კიდევ მასთან დაკავშირება, მაგრამ არ გამომივიდა.

„ომის დროს, – წერდა ალინა, – ჩვენი რედაქცია გუდაუთაში გაიხიზნა. თავიდან დაბნეულები ვიყავით, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა აზრზე მოვედით და გადაწყვიტეთ, კეთილი საქმე გვეკეთებინა – ჩვენი რადიოს მეშვეობით მებრძოლთა ოჯახებს ინფორმაციას ვანვლიდით მათი შვილების, ქმრების, ძმების შესახებ, ვამხნევებდით და დაბადების დღეებსაც ვულოცავდით“.

**რა საოცარი მსგავსებაა – იგივეს ვაკეთებდი მეც, ოლონდ გაგრის სამხედრო კომუნდატურის შტაბიდან. მიუხედავად იმისა, რომ მე და ალინა, ასე ვთქვათ, ორ სხვადასხვა მხარეს წარმოვადგენდით, რაც ჟურნალისტური ეთიკის თვალსაზრისით, გამართლებული არ არის; მაინც მენიშნა პროფესიული ერთსულოვნება – აკეთო ომში სიკეთე.**

აფხაზეთის ომის პირველ დღეებში გუდაუთის საავადმყოფოში წამლების სინაკლებე იყო. გაგრაში კი დიდი რაოდენობით შემოდოდა მედიკამენტები და გადასახვევი მასალები ქართველი მეომრებისათვის. შეიძლება, დაუჯერებლადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ **ჭეშმარიტებას გეუბნებით, რადგან ამის შესახებ სოუჟეტიც მაქვს მომზადებული – წამლების გარკვეული რაოდენობა გაგრიდან გუდაუთაში იგზავნებოდა აფხაზი დაჭრილებისთვისაც.**

**განა შეიძლება, ამის შემდეგ ამ ომს ქართულ-აფხაზური უნოდო?**

ბარემ ერთსაც გეტყვით, კოლხიდელი ქართველი და ბზიფელი აფხაზი მეომარი ბიჭები, რომლებიც ჯერ კიდევ ომამდე, საფეხბურთო ტურნირებიდან იცნობდნენ ერთმანეთს, პირისპირ შეხვედრილან, მოულოდნელობისგან დაბნეულან და სანამ თავ-თავიანთი გზებით წავიდოდნენ, პირობა დაუდვიათ – ამის შესახებ არსად არაფერი ეთქვათ. ამ ამბის თვითხილველმა, ჩემმა აფხაზმა მეგობარმა და კოლეგამ ბესომ კი, პირობა დაარღვია და ეს ამბავი გამიმხილა. ვიცი, რატომაც – უკან დასაბრუნებელი იმედი გამომაყოლა, როცა ფსოუს ხიდს შიშისგან აკანკალებული ვტოვებდი.

**განა ბევრია ომების ისტორიაში ასეთი მაგალითები?**

**ამიტომაც მიმედება აფხაზეთი და მინდა, ეს იმედი ყველაზე უიმედოებსაც გადავცე.**



I რიგში (მარცხნიდან): ანანია გრიგოლია, ვერა მალახოვსკაია; II რიგში: ნუცა ჩიჩუა-ინალ-იფა, ბაგრატ იოსელიანი, ეშა მარლანია, მარიამ შარვაშიძე, ირა მარლანია; დგანან: ვიქტორ მალახოვსკი, თამარ მარლანია \*

### მხოლოდ საერთო სავენახეში

მტრობა ჩვენი ფესვებიდან არ მოდის და ამის უტყუარი მემატანე ჩვენი საერთო სინწინდები და ძვალთშესალაგი – ბედია, მოქვი, ამბარა, კომანი, ბიჭვინთა და ლიხნია, რომელთა ჩუქურთმებში, ქართულ ოჯალეთთან ერთად, ბუნებრივადაა ჩანწულ-ჩაგვირისტებული აფხაზური ამლახუ და ავასირხვა – ვაზი, ჩვენი სამშობლოს, ჩვენი საერთო წარსულის, ერთობის, სიყვარულისა და სიცოცხლის სიმბოლო.

**ამიტომაც აშენებენ ენგურს აქეთ ქართველი მეღვინეები „მშვიდობის ვენახებს“, სადაც ქართულ ჩხავერსა და ალადასტურს ფესვებს უმაგრებს აფხაზური აჟაპში და აგბიჟი, აციმილიჟი და ამლახუ – ეს უძველესი აფხაზური ვაზის ჯიშები, საიმედო ხელში რომ მოხვედრილან და გადაშენების საფრთხე რომ არ ემუქრებათ. ჩვენც ასე გადავრჩებით – მხოლოდ გვერდიგვერდ, მხოლოდ ერთ სავენახეში, ერთმანეთის ფესვების გამაგრებით.**

ვიფიქროთ ამაზე, ვწეროთ ამაზე, მოვუყვით მსგავსი ფაქტები ერთმანეთს პრესის ფურცლებიდან, რადიოს, ტელევიზიის, ტელეფონის მეშვეობითაც – გავავრცელოთ, გავამრავლოთ და ჩვენს შვილებსაც გავატანოთ ხვალინდელ საგზლად.

**ნებისმიერი ომი სიტყვით იწყება და მისი დამთავრებაც, ანუ მშვიდობის დამყარებაც, ასევე, სიტყვითაა შესაძლებელი.**

**ვეძებთ ეს სიტყვა ერთმანეთში.**



სოხუმი. ბულვარი

\* – ფოტო პაატა ქურდოვანიძის წიგნიდან „ქართულ-აფხაზური ალბომი“.



ვახტანგ ბახტაძე

უენიანისტი და პუბლიცისტი - ვახტანგ ბახტაძის წიგნი - "სიკვილი... ზოგჯერ გვიგვიანია" ფიგურები ამავე სახელწოდების წიგნიდან, რომელსაც მადე იხილავს მკითხველი. ხომოც ავტორი აღნიშნავს, წიგნი ეხოვნე გმიხზე მეხაბ ყოსტავაზა და, ამასთან, ესაა გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატყობებისა და "სისხლიანი ზამთრის" შემდგომ განვითარებული მოვლენების ანალიზი.

ვახტანგ ბახტაძე, ზვიად გამსახუდიას ჰეხ-სამსახუხის ყოფილი უფიოსი, ბუნებხივია, იდგა მათ გვეხიდი, რომელთათვის "ენა, მამული, სახმუნობა" სამების ეხი მცნება იყო. ეხოვნელი მოძხოობის დანებიდან 30 წელზე მეტი გავიდა, მაგამ ჰვეყნის დამოუკიდებლობის გზაზე ჰეხაც დაესხელებელი ომი მოსაგებია. ჰიხად იცნობდა ზვიად გამსახუდიას, მეხაბ ყოსტავას, მათ თანამებხიძოლი, და ამდენად, ფასუელია ვახტანგ ბახტაძის დოკუმენტუხი ჩანანეხები და მოვლენების ეპიცენტრში მყოფი თვითმხილველის მოგონებები.

ისიდეგუხი და ეხოვნელ-განმათავისუფლებელი მოძხოობის აქტიუხი წეხის ვახტანგ ბახტაძის უენიანისტუხი და დიეტეხტუელი მოღვაწეობა მხავად სფეხოს მოიცავს. ის ახის ზვიად გამსახუდიას ცნობილი ნაშხომის "საქართველოს სელიეხი მისია" შემდგენელი და წინათმის ავტოხი; საბჭოთა საქართველოს ისტოხიაში ჰიხველი (ოპოზიციუხი) დამოუკიდებელი სააგენტო "მაცნეს" დამაახლებელი და ჰოლიტიუხი დიეტეკოხი; ამასთან, ამავე სააგენტოს ყოველკვირუელი ბიულეტენის (ქახიულ, ხუსელ და ინგლისუხ ენებზე) მთავახი ხედაქტოხი; ავტოხია წიგნისა "ილიას მახილდი სიტყვა ქახიულ სიტყვიეხაში"; გამოსაცემად მზადაა უენიანისტის მოგონებები ესამახილოდ დასეხილ ნაზი შამანეხზე, წიგნად შეეხელი მეხაბ ყოსტავასა და ზვიად გამსახუდიას წეხილები...

გაყევით სეხიქონებს და ამბავს იმ აყისა, რომელსაც "სამშობლოზე ეყეთ ახასოდეს ახ უცხოყხია".

## „სიკვილი... ზოგჯერ გვიგვიანია“

ვახტანგ ბახტაძე

მართლმადიდებლობა ის ქვაკუთხედი, რომელსაც საუკუნეებია, ეფუძნება და მომავალშიც დაეფუძნება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ქართველი ერის ისტორია სამშობლოს სიყვარულის ისტორიაა, რომელსაც ქრისტიანული რწმენა ასაზრდოებს. ქრისტიანობა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძხოობის, ჩვენი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების, ისტორიული ბედ-იღბლის, მისი ჭირ-ვარამის განმსაზღვრელია.

მერაბ კოსტავა მთელი არსებით ქრისტიანი იყო. იგი ძალიან ცოტას ითხოვდა ცხოვრებისგან. ყმანვილკაცობიდან მოყოლებული, ყველაფრის მიუხედავად, თამამად ამბობდა სიმართლეს. ბოლომდე შეინარჩუნა გამბედაობა, ზომიერების გრძნობა, მოყვასის გაგებისა და მიტევეების ნიჭი, სინრფელი.

ქვეყნის სიყვარულისა და თავისუფლების დაცვისათვის რუსეთში დიდი ხნით გაციმბირებული (მაგრამ განგების ნებით გადარჩენილი) და სამშობლოში ღირსეულად დაბრუნებული, სიცოცხლეშივე ლეგენდადქეული მერაბ კოსტავა სრულიად საქართველოსთვის უმძიმეს დღეებში (1989 წლის 13-21 ოქტომბერი) მისმა

უდიდებულესობა ქართველმა ერმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძხოობამ იგი ეროვნულ გმირად შერაცხა.

მერაბ კოსტავას გარდაცვალებიდან ორი წლისთავზე რადიოეთერში მიწვეული ზვიად გამსახუდიას იტყვის: „მერაბი ძალიან დააკლდა ჩვენს ეროვნულ მოძხოობას, ყოველდღიურ ცხოვრებას, საქართველოს დააკლდა... საქართველო, ალბათ, სხვა იქნებოდა დღეს, მერაბი რომ გყოლოდა გვერდით. დიდი გოდოლი შემუსრა მტერმა...“

ასე ისურვა უფალმაც, ამდაც ინება, მოვლინებოდა იგი წუთისოფელს 26 მაისს, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადების დღეს, რათა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებოდა იმპერიალისტურ „წითელ ურჩხულს“.

„მერაბ, შენ რეფერენდუმი არ გჭირდება, დღეს მთელმა საქართველომ გალიარა შენ დამოუკიდებელი საქართველოს რაინდად, საქართველოს ეროვნულ გმირად!..“ – ასე გამოსატა ქართველი ერის ნება ზვიად გამსახუდიამ.

„კაცის სიცოცხლისთვის 50 წელიც კმარა!“ – უთქვამს მერაბს 1989 წლის 26 მაისს, თავის დაბადების დღეს, გარდაცვალებამდე 5 თვით ადრე.



მერაბ კოსტავა – სკოლის მოსწავლე



ახლო ნათესავების თქმით, მერაბი ყმანვილობიდანვე უცნაური ბიჭის შთაბეჭდილებას ტოვებს; იმ პერიოდში საბჭოთა სტანდარტებიდან სრულიად ამოვარდნილი, გარეშემყოფთა თვალში შერევილადაც მიჩნეული, დადის ეკლესიაში, ლოცულობს, ანთებს სანთლებს, სახლში უკიდია ხატები, ენაფება ქართული საგალობლების შესწავლას, კითხულობს ბევრს; ძირითადად, ეკლესიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურას; **ფიქრობს სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე. და, ალბათ, მაინც უმთავრესი: ამბობენ, კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟს, ზვიადს, გიჟურად გადაეკიდაო (შემდგომში ისინი, ორივენი, დიდ თავსატეხს გაუჩენენ სუკისტებს). ცოტა ხანში, უკვე თავად დიდი კონსტანტინესაგან მიიღებს ღირებულ გაკვეთილებსა და საჭირო რჩევა-დარიგებებს.**



მერაბ კოსტავა – სამუსიკო სკოლის მოსწავლე

მის ყმანვილობაში უბნელებს შორის მუშტი-კვრივი, ძიძგილაობა ერთგვარი გატაცებაც იყო. არ გვახსოვს, – იგონებს თანაუბნელი, – მერაბს როდესმე ნაქცევლისთვის დაერტყას; მაგრამ თუ მარცხდებოდა, ნაცემ-გალახული ნაქცევამდე იბრძოდაო...

მერაბ კოსტავა სამუსიკო სკოლას ფორტეპიანოს კლასით ამთავრებს და შემდეგ თბილისის კონსერვატორიაში აგრძელებს სწავლას; III კურსზე საფორტეპიანო ფაკულტეტიდან მუსიკათმცოდნეობის ფაკულტეტზე გადადის... **როგორც მისი პედაგოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი და მუსიკის კათედრის გამგე ლადო დონაძე იტყვის, არც მანამდე და არც შემდეგ კონსერვატორიაში მერაბისთან სადიპლომო ნაშრომი არავის წარმოუდგენიაო\*.**


მერაბ კოსტავას გამორჩეულად უყვარდა ქართული ხალხური სიმღერები. როცა ამის შესაფერისი სიტუაცია მიეცემოდა, მღეროდა, ზოგჯერ მიტინგებზე, ვინრო წრეშიც. უმეტესად კი, სუფრასთან. მღეროდა რისიანად, ფეხზე წამოდგარი. მისი ძმადნაფიცი ზვიად გამსახურდია ყოველთვის ბანს ეუბნებოდა. მას ჰყვებოდნენ სხვებიც. **სიმღერა, ალბათ, ყველაზე უკეთ ავლენდა მის ხასიათს – პირქუშს, ღრმასა და ნაღვლიანს.**

გადასახლებიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ ქართველ ხალხს მიტინგებიდან უკვე კარგად დაამახსოვრდა ის, როგორც წარმოსადგეი, მტკიცე ხასიათის, შეუდრეკელი თავისი ხავერდოვანი, ლამაზი ხმით, დაუვინყებლად შესრულებული „შავლეგოთი“, სიმღერით, რომელიც მაშინ ეროვნულ-პატრიოტულ ჰიმნად იქცა.



როგორი გვახსოვს მერაბი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანამებრძოლთ? იგი მუდამ „ყოველთა-ქართველთა“ ერთობის მომხრე იყო, თავს არ გახვევდა საკუთარ მოსაზრებას; მაგრამ იმთავითვე მისი შეხედულება უჩინრად გიპყრობდა. მოკამათეში არ ეძებდა მონინაალმდეგეს; თუ ეროვნული გრძნობის გამოვლენას შენიშნავდა, არასოდეს მალავდა აღფრთოვანებას. თუ რაიმე მოეწონებოდა, დიდი სითბო ჩაუდგებოდა თვალეში, ღიმილიან სახეში. მაგრამ მეგობართა წრეში უკმაყოფილებას ხშირად დუმილით გამოხატავდა.

**ყოფილი საბჭოთა კავშირის ბალტიისპირელ პოლიტპატიმართაგან ხშირად გვსმენია: მერაბ კოსტავა „სიკვდილის ბანაკებსა“ და შორეულ გადასახლებებში ხანგრძლივად ყოფნის მიუხედავად, მაინც გამორჩეულ ქართველად დარჩა. იყო დინჯი და აუჩქარებელი, ლმობიერი და სამართლიანი. თითქმის ყველა პატიმარს სურდა მერაბ კოსტავასთან საუბარი და თითოეული, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიური კუთვნილებისა, მასთან საერთო ენას პოულობდა. მისგან არაჩვეულებრივად გადამდები, ჭეშმარიტად ქრისტიანული იმპულსი მოდიოდა; ჩვენ მას მეტსახელად „სინდისს“ ვეძახდით.**



მერაბ კოსტავა – კონსერვატორიის სტუდენტი

„სინდისი სიმართლის ხმაა“, – იტყვის შემდგომ მერაბ კოსტავა. საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებიდან და გადასახლებიდან ჩამოსვლის შემდეგ თავის წრეში უყვარდა საუბარი ქართული ისტორიულ-წერილობითი ძეგლის – „ქართლის ცხოვრების“ შესახებ. იგი გატაცებით ჰყვებოდა, რომ ცხრა საუკუნეზე მეტია, ქართველი ხალხი უდიდესი სიყვარულით თავს ევლება საქართველოს ისტორიულ საუნჯეს – „ქართლის ცხოვრებას“. ისევ და ისევ იმეორებდა: „ესე არს წმინდა და პატიოსანი წიგნიო, ამბობდნენ ძველ საქართველოში და ამით მისდამი უდიდეს მონინებას გამოხატავდნენ“.

\* – სადიპლომო თემის სათაური: „ბაირონი დასავლეთ-ევროპულ სიმფინიურ მუსიკაში“.



ზვიად გამსახურდია

გთავაზობთ ერთ ამონარიდს ჩემი ჩანაწერებიდან, სადაც მერაბის აზრებია დოკუმენტირებული (დათარიღებულია 1988 წლის 29 დეკემბრით, თბილისი): „XI ს.-ში, როცა ქვეყანა გაერთიანდა, საჭირო გახდა ისეთი საისტორიო თხზულების შექმნა, რომელშიც ნაჩვენებია იქნებოდა არა ცალკეული მხარეების, არამედ მთლიანი საქართველოს წარსული. ხაზგასმული იქნებოდა ის ფაქტი, რომ საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებნი ერთი დედის – ქართველი ერის უბიდან არიან გამოსულნი და ქვეყნის ერთიანობა, ქართველთა ეს დიადი ისტორიული მონაპოვარი, უცხო და შინაურ მტრებთან ხანგრძლივი ბრძოლით იქნება მიღწეული. „ქართლი“ აქ საქართველოს ნიშნავს, ხოლო „ცხოვრება“ – ისტორიას“.

ზოგჯერ მოულოდნელად ჩაფიქრდებოდა და, თითქოს სიტყვას თან გულიც ამოაყოლო, ამოიხრავდა: „აქ უფრო ძნელი ყოფილა, ძმაო, ცხოვრება, ვიდრე იქ... მერჩივნა, ციხეში ვმჯარიყავი, ვიდრე ის მენახა, რასაც ახლა ვხედავ!“

**მერაბ კოსტავა ყოველთვის გაურბოდა ნახევრად სიმართლეს! ეუბნებოდა თანამოძმეებს, არ ეცათ ფუჭი თაყვანი კერპებისათვის. გვთხოვდა, მე კი ნუ მისმენთ, ლოგოსს მოუსმინეთო; და ვითარცა ძველი ათენის ფილოსოფოსი, ნოსტალგიას მამულთან აიგივებდი, სევდას – სწრაფვასთან, რათა სამყაროში, როგორც მშობლიურ საცხოვრისში, ადამიანს განეფინა შინ ყოფნის უნარი (მისი ერთ-ერთი არსებითი ნიჭი).**



ინფორმაციული ომი, რომელიც დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზაზე დამდგარ პატარა საქართველოს გამოუცხადეს სამართლიანობის, ჰუმანურობისა და კანონმორჩილი კაცობრიობის მოძულე ძალებმა, მუდამ შავ ლაქად გაჰყვება მსოფლიო ისტორიას. კომუნისტური ნომენკლატურის მიერ ნაქეზებული და მოტყუებული ხალხის ნაწილი გაუგონარმა შურისგებამ და უმაღურობამ მოიცვა. და დაუპირისპირდნენ კიდევ უდიდესი საერო საქმისა და ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელს – ზვიად გამსახურდიას (მერაბ კოსტავასთან ერთად); მიაღწიეს „სანადელს“ – 1991 წლის დეკემბრის ტრაგედია თავიდან ვერ ავიცილეთ.

**საქართველოს რესპუბლიკის გამიჯნვა საბჭოთა კავშირის დემონტაჟის პროცესისგან პირდაპირ უკავშირდება თბილისში აგორებულ ამ სამხედრო-სახელმწიფო გადატრიალებას. იგი, აგრეთვე, უშუალო კავშირშია დსთ-ს შექმნასთან.**

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის – ბორის ელცინის თხოვნის მიუხედავად, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ხელისუფლებამ და პირადად ზვიად გამსახურდიამ კატეგორიული უარი განაცხადეს დსთ-ს შემადგენლობაში შესვლაზე. **პრეზიდენტის პასუხი კონკრეტული იყო: „ჯერ აღიარეთ ქვეყნის დამოუკიდებლობა და მოლაპარაკების მაგიდას მერე მივუსხდეთ“.**

ეს იყო 1991 წლის 21 დეკემბერს. მეორე დღეს, 22 დეკემბერს უკანონო ბანდ-ფორმირებებმა დაიწყეს სამხედრო შტურმი. რუსთაველის გამზირზე დაპირისპირება უძძიმეს სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

**ესეც იმ დღეების ნაწილია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მეგობარმა, მაშინდელი უზენაესი საბჭოს**

**დეპუტატმა, ნათელა ქუთელიამ რაც გაიხსენა. ზვიად გამსახურდიასთან მეტად აღელვებული და ცხარე საუბრის შემდეგ, იქ, ბუნკერში, ქართველ ხალხზე განაწყენებულ პრეზიდენტს თურმე ჯიუტად მაინც ასე უთქვამს:**

**„ყველამ იცოდეს, უფალს ქართველ კაცზე უკეთესი ამ ქვეყანაზე არაფერი შეუქმნია“.**

მერაბიც ძალიან გაიხარებდა, „ქრისტესმიერი ძმის“ ეს სიტყვები რომ გაეგონა საქართველოსთვის ძალზე დრამატულ ვითარებაში.

აი, რას წერდა მერაბ კოსტავა ჯერ კიდევ 1988 წელს, პარიზში გამომავალ ჟურნალ „გუშაგის“ რედაქტორს, ჟურნალისტსა და პუბლიცისტს, ბატონ გიორგი წერეთელს (წერილს წავაწყდი პარიზში, მასთან სტუმრობისას): „...გულის სიღრმემდე აღწევს სამშობლოს მონატრებული, ბედილობისადმი მზერამიმართული თანამემამულის ხმა. ბუნებრივია,



მერაბ კოსტავა – მიტინგზე



რომ განვიცდი იმ გაყოფისა და უთანხმოების, ლანძღვისა თუ „ურთიერთშემკობის“ ამბებს... ვისი ბრალია ყოველივე? ვინ არის დამნაშავე?

ჩემი აზრით, სხვადასხვა საკითხის გარკვევა შეიძლება მოლაპარაკებითაც, ურთიერთის ლანძღვის გარეშე, მართალი შედეგების მიღწევითა და დიდი ეფექტით... არ ვიცი, მომავალში რა გზით განვითარდება ეს ურთიერთობები. მე ვცდილობ და ყოველთვის შევეცდები მშვიდობისა და ჰარმონიის დამყარებას“.



**მერაბ კოსტავას სამშობლოზე უკეთ არასოდეს არ უცხოვრია. ხშირად გვეუბნებოდა: „გახსოვდეთ, ძმებო, ეროვნულ ერთიანობაზე დიდი იდეა პოლიტიკაში არ არსებობს“.**

მან ყველაფერი შესწირა სამშობლოს – ახალგაზრდობა, პირადი ცხოვრება, ოჯახი, თვით შეილიც კი, და, ბოლოს, საკუთარი სიცოცხლე.

**როგორც ჭეშმარიტად გაუტყეხელმა ქართველმა, მერაბ კოსტავამ ყველა სიძნელეს გაუძლო – ხელისუფალთაგან არნახულ დევნა-შევიწროებას, თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პოლიტიკური ნიშნით სპეციალურ შესწავლას, სუკ-ის „სანაქებო“ ჯურღმულებში ყოფნას, დამცირებასა და ფიზიკურ ძალდატანებას საბჭოთა საკონცენტრაციო „სიკვდილის ბანაკებში“, ხანგრძლივი შიმშილობის აქციებს...**

მან თავის „ქრისტესმიერ ძმასთან“ – ზვიადთან ერთად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განაახლა და გამოაღვიძა. მათი ღვაწლი განუსაზღვრელია. მათ შეუძლებელი შეძლეს!

**ერთი ყოფილი საბჭოთა პოლიტპატიმარი იხსენებს: პერმის საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნისას მერაბ კოსტავა ძალიან ვიწრო კარცერში ჩააგდეს, ტრუსების ამარა, 45 გრადუსიან ყინვაში. მთელი ღამე მერაბმა ხტუნვაში გაატარა. როცა დილით ციხის ზედამხედველები მოვიდნენ, მათი აზრით, გვამის „გამოსატანად“, გაუგნებულნი დარჩნენ: მერაბი მათ მაინც მედგრად დახვდა და ამაყად უთხრა: „Привет, братья!“**

„ღრმადმორწმუნე კაცს ძალუძს სხეულიდან სულის სახით გამოსვლა და კვლავ სხეულში დაბრუნება, ისე, როგორც ამას აკეთებდა VI ს.-ში მოღვაწე ასურელი მამა – წმინდა შიო მღვიმელი, იოანე ზედაზნელის მონაფის – დავით გარეჯელის თანამედროვე“, – მერაბის ეს სიტყვებიც დოკუმენტურად მაქვს ჩანერილი. შემდგომ იგი დასძენდა: „ასეთია, ძმებო, ღვთის ძალა, რომელიც დიდი რწმენისა და ლოცვების შედეგად შეიძლება, ადამიანზე გადმოვიდეს“.


აშშ-ის მეორმოცე პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის შთამაგონებელი შეფასებით (1987 წ. რადიო „თავისფულება“, მიუნხენი): „...ქართველი მერაბ კოსტავა, ეს მართლაც რკინის ადამიანია; მან სამშობლოს მაღალი იდეალებისა და უფლებათა დაცვის გამო, „კომუნისტურ ჯურღმულებში“ არნახულ ტანჯვას გაუძლო, მე აღფრთოვანებული ვარ ამ კაცის სიმტკიცით“.

**აღსანიშნავია, რომ 1978 წლის ზაფხულში მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია აშშ-ის კონგრესის მიერ წარდგენილი იყვნენ მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე (მერაბი ამის შემდეგ კიდევ ორჯერ იყო ამავე პრემიაზე წარდგენილი).**

...და მაინც ვინ იყო მერაბ კოსტავა? მარადყვამს ფხიზელი სინდისი ჩვენი.

მერაბ კოსტავამ თავის მეორე (განმეორებით 1981 წ.) სასამართლოზე ვრცელი სიტყვის ნაცვლად მოკლე და მრავლისმეტყველი განცხადება გააკეთა: „თქვენ ისე მექცევით მე, როგორც რუსეთი საქართველოს!“

უკმარისობა სამოქალაქო კულტურისა დღესაც არ გამქრალა და დღევანდელივით ჟღერს მერაბის გუშინდელი ნათქვამი: „თუ ჩვენ არ გავერთიანდებით და ერთად არ ვიმოქმედებთ, განგება ისეთ გამოცდას მოგვინყობს, რომ შეიძლება, ერთმანეთს ვეძებდეთ ხელის ცეცებით“.



მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია



ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტები. წინა პლანზე – ვახტანგ ბახტაძე



კონსტანტინე პაუსტოვსკის წინ დაჩოქილი მარლენ დიტრიხი. 1963 წ.

ჩემთვის მძინარე დიქტიონი სხი ჯავშიში ჩამოვიდა, მასწინძლები დაინტეხესდნენ, თუ ჩის დათვარიეხებას ისეხვებდა ის მოსკოვში - ხეშის, დიდი თუატიხისა თუ მავზოლეუმის?

ამ, მახილაც ხომ, ქაღმეხითმა თავისი ჰასუხით ყვედანი გააოცა:  
- მე მსუხს, შევხვდე ჩეს მწეხალს - ჟონსტანტინე ჰაუსტოვსკის. ეს ჩემი დიდი ხნის ოცნებაა!

მასწინძლები გაოგნდნენ. მსოფლიო ჟინოვასხსევედავი და "ვილაც" ჰაუსტოვსკი? ნამდვილი ბოდვაა! მთელი მოსკოვი ფეხზე დადგა და, ჩა თქმა უნდა, ავადმყოფი მწეხლის ბინასაც მიაკითხეს.

ის, ჩაც მეჩე უდიდესი მსახიობის ჟონსეხეზე მოხდა, ღამის, ღეგენდად იქცა. მსოფლიო ვახსევედამა, ჩემსახისა და ჰუმინგუეის უახლოესმა მეგობარმა, სევენაზე ბახბაციით გამოსული მოხუცის წინაშე საჯაროდ მოიყარა მეხლი.

ქალის მბხწყინავი ქვებით მოოქვილი საღამოს ჯაბა იმდენად ვინჩი იყო, ხომ ჩამეხლებისას მძივებასხმული ძაფები დასედა და ქვები სევენაზე მიმოიფანტა. მახილენი ჟი, თითქოსდა ახაფეხი მომხდაჩაო, მწეხალს ჯეხ ხელზე ეამბოხა და შემდეგ ყოვედგავი აქტიოხედი ჰოზინოხობისგან დაციდნდა, მისი ხელები აცხემლებულ სახეზე მიიღო. დახბაზი ჯეხ გაიხინდა, შემდეგ ჟი ნელ-ნელა, გაუბედავად, თითქოსდა ჩაღაცის ეხიდებო, ფეხზე წამოდგა და აპლიდისმენტებისგან აფეთქდა.

მას შემდეგ, ჩაც ჰაუსტოვსკი საჯაროდ ჩასვეს და დახბაზიც, ჩოგოხე იქნა, დაცხა, მახილენ დიქტიონმა საზოგადოებას ამცნო, ხომ მის ცხოვებაში ყვედაზე დიდ ღევესეხედი მოვენდად მიიჩნევეს ჟონსტანტინე ჰაუსტოვსკის მოთხიობას

"ღევესე", ჩომის თახგმანი მან ჩომელილაც გეხმანედი ხეებულში ნაკითხა:

- იმ დღიდან ისეთი შეგხძნება მქვეს, თითქოს მწეხლის წინაშე განუზომელ ვადში ვახ; მსუხედა, მეამბოხა იმ ხელისთვის, ვინც შექმნა ეს საოცხება; და აი, ამიხდა ჟედუც! ბენიეხი ვახ, ხომ ეს შევქედი. გმადლობ!

# ღევესე\*

## კონსტანტინე პაუსტოვსკი

### რუსულიდან თარგმნა თათული რუხაძე

ცივი და ავდრიანი ოქტომბერი იდგა. გზებზე არათუ სიარული, მგზავრობაც კი შეუძლებელი გახდა. ეკატერინე პეტრეს ასულს სულ უფრო და უფრო უჭირდა დილით ადგომა, ავადმყოფობისგან დაუძღურებულ ქალს თვალეებში დღის სინათლეც დააკლდა. მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად მასთან ყოველ დღე მეზობლის ქალიშვილი, მანიუშკა მოდიოდა, სახლში მაინც საშინელი მოუნესრიგებლობა სუფევედა. ეკატერინე პეტრეს ასულმა მთელი ცხოვრება აქ, ამ სახლში გაატარა; ის მამამისმა, ცნობილმა მხატვარმა ააშენა. სახლი, ეკატერინე პეტრეს ასულის თქმით, „მემორიალური“ იყო და საოლქო მუზეუმის გარანტიებით დაცული. ასე რომ, მან არ იცოდა, მისი გარდაცვალების შემდეგ რა ბედი ეწეოდა ამ სახლს.

ეკატერინე პეტრეს ასულს ხშირად ძველი ნაცნობი, სახანძრო სარდაფის დარაჯი – ნითური, ჩია ტანის ტიხონი აკითხავდა. ის, მართალია, მამინ პატარა ბიჭი იყო, მაგრამ კარგად ახსოვდა, თუ როგორ აშენებდა ეკატერინეს მამა ამ სახლს. ტიხონი მარტოხელა ქალს მუდამ გვერდში ედგა: ბაღში გამხმარ ხეებს ჩეხავდა, ხერხავდა და შეშას ამზადებდა. მორჩებოდა თუ არა საქმეს, კარის ზღურბლთან გაჩერდებოდა და წასვლის წინ ქალს აუცილებლად ჰკითხავდა, წასტიასაგან ხომ არ ისმის რაიმე, წერილი ხომ არ მოუნერიაო.



სადღაც, ფიქრებში წასული ეკატერინე კი, უხმოდ იჯდა დივანზე და თავის ტყავის რედიკულში ქალაღებების გადანყობით იყო გართული.

- რა გაენყობა, მე წავალ, - იტყოდა ტიხონი, პასუხს რომ ვერ ეღირსებოდა ქალისგან და, როგორც კი გამოიხურავდა კარს, გულმკვდარი ეკატერინე პეტროვნა მამინვე ტირილს იწყებდა.

წასტია, ეკატერინეს ერთადერთი ქალიშვილი, ლენინგრადში ცხოვრობდა. უკანასკნელად მან სამი წლის წინ ინახულა დედა. ეკატერინემ იცოდა, რომ წასტიას ახლა მისთვის აღარ ეცალა და ამიტომაც იშვიათად წერდა ქალიშვილს, სამაგიეროდ, მთელ დღეებს მასზე ფიქრში ატარებდა.

წერილები არც წასტიასგან მოდიოდა, თუმცა ის მოხუც დედას ორ-სამ თვეში ერთხელ 200 რუბლს უგზავნიდა. ფოსტალიონის წასვლის შემდეგ დაბნეული ქალი ფულს დიდხანს დასჩერებოდა ხოლმე. ასე ეგონა, მათ წასტიას სუნამოს სუნი ასდიოდა. შემდეგ სათვალეს





იკეთებდა და გზავნილზე წვრილი ასოებით ნაწერ სიტყვებს, რომლებიც მუდმივად ერთი და იგივე შინაარსის შემცველი იყო, რამდენიმეჯერ გადაიკითხავდა: „იმდენი საქმე მაქვს, რომ არათუ ჩამოვიდე, ნამდვილი წერილი რომ მოგწერო, იმისთვისაც არ მცალია“-ო, იტყობინებოდა ნასტია.

ერთხელ, ღამით, ქალს ბალის სიღრმიდან ხანგრძლივი კაკუნის შემოესმა. შემფოთებულმა ეკატერინემ ძლივძლივობით ჩაიკვა, გარეთ გამოვიდა, რის ვაი-ვაგლახით კუტიკარს მიაღწია, მაგრამ იქ მისულს აღარავინ დახვდა.

– როგორც ჩანს, მომესმა! – გაიფიქრა მან და ღონემიღეული სახლისკენ წაღასვალდა.

უეცრად მოხუცს სუნთქვა შეეკრა, ხესთან შეყოვნდა, ხელით ცივ, სველ ტოტს შეეხო და... იცნო: ეს იყო ნეკერჩხალი, რომელიც მან ჯერ კიდევ შორეულ ახალგაზრდობაში დარგო; შეებრაღა ეს უშშვენიერესი ხე, რომელიც მის ხორკლიან ტანს შეეხო; მოხუცმა სახლამდე ძლივს მიაღწია და მაშინვე ქალიშვილთან წერილის წერას შეუდგა:

„ჩემო თვალისჩინო, მე ამ ზამთარს ვერ გადავიტან, იქნებ, მოიცალო და ერთი დღით ჩამოხვიდე, მომეცი საშუალება, გნახო, შენს ხელებს შევეხო. იმდენად მოვხუცდი, რომ არათუ სიარული, ჯდომა და წოლაც კი მიჭირს; არადა, სიკვდილმა ჩემკენ მოსასვლელი გზა თითქოს დაიფიქრა. წლეულს უმძიმესი შემოდგომა დამიდგა. ასე მგონია, ჩემს მიერ განვლილი ცხოვრება არ ყოფილა ისე ხანგრძლივი და დაუსრულებელი, როგორც ეს შემოდგომაა“.

დედის წერილი ნასტიამ სამსახურში მიიღო. ახალგაზრდა ქალი მხატვართა კავშირში მუშაობდა; ის ძალიან მოუცლელი იყო; გამოფენებისა და კონკურსების მოწყობა – ყველაფერს მისი ხელი უნდა შეხებოდა. მხატვრები მას სოლვეიგს\* ეძახდნენ ნაბლისფერი თმებისა და დიდი, ცივი თვალების გამო.

ნასტიამ გადანყვიტა, წერილი სახლში წაეკითხა. დედის წერილები მას ერთგვარ შვებას გვრიდა, რადგან დედა წერს, ე.ი. ცოცხალიაო, თავს იხუტებდა. ამავდროულად, მათი ნაკითხვის შემდეგ მის სულში რაღაც ყრუ შფოთვა იბუდებდა და მოსვენებას არ აძლევდა; თითქოს დედის წერილებიდან ფარული, უსიტყვო საყვედური გამოსჭვოდა.

სამსახურის შემდეგ ნასტია ახალგაზრდა მოქანდაკეს, ტიმოფეევს სახელოსნოში უნდა სწევოდა, რათა საკუთარი თვალით ენახა, თუ რა პირობებში ცხოვრობდა ის და ყველაფერი საბჭოს გამგეობისთვის მოეხსენებინა.

კარი პალტოში გამოწყობილმა ტიმოფეევმა გაუღო: – ნუ გაიხდით, თორემ გაიყინებით! – გააფრთხილა მან სტუმარი და ნასტია გაყინულ სახელოსნოში შეიპატიჟა.

– აი, დატკბით! – წარმოთქვა ტიმოფეევმა და ნასტიას თიხით მოთხვრილი სავარძელი შესთავაზა, – გაუგებარია, აქამდე როგორ არ გამძვრა სული ამ ბუნავში! პერშინის სახელოსნოში კი თბილა, როგორც საპარაში!

– თქვენ პერშინი არ გიყვართ? – ფრთხილად ჰკითხა ნასტიამ.

– მეტიჩარა! – გაბრაზდა ტიმოფეევი – ხელოსანი! მის ფიგურებს მხრების ნაცვლად პალტოს საკიდები აქვს. მისი კოლმეურნე ქალი – ქვის დედაკაცია, წინსაფარშესნილი, მუშა კი ნეანდერტალელი მამაკაცი. პირდაპირ ხის ნიჩბით ძერწავს. მაგრამ ცბიერია, ძვირფასო, კარდინალივით ცბიერი!

– აბა, მიჩვენეთ თქვენი გოგოლი! – სთხოვა ნასტიამ, რათა საუბრის თემა შეეცვალა.

ტიმოფეევმა ერთ-ერთ ფიგურას სველი ტილოები ჩამოხსნა, ყოველი მხრიდან ყურადღებით შეათვალიერა და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართა ნასტიას:

– აი, ისიც, ნიკოლოზ ვასილის ძე! აი, ახლა კი – გთხოვთ!

ნასტია შეცბა. ცხვირნაწვეტებული, წელში მოხრილი მამაკაცი მას საყვედურით აღსავსე, გამჭოლი მზერით შესცქეროდა, თითქოსდა თხემით ტერფამდე იცნობდა ქალს. ნასტიამ თვალნათლივ დაინახა, თუ როგორ მძიმედ პულსირებდა წვრილი სკლეროზული ძარღვი მის საფეთქელზე.

„წერილი ჩანთაში კი გაუხსნელია, – გოგოლი, თითქოს, თვალებით ბურღავდა ნასტიას – ეჰ, შე, კაჭკაჭო!“

– შესანიშნავია! – ძლივს ამოღერღა ნასტიამ – ნამდვილად შესანიშნავია!

ტიმოფეევმა მწარედ ჩაიღიმა:

– შესანიშნავია, ამბობენ ყველანი – პერშინიც, მატიაშიც და კომიტეტის სხვა წევრებიც, მაგრამ რა? იქ, სადაც ჩემი, როგორც მოქანდაკის ბედი წყდება, საკმარისია იგივე პერშინის ოდნავი ჩახველებაც კი და ყველაფერი – უსრულდება. მე კი ღამეები არ მძინავს!

ნამოხტა ტიმოფეევი და სახელოსნოში დაიწყო სირბილი:

– სველმა თიხამ ხელებზე რევემატიზმი გამიჩინა, სამი წელია, გოგოლზე დანერჩილ ყოველ სიტყვას ვკითხულობ! ტიმოფეევმა მაგიდაზე დახვავებული წიგნების გროვას ხელი ჩაავლო, ასნია და კვლავ მაგიდაზე დაახეთქა.



\* - ქალის სახელი (უძველესი სკანდინავიური ეტიმოლოგიით).



– ეს ყველაფერი გოგოლზეა! – თქვა მან და უცებ დამშვიდდა – მგონი, შეგაშინეთ, არა? მაპატიეთ, საყვარელო, მაგრამ მე მზად ვარ, ვიჩხუბო!

– რა გაენწყობა, ერთად ვიჩხუბოთ! – წარმოთქვა ნასტიამ და იმ გადანწყვეტილებით, რომ რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, ეს ნიჭიერი ადამიანი ფართო საზოგადოებისთვის გაეცნო, მხატვართა კავშირში დაბრუნდა; თავმჯდომარეს დიდხანს ესაუბრა და უახლოეს მომავალში ტიმოფეევის ნახატთა გამოფენის ჩატარების აუცილებლობაში დაარწმუნა.

სახლში დაბრუნებულმა ნასტიამ, როგორც იქნა, დედის წერილის ნასაკითხადაც მოიცალა.

– რა ვქნა, როგორ წავიდე? – გაიფიქრა და წამოდგა – განა აქაურობას თავს დააღწევ?

ნასტიამ ნათლად წარმოიდგინა, თუ რაოდენ მძიმე და დამღლევი გზის გავლა მოუწევდა; თვალწინ დაუდგა აცრემლებული დედა, დამტკნარი ბალი და სოფელში გატარებული, გულის გამანვრილებელი ერთფეროვანი დღეები და... წერილი სანერი მაგიდის უჯრაში ჩადო. სოფელში

ნასვლა გაურკვეველი დროით გადადო.

ორი კვირა მოანდომა ნასტიამ ტიმოფეევის გამოფენის მოწყობას.

გამოფენამ წარმატებით ჩაიარა. მხატვრებმა და მოქანდაკეებმა დადებითად შეაფასეს ტიმოფეევის შემოქმედება და, ამასთანავე, ერთხმად აღნიშნეს ნასტია სემიონოვნას დიდი ღვაწლი მისი გამოფენის მოწყობაში. ქებისაგან შეცბუნებულ ნასტიას ცრემლები მოადგა თვალებზე.

დარბაზში კავშირის კურიერი, დაშა გამოჩნდა და ნასტიას მის სახელზე მოსული დეპეშა მიანოდა. ქალმა შეუმჩნეველად გახსნა ის და წაიკითხა: „კატია კვდება. ტიხონი“.

– ვინ კატია? – დაიბნა ნასტია – ვინ ტიხონი? ეს დეპეშა მე არ მეკუთვნის!

მაგრამ, როგორც კი, მისამართს დახედა და წერილი ასოებით ნანერი – „ზაბორიე“ ამოიკითხა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე და დეპეშა მაშინვე დაჭმუჭნა.

ნასტია მთელი საღამო გრძნობდა მისკენ მიმართულ დაჟინებულ მზერას – ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა:

– ვინ უნდა იყოს, ნეტა? – რა სისულელეა, ოჰ, ეს წერვები!..

როგორც იქნა, გაბედა და თავი ასწია, უცნობისთვის მზერა რომ გაესწორებინა, მაგრამ იმწამსვე ისევ დახარა. გოგოლი ნასტიას კვლავინდებურად დამცინავი გამომეტყველებით მისჩერებოდა. მის საფეთქელზე წერილი სკლეროზული ძარღვი მძიმედ ფეთქავდა. აღლევივებულ ქალს ისიც მოეჩვენა, რომ მწერალმა თითქოს კბილებში გამკიცხავად, ჩუმად გამოსცრა, უჰ, შენო!

ნასტია სწრაფად წამოდგა, ჩაიცვა და ქუჩაში გამოვიდა. მას უეცრად გონებაში დედის სიტყვები ამოუტივტივდა: „ჩემო თვალისჩინო, თვალისჩინო!“

ნასტია სკვერში სკამზე ჩამოჯდა და გულამოსკვნილი ატირდა, სიცივისგან აკანკალდა; რაც მეტს ფიქრობდა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ამქვეყნად ის ისე არავის უყვარდა, როგორც ამ დაუძლურებულ, ყველასაგან მიტოვებულ მოხუც ქალს.

– გვიანია! დედას ანი მე ველარ ვნახავ! – გაიფიქრა და სწრაფად წამოდგა. თოვლი სახეში სცემდა, ვერაფერს ხედავდა, მაგრამ მაინც აჩქარებული ნაბიჯებით რკინიგზის სადგურისკენ ჯიუტად მიიკვლევდა გზას.

– დედა? – ფიქრობდა ნასტია – როგორ მოხდა ეს? მე ხომ ცხოვრებაში მასზე ძვირფასი და ახლობელი არასოდეს არავინ მყოლია და არც მეყოლება. ოღონდ მოვასწრო, ოღონდაც მაპატიოს!

ნასტიას დააგვიანდა. ბილეთი ვერ იშოვა. სალაროსთან ჩუმად მდგომ უნუგემო ქალს ტუჩები უცახცახებდა; საუბარი არ შეეძლო, რადგან გრძნობდა, რომ თავს ველარ მოერეოდა და პირველივე სიტყვაზე გულამოსკვნიტ აქვითინდებოდა.

ხანშიშესულმა მოლარემ სალაროს სარკმლიდან თავი გამოყო:

– რა გჭირთ, მოქალაქე? – უკმაყოფილო ტონით მიმართა ქალს.

– არაფერი!.. – უპასუხა ნასტიამ – მე... დედა... – ნასტია შემოტრიალდა და გასასვლელისკენ ჩქარი ნაბიჯებით გაემართა.

– სად მიდიხარ? – დაუძახა მოლარემ, – მაშინვე უნდა გეთქვათ! დამელოდეთ!

იმ საღამოსვე ნასტია ზაბორიეში გაემგზავრა.

... ეკატერინე პეტრეს ასული თავს ძალიან სუსტად გრძნობდა, ფეხზე ვერ იდგა. არაფერი სტკიოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც





დამთრგუნველი სისუსტე აწვებოდა მკერდზე და სუნთქვაში ხელს უშლიდა. მანიუშკაც მოხუცს მარტოს არ ტოვებდა, გაუხდელს იქვე, დივანზე ეძინა.

ერთხელაც აღელვებულმა ტიხონმა ეკატერინე პეტრეს ასულს მოუტანა თავისი ხელით დაწერილი დეპეშა, რომელიც, თითქოსდა, ნასტიას ეკუთვნოდა:

„დამელოდეთ. გამოვემგზავრე. მუდამ თქვენი მოყვარული შვილი ნასტია“, იუნყებოდა დეპეშა.  
- არ გინდა, ტიშა! - ყველაფერს მიხვდა ეკატერინე - არ გინდა, ძვირფასო! ღმერთი იყოს შენი შემწე!  
მადლობა კეთილი სიტყვებისა და მზრუნველობისათვის!

ეკატერინე კედლისკენ რის ვაი-ვაგლახით შეტრიალდა და სამუდამოდ მიიძინა... ქალი მომდევნო დღეს დაასაფლავეს.

ნასტია ზაბორიეში დაკრძალვიდან მეორე დღეს ჩამოვიდა. მან ვერ მოუსწრო დედის დასაფლავებას: ის ცხარე ცრემლებით დასტიროდა საფლავზე აღმართულ მიწის ბორცვს.

იქიდან დაბრუნებულმა ღამე დედის ცივ, ბნელ ოთახში, ტირილში გაატარა. გამთენიისას კი სოფლიდან ისე გაიპარა, რომ იგი აღარავის უნახავს.

ნასტიას მოსვენებას არ აძლევდა იმაზე ფიქრი, რომ ამქვეყნად დედის გარდა სხვას არავის შეეძლო, მოეხსნა მისთვის აღუნერეული დანაშაულის გაუსაძლისი სიმძიმე, რომელიც ესოდენ ტვირთად აწვა მის მხრებს.

1946 წ.

მახენ (მახია მაგდაენა) დიტიხი (1901-1992 წ.წ.) იყო გასული საუკუნის 30-40-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე მაღაღანაწარმოებელი ქრონოპროდუცერი, ამასთან, პოპულარული მომღერალიც. გადაღებულია უამრავი ცნობილი ფილმი.

მახენ დიტიხის მშვენიერებასა და ნიჭზე ნუხდნენ მასზე თავდავინყებით შეყვარებული სახელოვანი პიროვნებები, მწელები - ეხის მახია ჰემილი, ვან კოქტო, ამერიკის პრეზიდენტის ჯონ ჯედის მამა - როზეტ ჯენდი, მსახიობები - ვან გაბენი, ჯონ უინი, ჯიმ სტიუარტი, ჯონ გილბერტი, ფიჩე სინატრა, მოხის შუვალი, ჰეისოპები - ოსონ უესი, ჯოზეფ შტეინბერგი...

გახდა ამისა, მახენს მხავანდინი მიმონეხა ჰქონდა უდეგს ამერიკელ მწეხადთან - ეხენსტ ჰემინგუესთან. ხოგოხე ამბობენ, ეს იყო ჰეატონიხი სიყვარულის უდამახესი წლები.

ჰემინგუესისა და დიტიხის ერთმანეთისადმი გაზავნილი ბახათები, ხომლებიც ბოლო წლებში გამოქვეყნდა, ამხელს ამ ეგენდახე პიროვნებათა წხედე განცდებს.

"თქვენ ისეთი დამაზი სახით, ხომ ჰასპოხის ფოტოებიც მთელი ტანით უნდა გადაილოთ", - მისნეხა ჰემინგუემ დიტიხს.

ეხიმანენმა მსახიობმა უახყო ნაციზმი და პოტესტის ნიშნად დატოვა ჯიდეე ქვეყანა. ასე აღმონდა ამერიკაში, ჰოლივუდში. თანამოქალაქებმა დიტიხი ეხიმანის მოლადატედ გამოაცხადეს. II მსოფლიო ომის პერიოდში თავის ერთ-ერთ ინტეგრირებულ მახენმა განაცხადა, ჰიტლერი იდიოტიაო.

1975 წელს სიდნეიში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო მახენმა თეძო მოიკეხა, ხის გამოც დიღმა მსახიობმა საბოლოოდ დაასხედა თავისი კარიერა. უკანასკნელი 13 წელი პახიზის საკუთარი ბინაში განმარტობელი, სანოღს მიუჯაქვა.

გახე სამყაროსთან მსახიობი კავშირს ამყარებდა მხოლოდ ტელეფონით. 1982 წელს დიტიხი დათანხმდა ჰეისოპს - მაქსიმილიან შელს, შუექმნა მასზე დოკუმენტური ფილმი; თანაც, იმ პირობით, ხომ თვითონ ჯადში ახ გამოჩნდებოდა; მახიდაც, 1984 წელს შედგა ფილმი, სახელწოდებით "მახენი". ეს ახის მსახიობის აუდიო-ინტერვიუ, კომენტარებით საკუთარი ცხოვრებისა და კარიერის შესახებ.

მახენ დიტიხი გახდაცვალა 1992 წლის 6 მაისს, პახიზში, საკუთარი ბინაში. მსახიობს 3.000-მდე თავანისმცემელი გამოუთხოვა. მახენი გადაასვენეს ბეჩინში, სადაც ის დაქრძელს დედამისის გვეხით.

ქრონოპროდუცერი ერთმად აღიარებდნენ, ხომ მახენ დიტიხი იყო ჰოლივუდის ბენეფიკარების სიმბოლო, ეგენდახე ვახსკვავი, სკანდალური პიროვნება; თვინდნენ ნიჭიერი მომღერლადაც, ხომეღმაც დაიპყრო მსოფლიოს სახელგანთქმული სენები; მიიჩნევენ მოდის კანონმდებელ ეგენდახე ქადატონადაც, ხომეღმაც მთლიანად შეცვალა წახმოდგენა ქალის ჩაცმულობაზე.

"უეხი წახმომიდგენია სიცოცხლე მეხიერის, მხატვრობის, ცუკვის, დიტეხატეხის გახეშე. ხოცა მეკითხებიან, ხას აკუთებ, ხოცა სენაზე ახ ეგახხიო, ვჰასუხობ, ვკითხულობ და ვკითხულობ-მეთქი", - ამბობდა ბოლომდე მილიონობით მაყუებლისთვის ინტერვიუებში მსახიობად გაჩენილი მახენ დიტიხი.



მარლენ დიტრიხი



გიოხგი ცხვახადის ლექსი "მიყვას", ავტოხისთვის ხომ დაგვეჯეხებინა, შეიძლება, მხოლოდ უბის წიგნაჲს ბინაჲხად დაჩენილიყო; მაგჲამ "ილქანმა" ამ ნიჭიეხი ახანგაზხიდის გუნწიფელი ჰნჯაჲები სამზოხოზე გამოიჲანა. ვფიქრობთ, ლამაზი, ჰოეჲეხი სტოჲეებით გადმოცემული აზრები და ემოცია ახაჲის დატოვებს გუნგხილს, ხოლო ბოლო სტოხიჲონის "...ჲეხ მივხვდი, უფლისათვის ხა უნდა მეთქჲა" ჰასუხი სათაჲეშიჲეა: მიყვას!

გიორგი ცხვარაძე

მიყვას...



მიყვარს სანთელი, ხატების წინ ცრემლად დაღვრილი,  
მიყვარს ხატები, ცოდვილთათვის სარკმლად გახსნილი,  
მიყვარს უფალი, მოკვდავებზე ფიქრით დაღლილი,  
მიყვარს მოკვდავი, ღვთის ტაძარში ლოცვად დახრილი.

მიყვარს სიცოცხლე, სიკვდილისთვის კერძად ქცეული,  
მიყვარს სიკვდილი, სიცოცხლეს რომ შვენის წყეული,  
მიყვარს ადამი, ცოდვებისგან გადარეული,  
მიყვარს ცოდვები, ლოცვებისთვის გადადებული.

მიყვარს დინება, დროის ჩუმი, დაუნდობელი,  
მიყვარს ბავშვობა, სიყმაწვილე, ყრმობა, სიბერე,  
მიყვარს მოვლენა, დაბადება და ცრემლის სისველე,  
მიყვარს ფენიქსი, ფერფლისაგან აღმდგარი ისე.

მიყვარს ცხოვრება, მთელი თავის ცუდით და კარგით,  
მიყვარს, რომ ვძულვარ, ჩემს დადებითს ვხედავ ამაში,  
მიყვარს, რომ მიყვარს უიმედოდ, მაგრამ სინაზით,  
სინაზეც მიყვარს, სინატიფე ჩვენი თამამის.

მე საკუთარი თავიც მიყვარს, სხვა მხრივ არ ძალმიძს,  
ნარცისიზმი მძულს, სიძულვილის თეთრი აკვანი,  
სიბრაღული მძულს, მონყალეა ამპარტავანი,  
სიძულვილი მძულს, სიყვარულის ჩუმი მტარვალი.

წარსული მიყვარს, მომავალი მხოლოდ მაშინებს,  
მე აწმყო მიყვარს, ჭეშმარიტი ბოლოს არ იღებს,  
მე ქალი მიყვარს, მორცხვი ჩუმაღ თვალს რომ მარიღებს,  
მე მაღლი მიყვარს, მოყვასი რომ ქვაზე დამიღებს.

ახალშობილი ჩვილი ბავშვის ტირილი მიყვარს,  
გაუაზრებლად, ცხოვრებაზე გაბრაზებულის,  
სამშობლო მიყვარს, მისი მინა მრავალტანჯული,  
ჩემი ხორცისთვის ერთი გოჯი გადადებული.

მშობელი მიყვარს, ვინც მასწავლა ეს სიყვარული,  
მე მტერიც მიყვარს, თუ სიყვარულს არის ჩვეული,  
იუდაც მიყვარს, კენტად მჯდომი, ცრემლად ქცეული,  
მე მტრობაც მიყვარს, თუ იქნება ის ღირსეული.

მიყვარს ყაჩაღი, უფლის მარჯვნივ ჯვარზე გაკრული,  
მისი რწმენის მშურს თეთრი შურით და ეს მძულს გულით,  
რადგან შური მძულს, არ მსმენია სიკეთე მისი  
და ამ ფიქრებში დამიღგება სულის დაისი.

როცა უფალი ჩვენთან ერთად, ჩვენთვის ჯვარცმული,  
ჩვენს გვერდით ზეცას ჩუმი ლოცვით ალაპყრობს მზერას,  
ბევრჯერ ვყოფილვარ იმ ყაჩაღის ჯვარზე გაკრული,  
მაგრამ ვერ მივხვდი, უფლისათვის რა უნდა მეთქჲა!..



ყველას, ვინც შინააღიანად იცხოვხა, აღბათ, ბუეხი ხამ აქვს მოსაყოლიც და გასახსუნებელიც. მსახიობი ღიანა მიქაშვიძეც მათ შოხისაა, შემოქმედებითი და ცხოვხებისუელი გზა საინტეხესოდ ხომ განვილო. ამ ჰუბლიყაციითა და ღამაზი მოგონებით ის მახიტაც ახსუნებს თავს საყვახედ მაყუხებელს.

წეხილის სათაუხიყ ჯი "ჩემი ნანდუ და ჩემი დადუ" იმდენად მშობლიუხად, კტბილბმოვნად ელუხს (ხოლო ხოცა "ნანდუსა" და "დადუს" მნიშვნელობას იგებ, მეტი სიტბოთი ივსები), უჯვე დადებითად განანყობს მეხიტხველს.

"ხოგოხ მიყვახდა ჩემი აბგახხუი!" - ასე იწყებს ქაღბატონი ღიანა თავის მოგონებას. მაგხამ აბგახხუი მახტო ავტოხის ჯი ახა, ჩვენიც ახის. ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი აბგახხუი, ჩვენი სამოთხე, სადაც ეხი ღიოს თავს ბედნიუხად ვგხდნობდით. ეს ახის ბავშვობა, უხუხველი, განემოხებელი.

მეხიტხველი თითქოს ავტოხთან ეხოდ ბუენდუბა ბავშვობაში, ამ საოცახ სამყახოში და მასთან ეხოდ იწანილებს იმ სიტბოსა და სიყვახულს, ხომელსაც აფხაზუხ სოფელში აფხაზუხი სტემახიტომოყვახეობით გასცემს ნანდუსა და დადუს მოჯახი, მთელი სანათესაო.

მსახიობი გვიამბობს, ყოფითი ამბით დანყებელი უხითეხობა ხოგოხ გადანიზახდა დიდ სიყვახელში, ხომელიც დღემდე გხედლება. წეხილი-მოგონება, ისეთივე მშვენიეხი, ხოგოხც თავად ქაღბატონი ღიანაა, სწოხედ ამის დასტუხია.



ღიანა მიქაშვიძე

### ჩემი ნანდუ\* და ჩემი დადუ\*\*

ღიანა მიქაშვიძე

როგორ მიყვარდა ჩემი აბგარხუი!

ჰო, „ჩემს აბგარხუეს“ ვეძახდი გუდაუთის რაიონის ამ კოლორიტულ, აფხაზებით დასახლებულ სოფელს, სოხუმიდან 40-იოდე კილომეტრით დაშორებულს.

გუდაუთისკენ მიმავალი ცენტრალური ტრასიდან მარცხნივ უნდა აგეხვია, მერე კი აღმართს უნდა აჰყოლოდი. ბოლოს გაივლიდი საცალფეხო ხიდს, მდინარე აცას ორივე ნაპირს რომ აკავშირებდა ერთმანეთთან.

ამის მერე იშლებოდა საოცარი სანახაობა, ფერდობიანი სივრცით, ღამაზი ველით, მინდვრის ველური ყვავილებითა და ხასხასა ბალახის სიმწვანით მოფარდაგებული.

იქვე, მარცხნივ, უფრო პატარა გორაკზე, დაბურული ტყის შუაგი გამვლელს იმით განონებდა თავს, რომ ხშირად ისმოდა იქიდან მაგალობელი ფრთოსნების ხმები. სოფლის იდილიაში მათი საამო ჭიკჭიკი თუ სიმღერა ისეთ მუსიკად იღვრებოდა, ვჩერდებოდი, იმწუთიერი მყუდროება რომ არ დამერღვია, მესმინა ამ ჩიტბატონური მელოდიისთვის.

კიდევ, იცით, რა მახსოვს?!. ისე გავივლიდი სოფლის შარას ჩემს სახლამდე, რომ კენჭსაც არ წამოგვრავდი ფეხს.

ბაგათელიების სახლი გორაკზე იდგა; ეს იყო სამი სახლიდან ერთ-ერთი შენობა, გამორჩეულად თეთრი, ჩემი ნანდუსა და დადუს საგვარეულო ოჯახი, ის მყუდრო კერა, სადაც თითქმის მთელმა ჩემმა ბედნიერმა ბავშვობამ გაიარა.

შევდგამდი თუ არა ებოში ფეხს და დამინახავდა თუ არა ჩემი ნანდუ, გაუბრწყინდებოდა სახე, გაშლიდა ფართოდ ხელებს და გახარებული შემომეგებებოდა; ჩამიკრავდა ძლიერად თავის თბილ მკერდში და აცრემლებული, ჩემით მონატრებული დიდხანს მკოცნიდა.

- ნან, როგორ მომენატრე! სად იყავი აქამდე! როგორ გელოდი! - ამ სიტყვებსა და ფრაზებს კიდევ და კიდევ, თითქოს თავის გასაგონადაც იმეორებდა და უფრო მაგრად მიხუტებდა.

შემდეგ მისი ქალიშვილები - ნატალია და შუდენია გამოჩნდებოდნენ. ღმერთო, რა სიტბოს გასცემდნენ; თითოეულს თითქოს გამოუღვეველი საუნჯე ებარებოდა; ყველა როგორ მეფერებოდა, მანებივრებდა, თავს მამახსოვრებინებდა. და დღესაც ზუსტად ისევე მეიმედება ის სინრფელი, უშუალობა, ის შორეული წარსული, საიდანაც გამოყოლილ



\* - ბებია (აფხ.).

\*\* - ბაბუა (აფხ.).



მადლს, მთელი ცხოვრებაა, საგზლად ვატარებ.

გვქონდა ძალიან დიდი ეზო-კარი, სადაც უზარმაზარი ლეღვის ხეების საჩრდილობელი მზისგან გვიცავდა დიდსა და პატარას, გაგრილების მსურველთ. მახსოვს, რამდენიმე ლეღვის ხე მეც დამარგვევინეს, შენს სახელზე გაიზრდებო. ეს ხეები ჩემთან ერთად მალღებოდა და მერე... „გამასწრო“ კიდევ.

სახლის გვერდით კოლმეურნეობამ გამოგვიყო ნაკვეთი, სადაც თუთუნის გვქონდა დარგული. საღამოობით მეც გავდიოდი „სამუშაოდ“ და მახლისებდა ოჯახის წევრებისთვის ხელის შეშველება, ჩემებთან ერთად თუთუნის ტეხვა. შემდეგ დიდი მახათით ნატყეჩებს სათითაოდ გრძელ და სქელ ძაფზე ავასხამდით და სპეციალურ, ე.წ. „ჩერტებზე“ (ასე ვეძახდით გასახმობი თუთუნის მისამაგრებელ დაფებს) ვანანილებდით გასამშრალელებად. როცა დავიღლებოდით, იქვე, ტყისკენ მიგვინევდა გული. იქ, ტოტებად აწონილ მაყვლოვანში, იყო ფულუროდ შეჭრილი ნარეკლიანი, პაპანაქება ხვატისგან დაცული ხეების ტალავერი, სადაც იდგა უზარმაზარი მაგიდა. მას შემოვუსხდებოდით ირგვლივ და მთელი დღის დაგროვილი ჭორ-მართალი თუ სახვალის ამბები ამ მრგვალი მაგიდის „მონანილებებს“ შორის იხილებოდა.

აბგარხუკთან ერთი ბავშვური და სახალისო თავგადასავალიც მაკავშირებს. მაშინ პატარა პრანჭიკელა გოგონა ვიყავი. ლამაზ ნითელ კაბაზე თეთრკოპლებიანი წინსაფარი მეკეთა (ალბათ, დიდებს ვბაძავდი) და თავზე იგივე ნაჭრის სამკუთხა თავსაფარი მეხურა. შუდენია ყოველ დღით შემიკრავდა ორ პატარა კიკინას, დამაბნევდა ბაბთებს, რომელიც ძალიან მიხდებოდა. მერე აუცილებლად სარკის წინ დავბზრილდებოდი და თვალს ეზოსკენაც გავაპარებდი ხოლმე.

ახრა, ჩემზე ცოტათი უფროსი ბიჭუნა, ყოველ დღე ჩვენსას იყო. მაშინ ორივენი ძალიან პატარები ვიყავით და ახლა მეფიქრება: ნეტა, რა ერქვა იმ განცდას, ყველაფრის ერთნაირად გაკეთებას რაც გვანდომებდა,

ერთმანეთის ნახვა რომ ძალიან გვიხაროდა; მახსოვს (მაგრამ ვერ ვიგებდი, რატომ) ხშირად ლოყები რომ მიხურდა. კოპლებიან თავსაფარს ხან მოვიხდიდი, ხან ისევ მოვირგებდი. ჩემი ჭკუით, ახრას, ალბათ, თავს ვანონებდი. ეზო-კუნჭულს ვიკლებდით სირბილით, ჩვენზე გამოგონილი ათასნაირი გასართობით. გათენებას ველოდი, რომ ახრასთან შეხვედრის წინ ისევ დავბზრილდებულყავი სარკის წინ...

არ მახსოვს, კვირის რომელი დღე იყო ის გამორჩეული დღე რაიონისთვის (ალბათ, მაინც კვირა), მაგრამ კარგად მახსოვს, სხვადასხვა ასაკის ადამიანთა გუდაუთური თავყრილობები ძალიან რომ გვახალისებდა. ახლომახლო სოფლებიდან რაიონის ცენტრში შევიკრიბებოდით უკვე კარგად ნაცნობები თუ უცნობები; იმართებოდა სეირნობები, გასართობი ღონისძიებები, საპატარძლოთა და სასიძოთა შეხვედრები თუ სადედამთილოთა (ვითომ შემთხვევითი) ვიზიტები „საჭირო დროსა და ადგილას“; უსათუოდ უნდა შესულიყავი გუდაუთის უნივერსალში (ამ ერთადერთ სავაჭრო ცენტრში), სადაც იმ დღეს გასაყიდად, რა თქმა უნდა, გამოიფინებოდა სასოფლო-სამეურნეო საგნები, შესაკერი ნაჭრები, ჩასაცმელ-დასახური თუ საოჯახო ნივთები. მაშინ მეჩვენებოდა, რომ ყველაზე ბედნიერი ამქვეყნად მე ვიყავი. ჩემი დაღუ რაღაცით






ყოველთვის გამახარებდა: ხან თოჯინით, ხან „მანიკურით“ (ასეც მანებივრებდნენ), ჟღარუნა „მომპასით“, ნახატებიანი წიგნებით... მახსოვს, პირველად დადუმ რომ მიყიდა ლაქის ფეხსაცმელი და ისიც, იმ დღეს უზომოდ ბედნიერი რომ ვიყავი.

მამაჩემს ძალიან უნდოდა, მცოდნოდა აფხაზური და ჩემებს სთხოვა, აფხაზური ენა ასწავლეთო. მიყიდეს საერთო რვეული და მეც აკურატულად ვინერდი სიტყვებს, გამოთქმებს, წინადადებებს. სხვათა შორის, ადვილადაც ვიმახსოვრებდი ფრაზებს.

რატომღაც წესად დამჩემდა, ავსულიყავი მაღალ ხეზე (არ მახსოვს, ის რა ხე იყო) და იქ მემეცადინა აფხაზურ ენაში. თანაც ხმამაღლა ვიმეორებდი სიტყვებს, ნასწავლ წინადადებებს, „გატეხილ“ ოდიომებს. შეცდომას თუ დავუშვებდი, ნანდუ სამზარეულოდან ამომძახებდა, ეს ხომ ერთხელ უკვე შეგისწორეო. ბავშვი ვიყავი და ენის ათვისება არ გამჭირვებია.

ღმერთო, როგორი ლალი და ბედნიერი ბავშვობა მქონდა! მყავდა ორი საამაყო ბაბუა – მეგრელი ბაბუა და აფხაზი დადუ; ორი მოსიყვარულე ბებია – მეგრელი ბებია და აფხაზი ნანდუ.

ხატების კუთხესთან ანთებული ორ-ორი სანთელი მუდამ ხსოვნისა და მათი იქ ნათელში ყოფნისაა...



P.S. მკითხველს უთუოდ დაინტეხეს, ხამ დამაკავშირა აფხაზუხ სოფელთან, უსაყვარელს ნანდუსა და დაესთან.

ჩემი ოჯახის ოთხივე წევრი (დედა, მამა, ჩემი შვილი და მე) სოხუმის ქაჩიული თეატრის მსახიობები ვიყავით. იმთავითვე, გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან აფხაზი და ქაჩიული მსახიობები, ოჩივე დასის წევრები, ერთ შენობაში - დამატეკ თეატრში ვმუშაობდით და იქვე ვცხოვრობდით. ერთმანეთის მიმართ საოცარ ჰატივისცემასა და სითბოს ვამუღავნებდით. აფხაზები ქაჩიულ სპექტაკლებშიც იღებდნენ მონაწილეობას (ბუეჩი მათგანი მშვენივრად ფლობდა ქაჩიულს).

1943 წლის 30 დეკემბერს, გამოთენიხსას, დიდი განსაცდელი დაგვაცყდა თავს - თეატრის ცეცხლი წაეკიდა და ერთიანად დაიწვა. მაშინ 3-4 წლის ვიყავი. მაგჩამ ის წინასაახანდლო უშმახელი ლამე მაინც შემოჩჩა მესხიეხებას: ყველაზე ბოლოს ხოგოხ გამოგვიყვანეს აღმოდებული შენობიდან (ჩვენი საცხოვრებელი ოთახი სცენასთან ახლოს იყო).

უბნაოდ დაჩჩენილები სასტუმრო "ჩინაში" დაგვამინავეს. აფხაზუხი თეატრის დასს ჰყავდა სუფიოჩი, ახანგაზხდა გოგონა, ზინა ბაგათელია, სოფელ აბაჩხუეიდან. ჩვენი სასტუმროს ერთოთახიან ბინაში (სადაც მშობლებთან ერთად ვცხოვრობდი) ისიც შევიფაჩეთ, შევიფიფიეთ, ოჯახის წევრად გავინადაეთ. სკოლაში ხომ დავინყე სიახელი, ზინა ჩამკილებდა ხელს და მიყვავდი. მთელი გზა ვეტიტინებოდი, ის ყი თავის სოფელზე, თავისიანებზე მიყვებოდა. მეხე მამამისმაც ჩამოგვაკითხა, სოფლის ნობათით დაგვიჩიუღდა. ჩამოსვლასაც მოუხმია.

ყიდევ ერთი ხამ მახსენდება სასიამოვნოდ. ახდადეგების დანყებამდე ჩემი დადე სკოლის ჭიშყაჩთან დამხვებოდა, ჯანფეკებოთა და საჩუქებით ხელში. მეხე ჩემს მშობლებთან შეივიღდა სასტუმროში, ხომ ეთხოვა მათოფის, ზაფხულის ახდადეგები აბაჩხუეში გამეჭაჩებინა.

მძიმე დრო იყო, ომი გიძეღებოდა. ჭყყანას უჭიღდა, ჩვენც, უსახანაჩოდ დაჩჩენილებს; მხოდისმოყვარე და სტუმარითმოყვარე აფხაზი ბაგათელიების დიდი ოჯახი იმ დროისთვის საკმაოდ შეძლებელი იყო და ახადუხს იმუხებდნენ ჩვენოფის (ზოგადდაც, ადამიანების ჰატივისცემა ახაჩებდათ). ერთადერთი ვაფი ომში ჰყავდათ დაჯაჩგული და მე მაშინ მათოფის აღბათ მაინც იმეღიფით და მონაჭებასავით აღმოვჩჩნდი.

განა ხომეღიმე მათგანი ნახმოიდგენდა (ან ჩემი ოჯახის ხომეღიმე წევრი), ხომ დღეს, ამდენი ხნის შემდეგ, ასეთი ტვირლითა და მონაჭებით მოვიგონებდი იმ მაჩოად, შეეღამაზებულ დღეებს; ხომ ჩემს საყვარელ აბაჩხუეში ჩასვლა ამეჭიდალებოდა; ხომ იმ ჩვენს გიძელ, ძველებუხ დაჩნაყს, მიგვად მაგიდაზე ხომ იღგა, ისევ ვუხ ვავვებდი უბოში დაჩუფიღი, ნანდუს მიუხ დაჩგული საყვარელი ნახიგებოთ...



## მეოთხე ჭიქა – „საეშმაკო“



ძალიან იშვიათია ქართული ლეგენდა, რომელიც ღვინოს, სუფრასა და, ზოგადად, ბახუსის ტრფიალებას არ უკავშირდებოდეს. ღვინოსთან დაკავშირებული ლეგენდები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია შემორჩენილი. მათ შორის - აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც კი, სადაც ღვინის დაყენების კულტურა თითქმის არასოდეს არსებულა.

### თიანეთელი გიორგი იორამაშვილის ნამბობი:

“ჩვენთან შემორჩენილია ერთი ძალიან ძველი ლეგენდა, რომელიც დღეს ახალგაზრდებიდან ცოტას თუ ახსოვს; უხსოვარ დროს, როდესაც ღმერთი დედამიწაზე ცხოვრობდა, გადანყვიტა, საიქიოდან გამოძევებული და შრომისაგან დაქანცული ადამიანების ცხოვრება უფრო საინტერესო გაეხადა. დაჯდა, იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადანყვიტა, შეექმნა ისეთი სასმელი, რომელიც კაცს მცირე ხნით, მაგრამ მაინც დააბრუნებდა სამოთხეში. თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, ღმერთმა ღვინო სამოთხის რამდენიმესაათიანი

ილუზიის შესაქმნელად დააყენა. შემდეგ კი ღვინის გასასინჯად ყველა ანგელოზი და ეშმაკიც კი მოიწვია.

ღვინო ყველას მოეწონა. მათ შორის, ეშმაკსაც. მაგრამ, ეშმაკი რისი ეშმაკი იქნებოდა, ღმერთს რომ არ გაჯიბრებოდა. მანაც ბევრი იფიქრა და რაკი სხვა ვერაფერი მოიფიქრა, ადგა და ღმერთის მიერ გაკეთებული ღვინის ნარჩენებით, ანუ ჭაჭით, სხვა, უფრო მათრობელა და ძლიერი სასმელი - არაყი გააკეთა. მერე ამ სასმელის გასასინჯად ღმერთი მოიწვია.

მოვიდა ღმერთი, დალია ერთი ჭიქა, მეორე, მესამე და მეოთხეც რომ გადაჰკრა, ეშმაკს უთხრა, ვინც არაყი დალიოს, სამ ჭიქამდე ჩემსკენ იყოს, სამი ჭიქის მერე კი შენთვის დამითმიაო.

**თიანეთში მოხუცები ახლაც, როცა არაყს სვამენ, მეოთხე ჭიქას „საეშმაკოს“ ეძახიან და ცდილობენ, რაც შეიძლება, მალე გადავიდნენ მეხუთე ჭიქაზე. ბევრმა არც კი იცის, რატომ ეძახიან მეოთხე ჭიქას „საეშმაკოს“. არადა, ეს გამოთქმა და, საერთოდ, ეს ტრადიცია სწორედ იმ ძველი ლეგენდიდან მოდის“.**

## ამირანი და მთა-ჭური

ამბობენ, რომ საქართველოს ისტორია თითქმის ღვინის ისტორიის დროინდელია და ამიტომაც ღვინის, პურადობისა თუ ქართული ნადიმების თემას ვერც ერთი მკვლევარი ვერ უვლის გვერდს.

### ისტორიკოს გიორგი მალხაზიშვილის ნამბობი:

“სხვადასხვა წყაროში გაფანტულ ღვინოსთან დაკავშირებული ბევრი ძველი ამბავი, უმეტეს შემთხვევაში, ლეგენდა უფროა, ვიდრე რეალობა. ერთი ლეგენდის თანახმად, კახეთის პირველ მეფეს, გიორგი მერვეს, სატახტო ქალაქიდან ახლოს მდებარე სოფლამდე გაუყვანია თიხის მილი, საიდანაც ნადიმების დროს ღვინო მოედინებოდა და მოქიფები პირდაპირ მილიდან ივსებდნენ თურმე ჭიქებს. ეს ყველაფერი მართლაც დაუჯერებელია, მაგრამ თუკი ჩვენი ქვეყნის ისტორიას გადავხედავთ, ღვინოსთან დაკავშირებულ ამაზე ბევრად საინტერესო ლეგენდებსაც ნავაწყდებით.

ყველამ კარგად იცის მითი კავკასიონზე მიჯაჭვულ ამირანზე. ამ ლეგენდას მთელს მსოფლიოში არაერთი ინტერპრეტაცია აქვს, მაგრამ მე სვანეთში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ვერსია მოვისმინე.

სვანეთში ერთი ძალიან პატარა მთაა, რომელიც მეტად უცნაური ფორმისაა და იმერულ მოგონებებში

მოჰგავს. სვანური ლეგენდის მიხედვით, როდესაც ზევსმა ამირანი (პრომეთე) დასაჯა, ბოლომდე მაინც არ გასწირა და სწორედ ამ კლდეზე მიაჯაჭვა. ეს მთა კი, მუდამუჟამს ღვინით სავსე, ყოფილა უზარმაზარი ჭური და ამირანი ასწლეულის მანძილზე ამ უზარმაზარი ქვევრიდან მწვეთავი ღვთიური სასმელის წვეთებით საზრდოობდა.

ამირანის შესახებ არსებულ, ხშირად ურთიერთგამომრიცხავ მითებს შორის, ეს მთა-ჭურის ლეგენდა ნამდვილად ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში ღვინის დაყენების ტრადიცია მართლაც უძველესია“.

**სადავო მხოლოდ ისაა, ღვინო უფრო ძველია თუ საქართველო!**







## ლადო გუდიაშვილი და მოდილიანი

სხვა მხატვრებთან ერთად ლადო გუდიაშვილიც მონმარტრზე მდებარე კაფე „როტონდას“ ხშირი სტუმარი იყო.

ის იქ მეტწილად ამაღეო მოდილიანთან ერთად შეივლიდა ხოლმე.

ერთ დღესაც კაფეში შემოსულა უმშვენიერესი პოლონელი გრაფინია, სამხედრო ფორმაში გამოწყობილ, რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად. ერთ მათგანს უკითხავს, აქ მყოფთაგან რომელ მხატვარს გვიჩვენებთო.

ბარმენს მოდილიანისკენ მიუთითებია. ოფიცერი ამაღეოსთან მისულა და გრაფინიას პორტრეტის დახატვა უთხოვია.

მოდილიანი უკვე ავად იყო, სასმელს ეძალებოდა და იმ დღესაც გვარიანად ნასვამი ყოფილა; თუმცა ეს მისი ჩვეული მდგომარეობა იყო და მაშინვე ხატვას შეუდგა. რამდენიმე საათში დასრულებული პორტრეტი შემკვეთს წარუდგინა.

ნახატი მისივე სტილში იყო შესრულებული, წაგრძელებული ყელით, თვალების ადგილზე კი ცის ფერით.

აღშფოთებულან არა მარტო ოფიცრები, თავად გრაფინიასაც დაუნუნებია ნახატი; ეს მე არ ვარო, უკმეხად განუცხადებია.

მხატვარს ფული არ გადაუხადეს და არც ნახატი წაიღეს. მოდილიანს ჩალიმებია, ლადოსკენ მიტრიალებულა და უთქვამს:

– ჩემო ლადო, ამ ნახატის ფასი მხოლოდ შენ იცი, მინდა, ჩემგან სამახსოვროდ გქონდეს...

ასე მოხვდა ლადო გუდიაშვილის კოლექციაში ამ დიდი მხატვრის ნამუშევარი.

„ხშირად ჩვენს თვალწინ იქმნებოდა მისი სასწაულებრივი სურათები; მაშინ იგი ცნობილი არ იყო.. მოდილიანი ადამიანის სულის მხატვარი იყო“, – წერდა ლადო გუდიაშვილი.



მოდილიანის საჩუქარი გუდიაშვილს

## აკვანი - საიუბილეო

1960 წელს მაშინ დამწყები რადიოჟურნალისტები – ლამარა კიკილაშვილი და თინა კობლაძე ესტუმრნენ აკაკი წერეთლის მშობლიურ იმერეთს, სოფელ სხვიტორს. დიდი პოეტის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა უნდა მოემზადებინათ. ფირზე ჩანერეს ზემოიმერელი, უკვე საკმაოდ ხანდაზმული გლეხების მოგონებანი, ის, რასაც რამდენიმე წლის მერე უკვე ვერავისგან მოისმენდნენ:\*

**მიხაკო კირვალძე, აკაკი წერეთლის კარის მეზობელი:** „დიდებული შესახედავი იყო; უკეთესს რას დაინახავდა კაცის თვალი. მის ჩამოსვლას გუბერნატორს აცნობებდნენ; გუბერნატორი პრისტავს ატყობინებდა და ის გზების შეკეთებას შეუდგებოდა. სადგურზე ილიკო აბულაძის ფაეტონში ჩაჯდებოდა და სხიტორში ამით ამოვიდოდა... როცა იგრძნო აკაკიმ, უკვე აღარ მოვრჩებიო, უთქვამს, თქვენ დაძალდით, რომ აქედან აღარ წამიღონო; უნდოდა, აქ დამარხულიყო; ჩემი სახლი სკოლა იყოს, რომ ბავშვებმა ჩემს გულზე იტრიალონ“.

**გიგა ჯაფარიძე, სოფელ სავანიდან:** „1908 წელს, 6 დეკემბერს აკაკის იუბილე იყო; აკაკი ჩვენს სოფელში, სავანეში იყო გაზრდილი. ჩვენ, სავანელებმა მოვილაპარაკეთ, პოეტის იუბილეზე წავსულიყავით და წაგველო მისთვის მისი გამზრდელის

აკვანი. დავინწყეთ აკვნის ძებნა. ის აღმოჩნდა გიორგი გაბაძის ოჯახში, რომელიც ჩასიძებული იყო სოფელ სავანეში (მის ცოლს სოფიო ერქვა). აკვანი ოჯახმა გადმოგვცა უსასყიდლოდ. გავაკეთებინეთ ვერცხლის ფირფიტა და ასეთი წარწერით მივაკარით აკვანზე:

„შენი ვარსკვლავი სხვა არის, ბედმა გიცინაო!  
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანიანაო!“

აკვანი ზენარში გავახვიეთ და ისე წავიღეთ თბილისში. ამ საქმეს მარიამ აბაშიძე და კოლა სადუნიშვილი, ძიძიშვილის შთამომავალი, ხელმძღვანელობდნენ“.



აკაკი წერეთლის აკვანი

\* – ლამარა კიკილაშვილის წიგნიდან – „სახსოვარი“.



ნიკოლაი კონსტანტინიდი

ნიკოლაი კონსტანტინიდი წახმოშობით ბეჩქენია და ეხოვნებით ჯი სოხუმელი. ჩვენ ხომ ყველანი ერთი ეხოვნებისანი ვართ - სოხუმელები. თუ სოხუმში დაიბადე და გაიზარდე, ეს იმას ნიშნავს, რომ ის სამუდამოდ შენთანაა, შენშია, შენთვისაა.

ავბედითი ვითარების გამო სოხუმელებს ნუგეშად სიყვარული და მონატრება დაგვიჩვენია. ხშირად ჯი ჩვენი ნუგეში ნიგნებშია, სოხუმის დაცემის შემდეგ რომ დავწეხეთ: ზოგმა საკუთარი მინაზე ევნილობაში, ზოგმაც საზღვარგარეთ.

ნიკოლაი კონსტანტინიდი საბეჩქენეთში ცხოვრობს, იქვე გამოსცა თავისი მოგონებების წიგნი "სოხუმ-ქადაქის ქვეყანა" ("Страна сухумия" 2007 წ.).

სუბიექტურად მივიჩნევთ, რომ თანამედროვე მოგონებებში მხოლოდ ერთ პიროვნებას - მიხეილ ბლაჟუბას ხოლი ვეცნობით, ახამედ იმდროინდელი აფხაზეთის პოლიტიკური ვითარებას, ჩინოვნიკებს, ცნობილ ადამიანებს.

მოდი, ბეჩქი ჩამ ერთად გავისხენოთ.

## 'ოცეჭეჭე' პერიოდი\* და მიხეილ ბლაჟუბა

ნიკოლაი კონსტანტინიდი  
თარგმნა სერგო წურწუშიაძე

1958-1965 წლებში პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანად მუშაობდა მიხეილ თემურის ძე ბლაჟუბა. ეს იყო იშვიათი და გამორჩეულად კოლორიტული პიროვნება, მეტად ღირსეული ადამიანი.

მიხეილ ბლაჟუბა აფხაზეთის სრულყოფილი „ოტტეპელის“ პერიოდში მართავდა და ამან შესაბამისი დალი დაასვა მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. სწორედ მიხეილ ბლაჟუბას მიერ აფხაზეთის მართვის დროს ხალხმა თითქოს შვებით ამოისუნთქა და თავისუფლების გემოც შეიგრძნო. ამ პერიოდშივე, მიუხედავად მკაცრი კომუნისტური რეჟიმისა, დაიწყო აფხაზ პატრიოტ-სეპარატისტთა გამოსვლები, როგორც ისინი მაშინ მიიჩნევდნენ, ქართული ტირანიის წინააღმდეგ.

მიხეილ ბლაჟუბას კარგად ესმოდა, რომ ამას, შესაძლოა, მეტად მძიმე შედეგები მოჰყოლოდა და ყველანაირად ცდილობდა, დროდადრო ფეთქებადი კონფლიქტის ბასრი წახნაგები როგორმე „მოებლაგვებინა“. ამისთვის ის სხვადასხვა დიპლომატიურ საშუალებას იყენებდა. „მოლტისა და თაფლაკვერის“ მეთოდით მანევრირებდა კიდევ ოსტატურად. შეეძლო დათმობა მაშინ, როცა ამის საჭიროებას ხედავდა და ყოფილიყო ხისტი, როცა ეს აუცილებელი იყო.

## ვინდა, თავი დააღწიო სიმინდის გეგმას – სრულყოფილი გაამხიარული

ნიკიტა ხრუშჩოვს (სსრკ-ის კომპარტიის პირველი მდივანი) უყვარდა ბიჭვინთაში დასვენება. იქ, უნიკალური ფიჭვის ხეივანში, მას საუცხოო აგარაკი ჰქონდა.

ერთხელაც, მაღალი რანგის სტუმრების თანხლებით ხრუშჩოვი ესტუმრა ამ აგარაკს და უმაღვე მოიხმო მიხეილ ბლაჟუბა.

მეორე დღესვე თბილისიდან ჩაფრინდა საქართველოს ცუკას მაშინდელი პირველი მდივანი – ვასილ მჟავანაძეც.



მარცხნიდან: ნიკიტა ხრუშჩოვი, გენადი ვორონოვი, მიხეილ ბლაჟუბა. სოხუმი

აშშ-დან ახლადჩამოსული ხრუშჩოვი აღფრთოვანებული იყო იმით, თუ როგორ მოჰყავდათ იქ სიმინდი; და, როგორც კი საბჭოთა კავშირში დაბრუნდა, გასცა განკარგულება, გააქტიურებულიყო თითოეული რესპუბლიკა და ფართოდ გაეშალათ ამ კულტურის მოყვანა. ბუნებრივია, დავალემა საქართველომაც მიიღო.

ვასილ მჟავანაძემ, რაკი იცოდა, როგორი კეთილი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა ბლაჟუბას ხრუშჩოვთან, სიტყვა გადაუტრა მას, ეთხოვა ნიკიტა სერგეევჩისთვის, საქართველოსთვის მოეხსნა სიმინდის გეგმა.

სალამოს, ვაზშობისას, მაგიდასთან სხედან ნიკიტა ხრუშჩოვი, ანატას მიქოიანი (სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე), გენადი ვორონოვი (რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე), ვასილ მჟავანაძე და სხვა მაღალი თანამდებობის პირები. თამადად აირჩიეს მიხეილ თემუროვიჩი; ის ხომ ყოველთვის შესანიშნავად

\* – სტალინის შემდგომი, ე.წ. დათბობის პერიოდი (Оттепель – გაზაფხულზე დათბობა).



უძღვებოდა სუფრას; ფლობდა ამბის ნიჭიერად გადმოცემის საოცარ უნარს. ისეთი უცნაური ისტორიების გამოგონება შეეძლო, რომ მის გვერდით მყოფნი არათუ დიდი ინტერესით, გაოგნებულებიც კი უგდებდნენ ყურს ტკბილსასმენ მიეთ-მოეთებს.

სტუმრებმა სასმელი საკმაოდ მიირთვეს და განწყობაც აიმაღლეს. თემუროვიჩმა ასნია აფხაზეთის სადღეგრძელო.

– რა არ არის აქ, – დაიწყო მან, – მცხუნვარე მზე, ლაჟვარდოვანი ზღვა, ჩქარი მდინარეები, მწვანე მინდვრები, ულრანი, თვალუნვდენელი ტყეები... რა ნადირიც გინდა, ჩვენს ტყეებში რომ არ იყოს!

და იმით გააგრძელა თხრობა, როგორ ნავიდა ერთხელ დათვზე სანადიროდ. სტუმრები ყურადღებით უსმენდნენ.

– ვზივარ საფარში, სადაც კარგა ხანს ვყოფნდები, – ჰყვება ბლაჟბა, – უეცრად ჩამესმის გამხმარი ფიჩხის მტვრევის ხმები. ცოტა ხანში ჩნდება უზარმაზარი დათვი, რომელიც პირდაპირ ჩემსკენ მოემართება; ვუმიზნებ ვინჩესტერს და ვისვრი ნადირის მიმართულებით; ის მაინც მოდის; ვისვრი მეორეჯერაც – დათვი ისევ მოაბიჯებს, თითქმის მიახლოვდება!.. ნამშივე შემოტრიალებულ თოფს ლულაში ვეჭიდები და, რაც ძალი და ღონე მაქვს, დათვს თავში ვურტყამ; ისე, რომ თოფი იფშვნება; ის წყეული კი ისევ მოდის და მოდის! მოულოდნელად დათვი უკანა თათებზე დგება, აბჩენს ხახას და ცდილობს, მომწვდეს. ამჯერადაც არ ვიბნევი, ვიკრებ ძალ-ღონეს და ნადირს თოფის ლულას პირდაპირ ხახაში ვთხრი და კისერსაც ვუგრებს!..

ნიკიტა სერგეევიჩმა, ბოლომდე მოთმინებით რომ

უსმენდა მიხეილ თემუროვიჩს, მისი უკანასკნელი სიტყვების ნარმოთქმისთანავე ნამოიძახა:

– კარგი რა, მიშა, უკვე ნამეტანი აურიე!

დამსწრეები ახარხარდნენ. ნიკიტა სერგეევიჩი მიუბრუნდა ბლაჟბას:

– იმის გამო, რომ დღეს ყველანი ასე ძალიან გაგვამხიარულე, მითხარი, რა ნატვრა გაქვს და აგისრულე!

ბლაჟბამ გაიხსენა მჟავანაძის თხოვნა და მიუგო:

– ნიკიტა სერგეევიჩ, შესანიშნავად უწყით, რომ საქართველოსა და აფხაზეთში ნაკლებადაა თავისუფალი სავარგულები. თითქმის ერთსა და იმავე ფართობზე მოგვეყავს ჩაიც, თამბაქოც, ყურძენიც, სხვა კულტურებიც. ამიტომაც, ძალზე გაგვიჭირდება, დავძლიოთ სიმინდის მოყვანის გეგმა. იქნებ, მოგეხსნათ ეს ვალდებულება ჩვენი რესპუბლიკისთვის?!

ხრუშჩოვს გაელიმა და შებრუნდა ვორონოვისკენ:

– გენადი ივანოვიჩ, რუსეთი დიდია, იქნებ, სიმინდის მოყვანის საქართველოს გეგმა შენს თავზე აიღო?!

ვორონოვმა თანხმობის ნიშნად ღიმილით დაუქნია თავი.

ასე იხსნა ბლაჟბას გამჭრიახობამ საქართველო ხრუშჩოვისეული სიმინდის ვალდებულებისაგან.



ვასილ მჟავანაძე (წინა პლანზე), ნიკიტა ხრუშჩოვი (უკან)

### განზილებული რუსი ჩინოვნიკი

სკკპ ცეკას პასუხისმგებელ ორგანიზატორად ამიერკავკასიის რესპუბლიკების მასშტაბით, ძველის ნაცვლად, დაინიშნა ახალი მუშაკი, გვარად ვასილევი.

შემოსული წერილებით გაეცნო რა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში შექმნილ ვითარებას, ვასილევმა აღმოაჩინა, რომ საჩივრების მეტი წილი იყო აფხაზეთიდან; კერძოდ, ოჩამჩირის რაიონიდან (ბლაჟბაც წარმოშობით აქედან იყო).

ვასილევმა გადაწყვიტა, გამომგზავრებულიყო აფხაზეთში და ადგილზევე გაერკვია საქმის ვითარება.

მაგრამ ზღვისპირეთამდე ჩაფრინდა თბილისში და საქართველოს კპ-ს ცეკა-ს ხელმძღვანელობას აუწყა თავისი განზრახვის შესახებ, იმაზე, რომ უნდა ჩასულიყო აფხაზეთში (უბრალოდ, ასეთი ფორმალობა იყო).

საქართველოს ცეკა-ში მომუშავე მეგობრებმა უმაღლეს აცნობეს ბლაჟბას, რომ ვასილევი აფხაზეთში ჩასვლასა და იქაურობის დანიოკებას აპირებდა. მეორე დღით მოსკოველ საპატიო სტუმარს დახვდნენ სოხუმის აეროპორტში და მიაბრძანეს პარტიის საოლქო კომიტეტში.

ვასილევს ბლაჟბას კაბინეტში ელოდნენ საოლქო კომიტეტის მდივნები და ბიუროს წევრები. მიესალმა თუ არა თემუროვიჩს, რუსი ჩინოვნიკი მოჰყვა ხელმძღვანელობის გაკიცხვას: რომ აფხაზეთში უმსგავსოაა, რაც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სრული გულგრილობის შედეგიაო; მაგალითისთვის დაასახელა ოჩამჩირის რაიონის ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელიც, მისი სიტყვებით, უღირსად ექცეოდა თანასოფლელებს და, ამასთან, მეურნეობის მართვის გაუგონარ, მახინჯ მეთოდებს იყენებდა.

მიხეილ ბლაჟბამ ყურადღებით მოუსმინა მალაჩინოსან სტუმარს და როცა მან საუბარი დაასრულა, მშვიდად განუმარტა:



– პატივცემულო ამხანაგო ვასილევ, რაც მოგვასხენეთ, სრული სიმართლეა. თქვენს მიერ დასახელებული კოლმეურნეობის თავმჯდომარე (სხვათა შორის, ის ბლაჟბას ნათესავადაც ერგებოდა) ნამდვილად ოდიოზური პიროვნებაა და ამის შესახებ ჩვენც ვართ ინფორმირებულნი; მაგრამ გასულ წელს ამ კოლმეურნეობას ესტუმრა ნიკიტა სერგეევინი და, იცით, რა აღნიშნა: რომ არაერთ მეურნეობაში ვყოფილვარ, ბევრ ხელმძღვანელს შევხვედრივარ, მაგრამ ასეთი გამორჩეული პირველად ვნახე და მისგან მაგალითს უნდა იღებდეთო. ნიკიტა სერგეევინის ასეთი დახასიათების გამო ჩვენც, ასე ვთქვათ, ხელფეხშეშორკილებს, ზემოქმედების ბერკეტი არ გაგვანჩნია. თავადაც ხომ მოგვასხენებათ, საკითხი მეტად დელიკატური და საჭოჭმანოა!..

ბლაჟბას რეზიუმე არგუმენტირებული იყო. ვასილევი ძალიან მალე მოლბა, ხმის ტემბრსაც დაუნია, ბოლოს კი საერთოდ დადუმდა. მიხეილ ბლაჟბა კარგი ფსიქოლოგი და პოლიტიკოსი იყო. მშვენივრად უნყოდა, რომ ვასილევი საპასუხისმგებლო თანამდებობას კი იკავებდა ცეკა-ში, მაგრამ ისიც განსაზღვრა, რომ სახელმწიფოს მეთაურთან პირადი კონტაქტის საშუალება მას არანაირად არ ექნებოდა.

ამიტომაც წავიდა ბლაჟბა აშკარა ავანტიურაზე, როცა ხრუშჩოვის მიერ კოლმეურნეობის მონახულების შესახებ ლეგენდა სახელდახელოდ შეთხზა. როგორც კი შეატყო, ვასილევი ნოკდაუნშიაო, ბლაჟბამ საკუთარ უნაგირზე იგრძნო თავი და ისეთი აბლაუბდებიც მოაყოლა, რუს სტუმარს თმები ყალყზე დაუდგა. ბლაჟბამ ბოლომდე დაიცვა თავისი პოზიცია. მაგრამ, როცა მიხვდა, მაღალი რანგის პარტმუშაკი უკვე მსუბუქ ნოკაუტშიც ჩააგდო, საოლქო კომიტეტის მეორე მდივანს, დამიანე გოგობიას მიუბრუნდა:

– დამიანე ვლადიმერის ძეგ, მიხედეთ, გეთაყვა, ამხანაგ ვასილევს, მე კი ანასტას ივანოვიჩ მიქოიანს უნდა ვუმასპინძლო, ახლახან დამირეკა და მთხოვა, პირადად მე შევხვედე.

ბლაჟბა წამოდგა, დაემშვიდობა ვასილევს და დატოვა კაბინეტი. ვასილევი იჯდა და დუმდა. ეს უკვე ღრმა ნოკაუტი იყო.



ანასტას მიქოიანი (მარცხნივ) და ნიკიტა ხრუშჩოვი. ბიჭვინთა

მეორე დღეს ვასილევი მოსკოვში მიფრინავდა. რუს სტუმარს საოლქო კომიტეტის ბიუროს ორიოდე წევრი მიაცილებდა. მათთან დამშვიდობებისას ვასილევს უთქვამს:

– არაერთი რესპუბლიკისა თუ ოლქის ხელმძღვანელს შევხვედრივარ, მაგრამ ისეთს, როგორც მიხეილ თემუროვიჩია, პირველად გადავანყედი!.. მეტად ის აფხაზეთში აღარ გამოჩენილა...

### აფხაზური მოთმინება

1992 წლის გაზაფხულია. ვითარება აფხაზეთში უკიდურესად დაძაბულია. მნიფდება აფხაზურ-ქართული შეიარაღებული კონფლიქტი. მიხეილ თემუროვიჩი და მე ვსხედვართ რესტორან „ამრაში“, ვსადილობთ.

იგი, დიდი ხანია, უკვე პენსიაზეა. ზრდის შვილიშვილებს, წერს მემუარებს. ვეკითხები: – მიხეილ თემუროვიჩ, როგორ ფიქრობთ,

შესაძლებელია შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილება? იგი შენუხებული მპასუხობს: – დაპირისპირებამ ძალზე შორს შეტოვა. ურთიერთდაძაბულობა იმდენად გაღრმავდა, რომ, ვფიქრობ, გართულდება საომარი მოქმედებების არიდება. ისევ ვეკითხები: – როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი? – ამ ისტორიას შორეული და ღრმა ფესვები აქვს, – მპასუხობს მიხეილ თემუროვიჩი, – საბჭოთა სახელმწიფოს არასწორმა ეროვნულმა პოლიტიკამ მიგვიყვანა ამ დაპირისპირებამდე; მაგრამ პოლიტიკოსთა სიბრძნემ, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, უნდა აგვარიდოს დაძაბულობის ესკალაცია. ყველამ ყველაფერი უნდა ვილონოთ ჩვენი ხალხების დასამშვიდებლად; თუმცა, ვეჭვობ, ამ სიბრძნეს ფლობდნენ დღევანდელი პოლიტიკოსები. ჩემს დროსაც იძაბებოდა ვითარება, მაგრამ როგორღაც ვახერხებდით სიტუაციის განეიტრალებას აფხაზეტსა და ქართველებს შორის. ისიც მართალია, რომ მაშინ სხვა დრო იყო, დერჟავა ძლიერი იყო. მოქმედებდა მკაცრი კანონები და ამასაც ჰქონდა მნიშვნელობა.

უეცრად საუბრის თემას ცვლის: – გინდა, 30 წლის წინანდელი ამბავი მოგიყვე? რასაკვირველია, ვეთანხმები. მიხეილ თემუროვიჩი იწყებს მოყოლას: – რინის ტბაზე ნიკიტა ხრუშჩოვს ვმასპინძლობთ. განწყობა ყველას ამაღლებული გვაქვს, არავითარი დაძაბულობა. დამსწრეთაგან ვიღაცა სასაცილო ისტორიას ჰყვება, სხვა კიდევ სამსახურეობრივ ბატალიებს იხსენებს. ნიკიტა სერგეევინი ყველაფერს ისმენს, შემდეგ კი ამბობს:



– აბა, რას მოგვიყვება პატივცემული მიშა, მე ძალიან მიყვარს მისი არაკების მოსმენა!

მე წამოვიმართე, ავნიე ბოკალი და ასეთი რამ წარმოვთქვი:

– პატივცემულო ნიკიტა სერგევიჩი, მე გთავაზობთ აფხაზური მოთმინების სადღეგრძელოს!

ხრუშჩოვი მეკითხება, თუ რას გულისხმობდა ეს სადღეგრძელო. ვპასუხობ, რომ ახლახან დავასრულე მოთხრობების წიგნი, სახელწოდებით „გუფელი მწერალი“. სწორედ იქ არის ერთი ნაწარმოები ამ სახელწოდებით „აფხაზური მოთმინება“:

– მასში მოთხრობილია, როგორ ბრუნდებოდა სისხამ დილით ქორწილიდან თავის სოფელში ორი მეგობარი. ცხენებზე ამხედრებულნი მიუყვებოდნენ ისინი აბობოქრებული დალიძგას ნაპირს. ერთი ეუბნება მეორეს, ხედავ მდინარის გაღმა მდგარ სახლს? იმ სახლში ცხოვრობს ჩემი ბიძაშვილი; ჩვენი აფხაზური წესის მიხედვით კი, არ ეგების, ისე ჩავუაროთ ახლო ნათესავების სახლს, რომ შიგ წუთით მაინც არ შევიხედოთო. მასპინძელი ძვირფასი სტუმრების დანახვამ ძლიერ გაახარა და თქვა, ისეთი პატივსაცემი სტუმრებისთვის, როგორც თქვენა ხართ, ჩვენი აფხაზური ადათის მიხედვით, უნდა დავკლა მოზვერი, რომელიც სარდაფში მყავს დამწყვედიულიო. ნათესავი ეუბნება მასპინძელს, შენ შენს საქმეებს მიხედე, ხარს კი ჩვენ მოვუვლითო. ჩავიდნენ სარდაფში. იქ ბნელოდა, მაგრამ მეგობრებმა სხვა ცხოველებისაგან მაინც გამოარჩიეს ოთხფეხა მამრი. ერთი ეუბნება მეორეს, შენ რქებში ჩასჭიდე ხელი, მე კიდევ უროს დავკრავ, რომ ჯერ დავარეტიანოთ, შემდეგ კი დავკლათო. მართლაც, ერთმა რქებში ძლიერად ჩასჭიდა, მეორემ კი იატაკიდან აღებული ხის ურო თავში ჩასცხო ხარს. თუმცა მეორე ჩარტყმის მერეც მოზვერი ისევ ისე იდგა ფეხზე. როცა ისევ ასწია ურო მოსაქნევად, იმან, რომელსაც ოთხფეხა რქებით ეჭირა, უთხრა, თუ შესამედაც მე ჩამარტყამ თავში, იცოდე, ხარს ხელებს შევუშვებო.

აი, რას ნიშნავს აფხაზური მოთმინება, ვუთხარი ხრუშჩოვს.

ნიკიტა სერგევიჩმა გულიანად იცინა. იგი ჩასწვდა ჩემი ალეგორიული მოთხრობის აზრს და მითხრა:

– ძვირფასო მიშა, ხომ იცი, რომ 1954 წელს მე ყირიმი უკრაინას გადავეცი. ისიც არაფრად მიღირს, აფხაზეთი რუსეთს მივუერთო. თუ შენ ეს გინდა, შემიძლია, ნამში გადავწყვიტო ეს საკითხი.

ხრუშჩოვს საპასუხოდ მივუგე, რომ აფხაზებსა და ქართველებს დიდი ხნის ისტორიული ფესვები აკავშირებთ და რომ ეს ქმედება ნიშნავს ცოცხალ სხეულზე დანის დასმას, რაც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ორივე ხალხს.

– ჩვენ როგორმე თავად გავარკვევთ ჩვენს შინაურ პრობლემებს! – დავასრულე პასუხი.

გვერდით მჯდომმა ვასილ მყავანაძემ, ჩემი ნათქვამით კმაყოფილმა, განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნიშნად, ხელი მაგრად მომიჭირა.

ნიკიტა სერგევიჩმა ხელი ჩაიქნია და თქვა:

– როგორც გენებოთ, მე კი მზად ვარ!

ასე დაასრულა გარდასული ამბავი მიხეილ თემუროვიჩმა. ბოლოს მითხრა:

– ახლა სულ სხვა დროებაა. მიმდინარეობს კავშირის დაშლა. აქტიურობენ ცენტრისტული ძალები. ამ ვითარებაში ყველაფერი დამოკიდებულია იმათ გონიერებასა და სიბრძნეზე, ვისაც აკისრია პასუხისმგებლობა რესპუბლიკაში მშვიდობის შესანარჩუნებლად. თუკი ქართველი და აფხაზი პოლიტიკოსები შესძლებენ, არსებულ წინააღმდეგობათა დასაძლევად გამოიხარონ სწორი გზა, მშვიდობა აფხაზეთში შენარჩუნებული იქნება. თუმცა, ამაში დარწმუნებული არა ვარ...

აფხაზეთში მშვიდობის შენარჩუნება შეუძლებელი აღმოჩნდა. მიხეილ თემუროვიჩ ბლაჟუბა ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებიდან, სულ მალე, გულის შეტევით გარდაიცვალა.



რესტორანი „ამრა“. სოხუმი



1. როცა უფალმა მძიმე სენისაგან განკურნა 10 კეთროვანი და ათივე განიწმინდა, მადლობის სათქმელად რამდენი მივიდა მაცხოვართან?

- ა) ერთი;
- ბ) სამი;
- გ) ათივე.

2. რომელი ქართველი მეფის დროს აიგო საქართველოში ვარძია, ფიტარეთი, ქვათახევი, ბეთანია?

- ა) დავით აღმაშენებლის;
- ბ) მეფე თამარის;
- გ) გიორგი ბრწყინვალის.

3. დაასახელეთ პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი:

- ა) „ნობათი“;
- ბ) ჯეჯილი“;
- გ) „დილა“.

4. სახელი „თეკლე“ ებრაულად ნიშნავს სრულყოფილს; როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს ის არაბულად?

- ა) კეთილს;
- ბ) ლამაზს;
- გ) იმედინს.

5. დასახელებული პლანეტებიდან უკვე 2006 წლიდან რომელი არ მიიჩნევა მზის სისტემის პლანეტად?

- ა) პლუტონი;
- ბ) სატურნი;
- გ) ნეპტუნი.



6. გოგლა ლეონიძე იხსენებს, ფიროსმანს ჩალი ფერები უყვარდაო. რას ნიშნავს „ჩალი“?

- ა) ნათელს;
- ბ) სევდიანს;
- გ) მკვეთრს.

7. ლეგენდის მიხედვით, ძველი ეგვიპტის ყველაზე განთქმული დედოფალი კლეოპატრა რით გარდაიცვალა?

- ა) მოკლეს;
- ბ) შეეყარა მძიმე სენი;
- გ) თვითმკვლელობით.

8. რომელი ცნობილი მხატვრის ცნობილი ტილოა „ავტოპორტრეტი“, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში?

- ა) დავით კაკაბაძის;
- ბ) ლადო გუდიაშვილის;
- გ) მოსე თოიძის.





# რონალდ უილსონ რეიგანი 1911-2004 წ.წ.

## მამის წინასწარმეწყველება



რონალდ რეიგანი

რონალდ უილსონ რეიგანი 1911 წლის 6 თებერვალს ქალაქ ტამპიკოში, ილინოისის შტატში დაიბადა. ოჯახური ლეგენდის მიხედვით, ახალშობილი ვაჟის სანახავად მოსულ მამას ასე უხუმრია:

– პატარა, მსუქან ჰოლანდიელს ჰგავს, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ, ოდესმე პრეზიდენტი გახდეს!

ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ წლების შემდეგ მამის ეს სიტყვები გამართლდებოდა...

დედას – ნელი უილსონ რეიგანს სურდა, ვაჟისთვის სახელად დონალდი დაერქმია, მაგრამ გადაიფიქრა და, საბოლოოდ, რონალდი დაარქვა. თვით რონალდს მიაჩნდა, რომ ეს სახელი არც ისე ვაჟკაცურად ჟღერდა და იმ ხალხს, ვის გარემოცვაშიც ცხოვრობდა, თხოვდა, მისთვის „ჰოლანდიელი“ დაეძახათ. ყველაზე ხშირად ამ სახელით მას მამა მიმართავდა.

ნელი რეიგანი ძალიან რელიგიური იყო, შვილების სულიერ აღზრდაზე ბავშვობიდან ზრუნავდა. ისინი საკვირაო სკოლაში დაჰყავდა და ლოცვა შეაყვარა.

მომავალ მეუღლეს ერთ პატარა ფერმერულ ქალაქში შეხვდა და გულში ჩაუვარდა. 1904 წელს წყვილი დაქორწინდა. ორი ვაჟიშვილი შეეძინათ – ნილი და რონალდი. რეიგანებს ძალიან მეგობრული ოჯახი ჰქონდათ. იზრდებოდნენ ბიჭები და სჯეროდათ, რომ სიყვარული და სალი აზრი ყველაზე ძლიერი შემაკავშირებელი ძალაა.



7 წლის რონალდი

მამას, ჯონ ედვარდ რეიგანს, ყველა ჯეკს ეძახდა. ირლანდიულ-კათოლიკური წარმოშობის მამაკაცი, რომელსაც, მეუღლის მსგავსად, რიგანი განათლებაც არ მიუღია, ბევრი ღირსებით იყო დაჯილდოებული. ლალად მოსაუბრე იყო, სჯეროდა, რომ თითოეულ ადამიანს თავისი უფლებები აქვს და საკუთარ წრეში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. საკმაოდ ენერგიული კაცი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მის ოჯახს უკეთესად ეცხოვრა.

თუმცა ბუნებით ცინიკოსი იყო, ცოტა ეჭვიანიც, დედა კი, პირიქით, უკიდევანო ოპტიმიზმით სავსე. მუდამ სურდა, ყველგან და ყველაფერში სიკეთე აღმოეჩინა და უფრო ხშირად მიზანს აღწევდა კიდევ. ხანდახან ურთიერთობდა ციხის პატიმრებთანაც (მათთან ცხელი კერძებიც კი მიჰქონდა).

## უნდა გჯეროდეს და აუცილებლად ავიხდება

რონალდმა მშობლებისგან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რამ შეითვისა: მამისგან შრომის ფასი და პატივმოყვარეობა, აგრეთვე, ამბის გადმოცემის ხელოვნებაც. დედამ კი ლოცვა და ოცნება ასწავლა და დაარწმუნა ერთ რამეში: როცა ოცნებობ, უნდა გჯეროდეს

– აუცილებლად ავიხდება. ბუნებით პრაგმატიკოსი მამა უფრო იმის ცდაში იყო, ცხოვრებისგან რაიმე გამოეჩინოდა, დედა კი მთელ დროს შვილების აღზრდას უთმობდა. ოჯახის უფროსი ალკოჰოლზეც იყო დამოკიდებული – თავისი უიღბლო ცხოვრებით გამოწვეულ დარდს სასმელით იკლავდა. უბედურება ის იყო, რომ ხშირად იყო ნასვამი. შეიძლება, დიდხანს წვეთი არ დაელია, თუმცა ოჯახი მუდმივად შიშში ცხოვრობდა: ერთი ყლუპიც საკმარისი იყო, რომ ყველაფერი თავიდან დაწყებულიყო.

ორი წლის იყო რონალდი, როცა ოჯახი საცხოვრებლად



რონალდი და ნილი (და) მშობლებთან ერთად

**რონალდი –  
დიქსონის სკოლის მოსწავლე**

ჩიკაგოში, ნაქირავე ბინაში დასახლდა. ჯექს საკმარისად არ უნაზღაურებდნენ შრომას (როგორც ჩამოსვლამდე იმედოვნებდა); ოჯახს მატერიალურად გაუჭირდა: მთელი კვირა ძვლის ნახარშს ან შვრიის ფქვილში არეულ, დაკეპილ ხორცს შეექცეოდნენ... ფუფუნებისათვის ფული არასოდეს ყოფნიდათ; რონალდი ძმის გამონაცვალ ტანსაცმელში იზრდებოდა, თუმცა ამ ამბავს დიდად არ განიცდიდა.

ოჯახის მამას ხელფასი არასოდეს ჰყოფნიდა, დედა კი, რომელსაც კერვა ეხერხებოდა, ხანდახან შეკვეთებს იღებდა; ბუნებით კეთილშობილი ქალბატონი იმდენსაც ახერხებდა, რომ მათზე გაჭირვებულ ხალხსაც ხელს უმართავდა.

ოჯახი ბევრს მოგზაურობდა. რადგან ჯექ რეიგანი უკეთესი სამსახურის ძიებაში საცხოვრებელ ადგილს ხშირად იცვლიდა, ლამის, ყოველ წელს რონალდს ახალ სკოლაში უწევდა სწავლა. ჩიკაგოში ორი წელიც არ ყოფილან; ჯექ რეიგანს გელსბერგში უკეთესი სამსახური შესთავაზეს; აქ ისინი პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე ცხოვრობდნენ. ერთი წლის

შემდეგ კი აიბარგნენ და დიქსონში გადასახლდნენ.

მშობლები შვილებს სულ იმას ჩასჩინებდნენ, რომ ყველა ადამიანი პიროვნებაა. მათ ოჯახში უდიდეს ცოდვად ითვლებოდა რასობრივი დისკრიმინაცია, ან სხვა რელიგიის უპატივცემულობა. რონალდსაც არაერთი უსიამოვნება შეხვედრია მხოლოდ იმის გამო, რომ ირლანდიელი კათოლიკეების ოჯახიდან იყო და ეს უკმაყოფილება ხშირად მუშტი-კრივით მთავრდებოდა.

რეიგანები დიქსონში ცოტა გარიყულადაც გრძნობდნენ თავს.

### ჭირველა სიყვარული

1924 წელს რონალდი დიქსონის საშუალო სკოლაში შევიდა. ბიჭს დიქსონი ნამდვილ სამოთხედ მიაჩნდა. აქ თითქმის ყველა ერთმანეთზე ზრუნავდა და გასაჭირში ერთმანეთს მხარში ედგა.

პატარა რონალდი ხედავდა, რომ მუყაითი შრომა ცხოვრების ძირითადი არსია, მარტივად არაფერი მოდის, ხოლო ამერიკა ის ქვეყანაა, რომელიც უსაზღვრო შესაძლებლობებს სთავაზობს ყველას, ვისაც შრომა უნდა და უყვარს.

დიქსონში რონალდს ბევრი ამხანაგი ჰყავდა, მაგრამ ხშირად სიმარტოვეში უკეთ გრძნობდა თავს. ბევრს კითხულობდა, ადგილობრივ ველურ ბუნებას სწავლობდა, ხატვაც უყვარდა, ქმნიდა კარიკატურებს და ფიქრობდა, მხატვარი გამოსულიყო.

დამამთავრებელ კლასებში სწავლისას რეიგანის მისტიკური, მომნუსხველი ოცნების საგანი გახდა იურიკის ჰუმანიტარული კოლეჯი, რომელიც დიქსონიდან 110 მილის დაშორებით მდებარეობდა.

**რონალდი –  
ფეხბურთის გუნდის წევრი**

სანამ დიქსონის სკოლაში სწავლობდა, ცურვისა და ფეხბურთის გარდა, კიდევ ორი სიყვარული გაუჩნდა: ერთს მარგარეტი ერქვა, მეორეს კი – სამსახიობო ხელოვნება.

მარგარეტი მკაცრი პრინციპების მიმდევარი რელიგიური ოჯახიდან იყო. სანამ კოლეჯში სწავლობდა, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ცოლად შეირთავდა, ნიშნობის ბეჭედიც აჩუქა. ახალგაზრდებმა დათქვეს, როგორც კი ფინანსური საშუალება გაჩნდებოდა, იქორწინებდნენ; მაგრამ მარგარეტმა მასწავლებლობა გადაწყვიტა და შორეულ ქალაქში გაემგზავრა. ორივემ კარგად იცოდა, რომ განშორება გარდაუვალი იყო. ძალიან სევდიანად დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

ორი წლის შემდეგ მარგარეტისგან წერილი მოვიდა – ის წერდა, რომ კრუიზში ყოფნისას უცხო სამხედრო მოსამსახურე შეუყვარდა (შეყვარებულის ნაჩუქარი ბეჭედი კი უკან დააბრუნა).

მარგარეტის გადაწყვეტილებამ რონალდი სასონარკვეთილებაში ჩააგდო; არა იმიტომ, რომ აღარ უყვარდა; განიცდიდა იმას, რომ შეყვარებული აღარ ეყოლებოდა.

დროსთან ერთად ტკივილი თანდათან დაუცხრა.





## დედის დარიგებით

როგორც აღვნიშნეთ, რეიგანის მეორე „რჩეული“ სამსახიობო ხელოვნება იყო.

ადამიანმა გასართობი საკუთარ თავში უნდა ეძებო, არწმუნებდა შვილებს ნელი რეიგანი და თვითონაც ასე იქცეოდა, სპექტაკლებში სიამოვნებით მონაწილეობდა; ის დიქსონის დასის ერთ-ერთი წამყვანი წევრი იყო.

ერთხელაც რონალდს პატარა ლექსი დააზეპირებინა და საღამოს აუდიტორიის წინაშე გამოსვლა სთხოვა. ბიჭი გაუძალიანდა, თუმცა სიმორცხვე დასძლია და სცენაზე გამოვიდა. მაყურებელმა ახალბედა მსახიობი თბილად მიიღო. თეატრი ახალი განცდა იყო მისთვის და იქაურობა კმაყოფილმა დატოვა. ასე შედგა რონალდის თეატრალური დებიუტი.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ რეიგანმა დიდი ხნის ოცნება აისრულა და სწავლა იურიკის ჰუმანიტარულ კოლეჯში გააგრძელა; აქ ის ეკონომიკასა და სოციოლოგიას ეუფლებოდა, ფეხბურთის გუნდშიც თამაშობდა და კოლეჯის ყველა სპექტაკლშიც მონაწილეობდა. პარალელურად სწავლის დასაფინანსებლად ლოუელის პარკში მაშველად მუშაობდა. მას მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ საკუთარი თავის დამფინანსებელი თვითონვე იყო და არანაირ სამსახურზე არ ამბობდა უარს (გოგონების საერთო საცხოვრებელში ჭურჭლის მრეცხაობაზეც კი).



რონალდ რეიგანი –  
კინონდელსტრიის მსახიობი

## ახდენილი ოცნებები

1932 წლის ზაფხულში რონალდს კოლეჯი ახალი დამთავრებული ჰქონდა და ოცნებებითაც სავსე იყო. კოლეჯის დასრულების შემდეგ საკუთარ თავს დაუსვა შეკითხვა, რომელმაც მას მოსვენება დაუკარგა: – ახლა რა უნდა ვქნა?

პასუხი ამ კითხვაზე მის გულში ღრმად იყო დამარხული, საკუთარ თავსაც კი არ უმხელდა, ყველაფერზე მეტად მსახიობობა რომ სურდა. იმდენად ძლიერი იყო სურვილი, მსახიობი გამხდარიყო, გადაწყვიტა, რადიოში ეცადა ბედი; იმ იმედით, რომ ეს ნაბიჯი კინომსახიობობის საწინდარი გახდებოდა.

მაღე გაუმართლა: რადიოში სპორტულ კომენტატორად დაიწყო მუშაობა. აქ გატარებული 4 წელიწადი მისი ცხოვრების ერთ-ერთი სასიამოვნო პერიოდი იყო. რეიგანმა თავისი ბავშვობის არაერთი ოცნება რეალობად აქცია. წლები გადიოდა, მას კი ამქვეყნად ყველაფერზე მეტად მსახიობობა უნდოდა.

1937 წლის ივნისში საკუთარი ახირება, როგორც იქნა, აისრულა და „უორნერ ბრაზერთან“ შვიდწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 30-იანი წლებიდან ლოს-ანჯელესში ცხოვრობდა, იყო კინომსახიობთა გილდიის პრეზიდენტი და ოცი წლის მანძილზე 53 ფილმში მიიღო მონაწილეობა.

რეიგანების ოჯახს საკუთარი სახლი არასოდეს ჰქონია, სხვადასხვა ადგილას სულ ქირით ცხოვრობდა. ცოტა ხანში რონალდ რეიგანს იმდენი საშუალება გაუჩნდა, რომ მშობლების გული გაახარა და კალიფორნიაში მათთვის საკუთარი სახლი შეიძინა.

მამას, ჯეკ რეიგანს, 58 წლის ასაკში გულმა საბოლოოდ უმტყუნა და გარდაიცვალა. დედა – ნელი რეიგანი წლების შემდეგ ალცჰაიმერით დაავადდა, საკმაოდ დიდხანს იტანჯა და ბოლოს გარდაიცვალა.

## "მადლობას უფავს ნენსისთვის"

რეიგანის პირველი ცოლი ჯეინ უაინმანი იყო, მასთან ორი შვილი, ქალ-ვაჟი ჰყავდა. 1948 წელს წყვილი ერთმანეთს დასცილდა. ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება უბრალო ამბავმაც, შეიძლება, რადიკალურად შეცვალოს. რონალდისთვის ასეთი შემთხვევა ახალგაზრდა მსახიობი ქალის, ნენსი დეივისის გაცნობა იყო.

„ცხოვრება მას შემდეგ დავიწყე, რაც ნენსი გავიცანი... ყოველდღე მადლობას ვწირავ ღმერთს, ნენსი რომ



რონალდ რეიგანი ცოლ-შვილთან ერთად

**რონალდ რეიგანი. ინაუგურაცია**

მომივლინა“, – წერდა მოგვიანებით რეიგანი.

1952 წლის 4 მარტს რეიგანმა და ნენსი დეივისმა პატარა ეკლესიაში, მეგობრების ვინრო წრეში ჯვარი დაინერეს. ბევრი ქალი კარიერასა და ოჯახს ერთმანეთს უთავსებს, მაგრამ ნენსის სურვილი იყო, რეიგანის ღირსეული მეუღლე ყოფილიყო. მან უარი თქვა მსახიობის კარიერაზე და ახლადშექმნილი ოჯახისთვის გადადო თავი. ცოლ-ქმარს ორი შვილი შეეძინა: პატრისია ენი და რონალდ პრესკოტი.

კინომსახიობთა გილდიის პრეზიდენტის რანგში რეიგანი კინოინდუსტრიაში კომუნიზმის საკითხებთან დაკავშირებულ დავებში ჩაერთო. მისი ლიბერალური პოლიტიკური ხედვა კონსერვატიულით შეიცვალა, და ალბათ, მაშინ დაადგა რეიგანი პოლიტიკისაკენ მიმავალ გზას.

### გზა ჰოლივუდისკენ

შემდგომში ფირმა „ჯენერალ ელექტრიკის“ სპიკერი გახდა და პოლიტიკაში ამ დროიდან ჩაება. თავიდან რეიგანი დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, 1962 წლიდან კი ის რესპუბლიკელი გახდა. ამის შემდეგ იგი ორი ვადით (1966 და 1970 წ.წ.) კალიფორნიის გუბერნატორად დაასახელეს. მას ორჯერ ჰქონდა საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელთა ნომინაციის მოპოვების წარუმატებელი მცდელობა, მაგრამ მესამე ცდაზე გაუმართლა და 69 წლის ასაკში ის აშშ-ის პრეზიდენტი გახდა.

რონალდ რეიგანი აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ხნიერი პიროვნება იყო, ვინც პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა.

ინაუგურაციიდან ორ თვეში რეიგანს თავს დაესხნენ და ესროლეს, მაგრამ მალევე გამოკეთდა. ინციდენტმა მისი პოპულარობა კიდევ უფრო გაზარდა. რეიგანმა საბჭოთა კავშირს საჯაროდ უწოდა „ბოროტების იმპერია“, უარი თქვა დაძაბულობის შენელების პოლიტიკაზე, აშშ-ის სამხედრო პოტენციალი გააძლიერა და მსოფლიოს გარშემო ანტიკომუნისტურ მოძრაობებს დაუჭირა მხარი.

1984 წლის არჩევნებში მან უპრეცედენტოდ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა და ისევ პრეზიდენტი გახდა.

რეიგანმა ეს თანამდებობა 1989 წელს დატოვა. 1994 წელს მას ალცჰაიმერის დაავადების დიაგნოზი დაუსვეს. იგი 2004 წელს, 93 წლის ასაკში, გარდაიცვალა.

**რონალდ უილსონ რეიგანი დღემდე რჩება ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პრეზიდენტად. ცივი ომის დასრულების ხელშეწყობასა და საბჭოთა კავშირის მიმართ მკაცრ, შეურიგებელ პოზიციაზე დგომას რონალდ რეიგანის პოლიტიკური მიღწევების ერთ-ერთ მთავარ ასპექტად მიიჩნევენ.**

**„ბოლო დროს პრეზიდენტებისთვის მემუარების წერა ტრადიციული რამ გახდა – სურთ, საკუთარი ამბავი თავადვე გვიამბონ. „ამერიკული ცხოვრება“ ამ მიზანს ემსახურება“, აღნიშნავს რეიგანი თავის მემუარებში; და, მართლაც, ავტორი ცდილობს, შეულამაზებლად, დოკუმენტურად აღწეროს მისი ოცნებებისკენ მიმავალი რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე გზა, გზა მსახიობობიდან პრეზიდენტობამდე.**

**მას მტკიცედ სწამს, რომ უსაზღვრო ოპტიმიზმი, მუყაითი შრომა და საღი აზრი ადამიანს ყველა დაბრკოლებას გადაატანინებს და საკუთარი ბედ-იღბლის წარმმართველად გახდის. ამერიკა კი ის ქვეყანაა, რომელიც არჩევანისა და ოცნებების ასრულების სრულ თავისუფლებას იძლევა, სჯეროდა რონალდ რეიგანს. პრეზიდენტის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ამისი საუკეთესო მაგალითია.**

**რონალდ რეიგანი და მიხეილ გორბაჩოვი**

**P.S. 1984 წლის 30 აგვისტოს მორიგი პრესკონფერენციის დაწყების წინ – პრეზიდენტმა რეიგანმა მთელი ქვეყნის გასაგონად განაცხადა:**

**– ძვირფასო ამერიკელებო! მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ ახლახან ხელი მოვანერე კანონს – ეს არის რუსეთის სამუდამოდ უკანონობის ცნობა... დაბობვა დაიწყება 5 წუთის შემდეგ!**

**ამ ინფორმაციას არანაირი პანიკა არ მოჰყოლია. ეს იყო საპრეზიდენტო ხუმრობა – რეიგანი, თურმე, ამოწმებდა მიკროფონის ხმოვანებას.**



## საძიებელი

<b>შაჩხიი, ნაოი</b>		<b>ჩიოი ნაბიი მახინა</b>	
სახლი (უცნობი აფხაზი ავტორის ლექსი) .....	3	დავით ცხაკაია – ანტონიო გაუდი .....	28
<b>100 წლის წინათ</b>		<b>თუ ჩაითვლი სახ</b>	
ლეთისმშობლის მიძინების სახელობის დრანდის მონასტერი .....	4	ნოდარ დუმბაძე – რა არის სამშობლო? .....	32
<b>მინიახუჩიი ჰიოზა</b>		<b>ღახუნაბაძე სათქაილი</b>	
ნათია როსტიაშვილი – ნუკრიების სახლი; არდასავინყებელი დღე; დაბრუნება .....	6	ვენერა რურუა – საერთმანეთო ფიქრით .....	33
<b>ჩიჩია ელინო</b>		<b>ფახაბანო მომავალი წიბნიღან</b>	
ქართულ-ბერძნული ხელნაწერი .....	9	ვახტანგ ბახტაძე – „სიკვდილი... ზოგჯერ გვირგვინია“ .....	36
<b>ზოვისპიხა იალქანი</b>		<b>თახბანი</b>	
შეხვედრა ცაში .....	12	კონსტანტინე პაუსტოვსკი – დეპეშა .....	40
<b>ჰოზი</b>		<b>უბის წიბნაჰი ჩანაჩილი ლაქაბი</b>	
მაია მიქაია – ლექსები .....	14	გიორგი ცხვარაძე – მიყვარს... ..	44
<b>ბაჩაჩაილინა</b>		<b>საჩითო ნახალი</b>	
ზაირა მიქაძაძე – ენგურს გაღმა საქართველო .....	16	ლიანა მიქაშავიძე – ჩემი ნანდუ და ჩემი დადუ .....	45
<b>საფე სიხყვა</b>		<b>ღაბნა</b>	
დავით აღმაშენებლის სიტყვა, თქმული მხედრობის წინაშე დიდგორის ომის დაწყებამდე .....	20	მეოთხე ქიქა – „საემმაკო“; ამირანი და მთა-ჭური ....	48
<b>ო, ენაჰ ჩაო</b>		<b>ჩითხა</b> .....	49
სულხან-საბა ორბელიანი – იგავები: სამი ყრუ და ყადი; ორი ამხანაგი და დათვი .....	22	<b>აფხაზეთის ომადე</b>	
<b>იჩიის ნახოში</b> .....	24	ნიკოლაი კონსტანტინიდი – „ოტტეპელის“ პერიოდი და მიხეილ ზღაჟბა .....	50
<b>წაჩილი მომავალს</b>		<b>ღახუნაჩი სანაქაჩას</b> .....	54
ლადო კახაძე – დაუნვაჟი ფურცლის ტკივილი ანუ წერილი „მომავალ კაცს“ .....	25	<b>ჩჩაილი ბაჰჰოზაჰი</b>	
		რონალდ რეიგანი .....	55


**ჩვენი მისამართი:**

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. № 68.  
ტელ.: (+995) 598 93 92 84;  
(+995) 599 12 66 80;  
ელ-ფოსტა: [jurnali.ialqani@gmail.com](mailto:jurnali.ialqani@gmail.com)

იალქანი № 2 (40). 2018 წ.  
აფქიო № 2 (13). 2018 წ.

ტირაჟი: 500 ც.  
ფასი სახელმუქრულეზო.





ზაქიზანო. ანი მთიანე. 13 წლის. თბილისი.